

**მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის
ინსტრუმენტები ქართულ და გერმანულ სამართალში –
პირობადებული საკუთრება, საკუთრების
უზრუნველმყოფი გადაცემა და გირავნობა**

ქეთევან კვინიკაძე

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული
ლექტორი, ადვოკატი

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი
(პენსიონირებული)

თბილისი 2026



Deutsch-Georgische

ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG

ISSN 2587-5191 (ბეჭდური)

ISSN 2667-9817 (ონლაინ)

© ქეთევან კვინიკაძე, 2026

© ულრის ჰაგენლოხი, 2026

© შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის რედაქცია, 2026

www.lawjournal.ge

სარჩევი:

1. შესავალი - კვლევის მიზანი და მნიშვნელობა ქართული სამართლისთვის.....	7
2. კრედიტის უზრუნველყოფა მოძრავი ნივთებით	10
2.1. წინასიტყვაობა: განსხვავებები გერმანულ სამართალში აბსტრაქციის პრინციპის გამო.....	10
2.1.1. კაუზალურ და განკარგვით გარიგებებზე დაყოფა	10
2.1.2. აბსტრაქციის პრინციპის ძირითადი ნიშნები გერმანულ სამართალში.....	11
2.1.3. ქართული სამართლის კონცეფცია	13
2.1.4. უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება.....	14
2.2. პირობადებული საკუთრება	17
2.2.1. პირობადებული საკუთრების შინაარსი და გარიგებითი კომპონენტები	17
2.2.2. პირობადებული საკუთრების უზრუნველყოფითი მიმართულებები.....	20
2.2.3. ე.წ. გავრცობილი პირობადებული საკუთრება.....	21
2.2.3.1. გადამუშავების კლაუზულა	22
2.2.3.2. წინასწარი ცესიის კლაუზულა	23
2.2.3.3. სამართლებრივი ურთიერთობები გადამუშავების კლაუზულის ფარგლებში.....	24
2.2.3.4. სამართლებრივი ურთიერთობები წინასწარი ცესიის კლაუზულის ფარგლებში.....	26
2.2.4. ე.წ. გაფართოებული პირობადებული საკუთრება	29
2.2.5. ე.წ. შემდგომში შეთანხმებული პირობადებული საკუთრება	30
2.2.6. გადაჭარბებული უზრუნველყოფა	36
2.3. საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა.....	37
2.3.1. უზრუნველყოფი საკუთრების შინაარსი და სამართლებრივი ბუნება	37
2.3.2. უზრუნველყოფი საკუთრების გარიგებითი კომპონენტები.....	40
2.3.3. ნივთთა ერთობლიობით უზრუნველყოფა	42
2.3.4. საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ფარგლებში	43
2.3.6. რეალიზაციის პრობლემატიკა.....	47
2.3.7. საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა vs გირავნობა გერმანულ სამართალში	49
2.3.8. უზრუნველყოფი საკუთრების ინსტიტუტის პერსპექტივა საქართველოში	51
2.4. გირავნობა	54
2.4.1. გირავნობის შინაარსი და სახეები	54
2.4.2. გირავნობის უფლება მოთხოვნისას ხანდაზმულობისას	57
2.4.2.1. გერმანული სამართლის მიდგომა	57

2.4.2.2. ქართული სამართლის მიდგომა	59
2.4.3. გირავნობის საგნიდან დაკმაყოფილება.....	60
2.4.3.1. გირავნობის საგნის რეალიზაციით კრედიტორის დაკმაყოფილების პრობლემატიკა.....	60
2.4.3.2. გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებით კრედიტორის დაკმაყოფილების პრობლემატიკა.....	64
2.4.4. უზრუნველყოფილი მოთხოვნის ჩანაცვლების შესაძლებლობა	66
3. კრედიტის უზრუნველყოფა მოლოდინის უფლებით.....	67
3.1. მოლოდინის უფლების შინაარსი.....	67
3.2. მოლოდინის უფლების განკარგვა.....	71
3.2.1. მოლოდინის უფლებაზე სრული უფლების წესების გავრცელება	71
3.2.2. მოლოდინის უფლებისა და სრული უფლების განკარგვის ერთმანეთისგან გამიჯვნა.....	73
3.2.3. პირობადებული საკუთრების გამყიდველის განკარგვები.....	75
3.2.4. პირობადებული საკუთრების მყიდველის განკარგვები.....	76
3.3. მოლოდინის უფლების მოქმედება	78
3.4. დაყადალების შედეგები პირობადებული საკუთრებისას	80
3.5. კანონისმიერი გირავნობის უპირატესობა მოლოდინის უფლებასთან მიმართებით	82
4. დასკვნა.....	82

**მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის
ინსტრუმენტები ქართულ და გერმანულ სამართალში –
პირობადებულ საკუთრება, საკუთრების უზრუნველმყოფი
გადაცემა და გირავნობა**

1. შესავალი - კვლევის მიზანი და მნიშვნელობა ქართული სამართლისთვის

თანამედროვე კერძო სამართლის სისტემებში კრედიტის უზრუნველყოფის მექანიზმები ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს, რადგან სწორედ ეს მექანიზმები წარმოადგენენ იმ სამართლებრივ ინსტრუმენტარიუმს, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა, სესხის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შემცირება და საბოლოო ჯამში, საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამ თვალსაზრისით გამოსაყოფია მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის საკითხი, რადგან სწორედ ამ კატეგორიის ქონება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე პირთა ეკონომიკური აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს და იმის გამო, რომ ასეთი ნივთები სწრაფი ამორტიზაციით ხასიათდება, თავის მხრივ, სფეციფიკურ სამართლებრივ გამოწვევებს აჩენს.

მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის სამართლებრივი კონსტრუქცია უნდა პასუხობდეს ორ მნიშვნელოვან გამოწვევას: ერთი მხრივ, კრედიტორის მაქსიმალურ დაცულობას მოთხოვნის დაკმაყოფილების კუთხით, ხოლო, მეორე მხრივ, მოვალისთვის თავისი სამენარმეო ან პირადი საქმიანობის ფარგლებში, უზრუნველმყოფი საგნის შეუფერხებელი გამოყენების შესაძლებლობის გარანტირებას. მხარეთა ურთი-

ერთდაპირისპირებული ინტერესების სამართლიანი და გონივრული დაბალანსების მიზნით, განვითარდა მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

წინამდებარე კვლევა გერმანული მიდგომის ანალიზს ეყრდნობა, რაც განპირობებულია იმით, რომ ქართული სამართალი გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგია და შესაბამისად, სტრუქტურულად და კონცეპტუალურად ყველაზე ახლოს დგას გერმანულ კერძო სამართალთან. ამ ისტორიულ-დოგმატური სიახლოვის გამო განსაკუთრებით საინტერესოა იმის განხილვა, თუ რა მოცულობით არის შესაძლებელი გერმანულ სამართალში სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის მიერ განვითარებული კრედიტის უზრუნველყოფის მოდელების გადმოტანა ქართულ მართლწესრიგში.

მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის ინსტიტუტების შედარებით-სამართლებრივი კვლევა აქტუალურია შემდეგი გარემოებების გამო - პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი ნაცნობია ქართული სამართლისთვისაც, თუმცა ქართულ სამართალში ის ისე მრავალმხრივ არ განვითარებულა როგორც გერმანიაში. თუკი პირობადებული საკუთრება გერმანულ სავაჭრო ბრუნვაში ფართოდ გამოყენებად ინსტრუმენტს წარმოადგენს, რამაც პრაქტიკაში მისი რამდენიმე სახით განვითარება გამოიწვია, ის ქართულ სამართალში „მარტივი“ სახით რჩება. საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა, - რომელიც გერმანული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით ჩამოყალიბდა და კანონის დონეზე არ არსებობს, გახდა ეფექტიანი და ეკონომიკურად მიზანშეწონილი უზრუნველყოფის საშუალება და მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა ტრადიციული გირავნობა იმ სფეროებში, სადაც ნივთის ფლობა მოვალისთვის ფუნქციურად აუცილებელია - ჯერჯერობით უცხოა ქართული სამართლისთვის, თუმცა მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - „სკ“) ნორმების სისტემური ანალიზის მიხედვით ის წესით ქართული სამართლისთვისაც დასაშვები კონსტრუქცია უნდა იყოს; რაც შეეხება გირავნობას, გერმანული სამართლისგან განსხვავებით, ქართულ სამართალში გირავნობა დაკრედიტების ფართოდ გავრცელებული მექანიზმია, რომლის მოქნილობასაც რეგისტრირებული გირავნობის ფორმა უზრუნველყოფს. გამომდინარე აქედან, მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით, ქართულ-გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი ქმნის მყარ საფუძველს ქართულ სამართალში მოქმედი რეგულაციების შეფასებისთვის და ასევე იძლევა შესაძლებლობას, წარმოდგენილი

ინსტიტუტების და მათი განვითარების პერსპექტივების შემდგომი სიღრმისეული თეორიული კვლევებისთვის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის ძირითადი ინსტრუმენტების - პირობადებული საკუთრების, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემისა და გირავნობის - შედარებით-სამართლებრივი შეფასება, კერძოდ მათი იურიდიული კონსტრუქციებისა და განვითარების თავისებურებების ანალიზი ორ სხვადასხვა მართლწესრიგში. კვლევის მიზანს არ წარმოადგენს განხილული უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გერმანული სამართლებრივი მოდელის ნორმატიული უპირატესობის დასაბუთება ან ქართულ სამართალში მათი უპირობო რეცეფციის აუცილებლობის მტკიცება. აღნიშნული მოითხოვს მრავალმხრივ და სიღრმისეულ კვლევას, რომელიც მოიცავს როგორც დოგმატურ, ისე პრაქტიკულ და ეკონომიკურ ასპექტებს, რათა შესაძლებელი გახდეს ქართული სამართლებრივი რეალობისთვის ოპტიმალური მოდელის შერჩევა. წინამდებარე კვლევის მიზანი არ არის ასეთი ყოვლისმომცველი ანალიზის განხორციელება. კვლევა უპირატესად შემოიფარგლება აღნიშნული ინსტიტუტების ფუნქციურ-სტრუქტურული განსხვავებების გამოვლენითა და მათი სამართლებრივი განვითარების მასშტაბების წარმოჩენით, რაც შექმნის გარკვეულ თეორიულ საფუძველს მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის გერმანულსამართლებრივი კონსტრუქციების შემდგომი სიღრმისეული დოგმატური შესწავლისა და ქართულ სამართალში მათი შესაძლო დამკვიდრების პერსპექტივებთან დაკავშირებული დისკუსიების განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ პირობადებული საკუთრების სხვადასხვა ფორმები, მისგან გამომდინარე მოლოდინის უფლება და საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა ქართულ იურიდიულ დისკურსში ჯერ კიდევ არ ხასიათდება სისტემური დოგმატური დამუშავების საკმარისი სიღრმით, რაც აღნიშნულ თემატიკას დამატებით მეცნიერულ აქტუალობას ანიჭებს. წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებობს რამდენიმე ღირებული ნაშრომი. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს კიდევ ერთ დამატებით მცდელობას, რომ უფრო სიღრმისეულად და კომპლექსურად იქნეს განხილული მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტები, რაც ხელს შეუწყობს შემდგომი კვლევითი პერსპექტივების განვითარებას.

კვლევა ეფუძნება როგორც ნორმატიული მასალის, ისე დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის განხილვას და მიზნად ისახავს აღნიშნული ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნების, ფუნქციური დატვირთვისა და

პრაქტიკული გამოყენების თავისებურებების გამოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ნაწილში წარმოდგენილი კვლევა ქართული სამართლისთვის ამჟერზე შესაძლოა ნაკლებად რელევანტური იყოს, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ყურადღება დაეთმოს იმ პრობლემურ თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომლებიც ამ ინსტრუმენტების გამოყენებისას წარმოიშობა.

2. კრედიტის უზრუნველყოფა მოძრავი ნივთებით

2.1. წინასიტყვაობა: განსხვავებები გერმანულ სამართალში აბსტრაქციის პრინციპის გამო

2.1.1. კაუზალურ და განკარგვით გარიგებებზე დაყოფა

ქართული სამოქალაქო კოდექსი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - „ბგ“) მსგავსად, უფლების გადაცემის დროს ეფუძნება მკაცრ დაყოფას მავალდებულებელ (ვალდებულებით-სამართლებრივი კაუზალური გარიგება) და განკარგვით გარიგებებს (სანივთო-სამართლებრივი საკუთრების გადაცემის გარიგება) შორის, რასაც ადგილი აქვს მაგალითად, ნასყიდობისას - ერთმანეთისგან იმიჯნება ნასყიდობის ხელშეკრულება და ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა. ასეთი დაყოფა სახეზეა მაშინაც, როცა ორივე გარიგება მათი გარეგნული მხარითა და მონაწილეთა აღქმით ერთიან პროცესად მოსჩანს, მაგალითად, როგორც ეს ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ნაღდი ფულით შეძენის შემთხვევაში ხდება. მავალდებულებელი გარიგება განსაზღვრას, თუ რა უფლებები და მოვალეობები აქვთ ხელშეკრულების მხარეებს და ადგენს იმას, თუ ვის უნდა დარჩეს ნივთი; თუკი სახეზეა ნამდვილი ნასყიდობა, ნივთი დარჩება მყიდველს, ხოლო არანამდვილი ნასყიდობისას კი - ნივთი დაუბრუნდება გამყიდველს. განკარგვითი გარიგებიდან კი ხდება იმის დადგენა, თუ ვინ არის რეალურად ნივთის მესაკუთრე.

ასეთი მკაცრი განსხვავება ვალდებულებით და სანივთო დონეზე მოქმედებს ყველა იმ გარიგების შემთხვევაში, რომლებიც მიმართულია უფლებათა გადაცემისკენ, იქნება ეს მოთხოვნის დათმობა, თუ მოძრავი ან უძრავი ნივთის ნასყიდობა. ეს განსხვავება თავს იჩენს უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების დროსაც, რადგან უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებაც მიმართულია უფლების გადაცემისკენ მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა მხოლოდ უზრუნველყოფის მიზნით ხდება. ეს ნიშნავს,

რომ უზრუნველმყოფი უფლებების შემთხვევაშიც უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან, - არსებობს თუ არა ვალდებულება უზრუნველმყოფი უფლების დადგენაზე (ვალდებულებით-სამართლებრივი დონე) და ნამდვილად განხორციელდა თუ არა მისი დადგენა, ანუ დაცულია თუ არა მისი დადგენის ნამდვილობის პირობები (სანივთო-სამართლებრივი დონე). მაგალითად, გახდა თუ არა უზრუნველყოფის მიმღები საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის ფარგლებში მესაკუთრე ან დაცულია თუ არა გირავნობის უფლების წარმოშობის ნამდვილობის წინაპირობები.

იმ შემთხვევაში, თუკი მავალდებულებელი გარიგებით განსაზღვრულ შესრულების ვალდებულებასა და რეალურად არსებულ სანივთო მდგომარეობას შორის შეუსაბამობაა (მაგალითად, თუკი მყიდველი მიუხედავად საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნისა, ვერ გახდა მესაკუთრე ან პირიქით გახდა მესაკუთრე მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არანამდვილია), მაშინ სანივთო მდგომარეობა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ვალდებულებით-სამართლებრივ მდგომარეობასთან. სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი მდგომარეობის ურთიერთშესაბამისობა „ავტომატურად“ არ ხდება, არამედ ორივე გარიგებას შორის არსებული მიჯნის გამო, მოითხოვს სანივთო გადაცემის გარიგებას, საჭიროების შემთხვევაში ასევე უზრუნველყოფის მიზნისთვის მიღებული უფლების უკუგადაცემას. ასეთი ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც ხელშეკრულებიდან, ისე კანონიდან, განსაკუთრებით კი უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან.

2.1.2. აბსტრაქციის პრინციპის ძირითადი ნიშნები გერმანულ სამართალში¹

განსხვავება ქართულ და გერმანულ სამართლებრივ მდგომარეობას შორის თავს იჩენს მაშინ, როცა საქმე ეხება გამიჯვნის პრინციპის პრაქტიკულ შედეგებს. ეს თანაბრად ეხება როგორც უფლებების უზრუნველყოფისკენ მიმართულ შეთანხმებებს, ისე ყველა სხვა გარიგებას. აბსტრაქციის პრინციპის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, მაღალი სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რაც მიიღწევა იმ გზით, რომ სანივთო-სამართლებრივი მდგომარეობა გათავისუფლებულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების გაურკვევლობებისა

¹ აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგადად იხ. *Staudinger/Olzen (2024) Einleitung zum Schuldrecht, Rn. 26 ff.*

და გაუთვალისწინებელი რისკებისგან.

გერმანული სამართალი ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ვალდებულებით და სანივთო დონეზე გარიგებათა ურთიერთზემოქმედება ავტომატურად არ არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებით, სამართლებრივად დასაშვები ფორმით², არ შეთანხმდებიან პირობით კავშირზე (მაგალითად, როგორც ეს პირობადებული საკუთრების შემთხვევაში გვაქვს), ან თუკი უზრუნველმყოფი უფლება აქცესორულად არ იქნება კონსტრუირებული (როგორც, მაგალითად, გირავნობა და იპოთეკა), მაშინ ორივე გარიგების შინაარსი და ნამდვილობა, ერთმანეთისგან პრინციპულად დამოუკიდებელია. მხოლოდ „ხარვეზის იდენტიფიკაციის“ შემთხვევაში (მაგალითად, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ქმედუნარობა) იქნება ორივე გარიგება არანამდვილი.

მაგალითად, შეცდომის გამო შეცილება, როგორც წესი, ეხება მხოლოდ კაუზალურ და არა განკარგვით გარიგებას. ამდენად, მოტყუების საფუძვლით ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილი შეცილება გამოიწვევს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას.³ საკუთრების გადაცემის ნამდვილობა რჩება ხელშეუხებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოტყუებას ადგილი აქვს ასევე სანივთო გარიგების დონეზეც. მაგალითად, როცა ნასყიდობისას გამყიდველის მხრიდან ადგილი აქვს გაყიდული ნივთის თვისებების/მახასიათებლების შესახებ მოტყუებას.⁴ შედეგად, აბსტრაქციის პრინციპის გამო, ვალდებულებითი ხელშეკრულების შეცილების შემდეგ, როგორც წესი, საჭიროა ასევე საკუთრების გადაცემის უკუქცევაც, რაც უსაფუძვლო გამდიდრების წესების საფუძველზე ხორციელდება.

არასრულწლოვანი პირის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არარსებობის გამო, ეს ნასყიდობის ხელშეკრულება მართალია არანამდვილია, თუმცა მიუხედავად ამისა, არასრულწლოვანი შესაძლოა მაინც გახდეს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ნივთის მესაკუთრე, რადგან საკუთრების შექმნა, როგორც წესი, თავისთავად მხოლოდ სარგებლის მომტანია არასრულწლოვნისთვის (ბგბ-ს § 107 პარაგრაფი/სკ-ს მე-15 მუხლი). სარგე-

² განკარგვითი გარიგებების დროს პირობის გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით შდრ. *Staudinger/Bork* (2025), §§ 158-163 პარაგრაფების შესავალი ნაწილი, Rn. 34.

³ *Staudinger/C Heinze* (2025) BGB § 873, Rn. 136; *Staudinger/Singer/vFinckenstein* (2021) BGB § 123, Rn. 91; ზოგადი მოსაზრება.

⁴ იქვე; *Staudinger/C Heinze* (2020) BGB § 929, Rn. 20.

ბელს ვერ ექნება ადგილი, როცა საკუთრების შექმნა მნიშვნელოვან სამართლებრივ ტვირთთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ბინაზე საკუთრების შექმნისას, როცა „ბინათმესაკუთრეობის კანონი“ მესაკუთრეს მნიშვნელოვან ვალდებულებებს აკისრებს.⁵

თუკი სახეზეა კანონით დადგენილი აკრძალვისადმი ან ზნეობის ნორმებისადმი წინააღმდეგობა, მაშინ დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს, დარღვევა მხოლოდ კაუზალურ გარიგებას ეხება, თუ სანივთო გადაცემის აქტსაც. მაგალითად, გერმანულ სამართალში, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების ბათილობა ჩვეულებრივ არ ვრცელდება განკარგვით გარიგებაზე, რომელიც განხორციელდა ბათილი ვალდებულებითი გარიგების საფუძველზე.⁶ სხვაგვარადაა საქმე როცა უზნეობა (ამორალურობა) თავად ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების აღსრულების დროსაც სახეზეა, ანუ როცა სანივთო-სამართლებრივი მოქმედებით ამორალური მიზანი მიიღწევა ან როცა ამორალურობა თავად მასშიცაა მოცემული.⁷

2.1.3. ქართული სამართლის კონცეფცია

აბსტრაქციის პრინციპი გერმანული სამართლის თავისებურებას წარმოადგენს, თუმცა იგი ბგბ-ში პირდაპირ არ არის ნახსენები. აბსტრაქციის პრინციპის საფუძველი გამიჯვნის პრინციპია, რაც ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია იგი ამ უკანასკნელის გარეშე არსებობდეს. თუკი სამართლებრივ სისტემაში მოქმედებს აბსტრაქციის პრინციპი, ე.ი. თავისთავად აღიარებულია გამიჯვნის პრინციპიც. ამის საპირისპიროდ, გამიჯვნის პრინციპი შესაძლოა აბსტრაქციის პრინციპის გარეშეც არსებობდეს, რისი დასტურიცაა მისი კაუზალურ სისტემასთან თანაარსებობა. ამის მაგალითად შესაძლოა ქართული სამართალი დასახელდეს.⁸

⁵ იხ. BGH, Beschluss vom 30. September 2010 - V ZB 206/10 - BGHZ 187, 119, Rn. 5 ff.; OLG München, Beschluss vom 18. Dezember 2023 - 34 Wx 311/23 e - RNotZ 2024, 157, Rn. 13 ff.

⁶ BGH, Urteil vom 16. November 2022 - VIII ZR 436/21 - MDR 2023, 164, Rn. 50; BGH, Urteil vom 9. Mai 2014 - V ZR 305/12 - NJW 2014, 2790, Rn. 20.

⁷ BGH, Urteil vom 16. November 2022 - VIII ZR 436/21 - MDR 2023, 164, Rn. 50; BGH, Urteil vom 9. Mai 2014 - V ZR 305/12 - NJW 2014, 2790, Rn. 20.

⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხ. დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა 2008, 32-39.

ქართველმა კანონმდებელმა უარი თქვა აბსტრაქციის პრინციპზე⁹, თუმცა პირდაპირ არ უთქვამს, უარყო თუ არა მან ამავედროულად გამიჯვნის პრინციპიც.¹⁰ მიუხედავად ამისა, გამიჯვნის პრინციპის არსებობა დღეს ეჭვს უკვე აღარ იწვევს.¹¹ ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის არსებობა დასტურდება ასევე მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის წესების ანალიზისას. თუკი არ იქნება აღიარებული სანივთო გარიგების არსებობა, რაც გამიჯვნის პრინციპის არსებობის ავტომატური აღიარებაა, მთელ რიგ სამართლებრივ შემთხვევებში, გართულდება ან საერთოდ შეუძლებელი გახდება საკუთრების უფლების გადასვლასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მიღებული გადაწყვეტა აშკარად უსამართლო და გაუმართლებელი შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.¹²

2.1.4. უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება

კაუზალური შეთანხმება მოთხოვნის სანივთო უზრუნველყოფის შემთხვევაში, უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების (*Sicherungsabrede*, ასევე სხვაგვარად: *Sicherungsvereinbarung*) ფორმით ხორციელდება, რომელსაც ასევე მიზნობრივ შეთანხმებადაც (*Zweckvereinbarung*) მოიხსენიებენ.

უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება არის ფორმათავისუფალი¹³ ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმება. უპირველეს ყოვლისა, ის

⁹ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 10; შეად. მარიამიძე, კაზუსები და მათი ამოხსნის მეთოდები სანივთო სამართალში, წიგნი I, თბ., 2014, 30. ავტორის მოსაზრებით, ქართულ სამართალშიც მოქმედებს აბსტრაქციის პრინციპი.

¹⁰ დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა 2008, 42.

¹¹ იხ. რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებით სამართლის ჟურნალი #1/2019, 20-36. სანიხალმდევო მოსაზრებისთვის შეად. მაგ., თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ჭანტურია (რედ.), წიგნი II, თბ., 2018, 126-127 ველი 7-9.

¹² რამოდენიმე კაზუსურ შემთხვევასთან დაკავშირებით იხ. რუსიაშვილი, სანივთო გარიგების მნიშვნელობა უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისას, შედარებით სამართლის ჟურნალი #3/2019, 45-54; რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებით სამართლის ჟურნალი #1/2019, 26-32; ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე, კვინიკაძე, უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენა საკუთრების წარმოშობის თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში, თბ., 2024, 68-71.

¹³ BGH, Urteil vom 19. April 2018 - IX ZR 230/15 - BGHZ 218, 261, Rn. 64; BGH, Urteil vom 21. Februar 2008 - IX ZR 255/06 - NJW-RR 2008, 780, Rn. 16

განსაზღვრავს, თუ რომელი მოთხოვნებისთვის და რა მოცულობით აგებს პასუხს სანივთო უზრუნველყოფა უზრუნველყოფის მიმღების წინაშე¹⁴ და რა ფორმით უნდა მოხდეს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია უზრუნველყოფის გამცემის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. უზრუნველყოფის შეთანხმებით ასევე შეიძლება განისაზღვროს, თუ როგორ შეუძლია უზრუნველყოფის გამცემს გამოიყენოს მის მფლობელობაში არსებული უზრუნველყოფის საგანი. მაგალითად, ვალდებულა თუ არა უზრუნველყოფის გამცემი, დააზღვიოს მის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება (Full Casco დაზღვევა) ან რა წინაპირობების არსებობისას შეუძლია მას უზრუნველყოფის საგნის გადამუშავება ან გასხვისება.

უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება შესაძლოა დაიდოს როგორც კონკლუდენტურად, ისე დამოუკიდებელი ხელშეკრულების ფორმით (როგორც უმეტესად ხდება ხოლმე საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის დროს) ან შესაძლოა ის იყოს კაუზალური გარიგების ნაწილი (როგორც ეს ხდება ხოლმე პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას). უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება სავალდებულოა, რადგან მის გარეშე არ წარმოიშობა უზრუნველყოფის დადგენის ვალდებულება.

უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების შინაარსი განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს. თუკი სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, მაშინ პირობადებული საკუთრების პირობით ყოველდღიური მოხმარების საგნების ყიდვისას (მაგ. მობ. ტელეფონი), მხარეთა ორმხრივ ინტერესებს მორგებული განმარტების მიხედვით, როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირობადებული საკუთრებით უზრუნველყოფილია მხოლოდ ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა და არა მხარეებს შორის არსებული სხვა ამჟამინდელი ან სამომავლო მოთხოვნები.

მყიდველი, როგორც წესი, არ არის უფლებამოსილი, განკარგოს (შემდგომი გასხვისება, დაგირავება) პირობადებული საკუთრების სახით შეძენილი ნივთი. თუმცა უმეტესწილად, მას აქვს უფლება, თავისი პირადი გარემოცვიდან სანდო ადამიანებს ნება დართოს, მცირე დროით გამოიყენონ მის მიერ პირობადებული საკუთრების დათქმით შეძენილი ნივთი.

არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალებების დროს უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებით წარმოიშობა მინდობითი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფის მიმღებს ავალდებულებს, უზრუნველყოფის საგა-

¹⁴ BGH, Urteil vom 19. April 2018 - IX ZR 230/15 - BGHZ 218, 261, Rn. 64, მიწის ვალის საკითხისთვის.

ნი მხოლოდ უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ ფარგლებში გამოიყენოს.¹⁵ გერმანულ სამართალში არსებული საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის ინსტიტუტისთვის ამას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული ნდობითი კავშირი ეფუძნება იმას, რომ უზრუნველყოფის მიმღები არააქცესორული უზრუნველყოფის შემთხვევაში, გარეგნულად იმაზე უფრო ფართო უფლებამოსილების მქონე ჩანს, ვიდრე ის, შიდა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რეალურადაა.¹⁶ თუკი იგი ამ გარეგნულად აღქმად გადამეტებულ უფლებამოსილებას ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს, მაგალითად, თუკი საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის ფარგლებში მიღებულ ნივთს გაასხვისებს, მაშინ უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების დარღვევის გამო, ზიანის ანაზღაურებაზე იქნება ვალდებული. თუმცა, მას გააჩნია განკარგვის უფლებამოსილება სანივთო გადაცემის აქტისთვის, რის გამოც ასეთი გადაცემა ნამდვილად ჩაითვლება, თუკი დაკმაყოფილებული იქნება შესაბამისი წინაპირობები.

მაშინაც კი როცა არ არსებობს პირდაპირი შეთანხმება, თვითონ უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული ურთიერთობისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სანდოობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფის მიმღები ვალდებულია, უკან დააბრუნოს უზრუნველყოფა, როცა ეს უზრუნველყოფა შეთანხმებული უზრუნველყოფის მიზნის მიღწევისთვის საჭირო აღარ არის; ასევე იგი ვალდებულია დააბრუნოს უზრუნველყოფა იმ ოდენობით, რაც აღარ არის საჭირო შეთანხმებული უზრუნველყოფის მიზნის მიღწევისთვის. თუკი მივმართავთ მხარეთა ორმხრივი ინტერესების შესაბამის განმარტებას, უზრუნველყოფის დაბრუნების ვალდებულება შესაძლოა არსებობდეს მაშინაც, როცა უზრუნველყოფილი მოთხოვნა თუმცა ჯერ არ

¹⁵ BGH, Urteil vom 20. Oktober 2023 - V ZR 9/22 - NJW 2024, 834, Rn. 33, für Grundschild; BGH, Urteil vom 2. Juni 2022 - V ZR 132/21 - NJW 2022, 2544, Rn. 22, მიწის ვალის საკითხისთვის; BGH, Urteil vom 11. Mai 2012 - V ZR 237/11 - NJW 2012, 2354, Rn. 5, მიწის ვალის საკითხისთვის; BGH, Beschluss vom 27. November 1997 - GSZ 1/97 - BGHZ 137, 212, Rn. 36 ff., საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის საკითხისთვის; ასევე შდრ. BGH, Urteil vom 30. März 2010 - XI ZR 200/09, BGHZ 185, 133, Rn. 23, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის საკითხისთვის.

¹⁶ BGH, Urteil vom 30. März 2010 - XI ZR 200/09, BGHZ 185, 133 Rn. 36, für Grundschild; BGH, Urteil vom 14. Mai 1996 - XI ZR 257/94 - BGHZ 133, 25, Rn. 36, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის საკითხისთვის.

არის სრულად შესრულებული, მაგრამ სახეზეა აშკარა გადაჭარბებული უზრუნველყოფა.¹⁷

თუკი უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება არ გაფორმებულა ან თუკი ის მოგვიანებით იქნა გაუქმებული, მაშინ კრედიტორი უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების საფუძველზე მიღებული სანივთო უფლებით უსაფუძვლოდ მდიდრდება.¹⁸ იმ შემთხვევაში როცა უზრუნველყოფის მიმღები უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციისას იღებს უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე მეტ თანხას, მაშინ ზედმეტად მიღებული თანხა მან უნდა დაუბრუნოს უზრუნველყოფის გამცეს.¹⁹ აღნიშნული გამომდინარეობს უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების მხარეთა ორმხრივ ინტერესებს მორგებული განმარტებიდან, სხვა შემთხვევაში კი - უსაფუძვლო გამდიდრების სამართლიდან.

2.2. პირობადებული საკუთრება

2.2.1. პირობადებული საკუთრების შინაარსი და გარიგებითი კომპონენტები

როგორც მენარმეები, ისე მომხმარებელი ფიზიკური და იურიდიული პირები ყოველთვის არ არიან იმგვარ ფინანსურ მდგომარეობაში, რომ ნივთის მიღებისთანავე განახორციელონ საფასურის გადახდა.²⁰ გამყიდველი, რომელიც მისცემს შესაძლებლობას მყიდველს, დაუყოვნებლივ არ გადაიხადოს ნასყიდობის ფასი სრულად, ყოველთვის უფრო კონკურენტული იქნება.²¹ შესაბამისად, კომერციული ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, მაღალი კონკურენციის პირობებში, მენარმე სუ-

¹⁷ BGH, Urteil vom 2. Juni 2022 - V ZR 132/21 - NJW 2022, 2544, Rn. 22; BGH, Urteil vom 30. März 2010 - XI ZR 200/09 - BGHZ 185, 133, Rn. 24, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის საკითხისთვის; ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით სიღრმისეულად იხ. BGH, Beschluss vom 27. November 1997 - GSZ 1/97 - BGHZ 137, 212, Rn. 36 ff.

¹⁸ თავდებობის შემთხვევაში არანამდვილი უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით დეტალურად შდრ. BGH, Urteil vom 24. Oktober 2017 - XI ZR 362/15 - BGHZ 216, 274, Rn. 13 ff.

¹⁹ BGH, Urteil vom 10. Juli 2024 - VIII ZR 184/23 - NJW-RR 2024, 1140, Rn. 18, ქირავნობიდან გამომდინარე კაუციონის საკითხისთვის; BGH, Urteil vom 19. April 2018 - IX ZR 230/15 - BGHZ 218, 261, Rn. 64, მიწის ვალის საკითხისთვის; BGH, Urteil vom 19. Oktober 2017 - IX ZR 79/16 - NJW-RR 2018, 593, Rn. 12, მიწის ვალის საკითხისთვის.

²⁰ *Maultzsch in Müko*, Band 4/1, 9. Aufl., 2024, §449, 343, Rn. 1.

²¹ *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 166.

ბიექტებს „უნევთ“ იმ დათმობაზე წასვლა, რომ შემძენს ნივთი ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე გადასცენ.²² ხელშეკრულების დარღვევის რისკი სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ნორმალური მოვლენაა, შესაბამისად, ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ შემძენი არ გადაიხდის სრულად ნასყიდობის საფასურს. ამ რისკის დასაზღვევად მოთხოვნის უზრუნველყოფის ტრადიციული საშუალებების გამოყენება ყოველთვის მოქნილი არ არის, მით უფრო მაშინ, როცა საქმე არც თუ ისე მაღალი ღირებულების ნივთებს ეხება. პირობადებული საკუთრებაა სწორედ ის ინსტიტუტი, რომელიც ასეთ შემთხვევებში ნასყიდობის ფასის სრულად გადახდას უზრუნველყოფს. პირობადებული საკუთრების ქვეშ მოიაზრება მყიდველსა და გამყიდველს შორის იმგვარი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მყიდველზე საკუთრების უფლება გადავა მხოლოდ ნივთის საფასურის სრულად გადახდის შემდეგ.²³

პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი მოწესრიგებულია სკ-ს 188 I მუხლით, რომელსაც ბგბ-ს § 449 I პარაგრაფი შეესაბამება. პირობადებული საკუთრების შემთხვევაში გამყიდველის დაცვა მიიღწევა იმ გზით, რომ მას აქვს არა მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება (ნასყიდობის თანხის გადახდაზე), არამედ მას გაყიდულ ნივთზე საკუთრების (სანივთო) უფლება უნარჩუნდება მანამ სანამ მყიდველი ბოლომდე არ გადაიხდის ნასყიდობის თანხას. იმ შემთხვევაში, როცა გამყიდველი მყიდველს მფლობელობაში გადასცემს ნივთს და ამავდროულად, აძლევს უფლებას, ნაწილ-ნაწილ გადაიხადოს ნასყიდობის თანხა, იგულისხმება, რომ ის (გამყიდველი) გასცემს კრედიტს.²⁴ თუმცა, ეს არ წარმოადგენს კრედიტს თავისი კლასიკური იურიდიული გაგებით. ეკონომიკური თვალსაზრისით, გერმანიაში ამ შემთხვევას მოიხსენიებენ როგორც „მიმწოდებლის კრედიტს“, ხოლო პირობადებული საკუთრების გამყიდველს, კი როგორც - „საქონლის კრედიტით გამცემს“. თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქმე გვაქვს არა სესხის გაცემასთან, არამედ ხელშეკრულებით შეთანხმებულ წესთან, რომელიც შეეხება ნასყიდობის ფასის გადახდის ვადამოსულობას. შესაბამისად, გამყიდველისა-

²² იქვე.

²³ *Vieweg/Werner*, Sachenrecht, 8.Aufl., Verlag Franz Vahlen, 2018, 345, Rn. 1.

²⁴ შდრ. *Wellenhofer*, (Begründet von Wolf) Sachenrecht, 32. Aufl., 2017, 156, Rn. 1. იხ. ასევე, *ბზეკალავა*, პირობადებული საკუთრება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (შედარებითი ანალიზი), ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო გამოცემა, *გეგენავა/ჯორბენაძე (რედ.)*, თბ., 2013, 28.

თვის პირობადებული საკუთრებით კრედიტის უზრუნველყოფა მდგომარეობს იმაში, რომ ნივთის გაყიდვით ის ისევ მესაკუთრედ რჩება და ნასყიდობის საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუძლია, გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.²⁵ პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმება, თავის მხრივ, მომგებიანია მყიდველისთვისაც - ის იძენს ნივთზე მფლობელობას და მოლოდინის უფლებას (რომელიც სანივთო უფლებად არის აღიარებული), რაც მისი სამართლებრივი პოზიციის დაცულობას განაპირობებს.²⁶

პირობადებული საკუთრების დროს ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ნასყიდობის ხელშეკრულება ვალდებულებით-სამართლებრივ დონეზე და განკარგვითი გარიგება სანივთო-სამართლებრივ დონეზე.²⁷ პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი საუკეთესოდ აჩვენებს მიჯნას ვალდებულებით და სანივთო გარიგებებს შორის, რისი აღიარების გარეშეც შეუძლებელია ამ ინსტიტუტის დოგმატურად გამართული კონსტრუქციის აგება.²⁸ ვალდებულებით-სამართლებრივ დონეზე სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც წარმოიშობა მყიდველის ნაწილ-ნაწილ გადახდის ვალდებულება, ხოლო სანივთო-სამართლებრივ დონეზე უკვე დგება შეთანხმება, რომლითაც საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება (*Übereignung*). ნასყიდობის ხელშეკრულება უპირობო გარიგებაა, პირობა ადევს მხოლოდ სანივთო გარიგებას.²⁹ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე მყიდველს წარმოეშობა მხოლოდ მოლოდინის უფლება, რომელიც ასევე სანივთო უფლებად არის აღიარებული.³⁰

²⁵ *Wörlen/Kokemoor*, Sachenrecht mit Kreditsicherungsrecht, 10.Aufl., Verlag Franz Vahlen, 2017, 150, 219a.

²⁶ *Vieweg/Werner*, Sachenrecht, 8.Aufl., 2018, 347, Rn. 2.

²⁷ *Maultzsch* in Müko, Band 4/1, 9.Aufl., 2024, §449, 348-349, Rn. 19.

²⁸ *რუსიაშვილი*, სანივთო გარიგების მნიშვნელობა უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისას, შედარებითი სამართლის ჟურნალი #3/2019, 50. პირობადებული საკუთრების კონსტრუქციაში სანივთო გარიგების ნამდვილად არსებობის საკითხთან დაკავშირებით იხ. *რუსიაშვილი/სირდაძე/ევგნატაშვილი*, სანივთო სამართალი, კაზუსების წიგნი, თბ., 2019, 153; *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 172; *თოთლაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, *ჭანტურია (რედ.)*, წიგნი II, თბ., 2018, 145, ველი 3.

²⁹ *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012, 172.

³⁰ *Vieweg/Werner*, Sachenrecht, 8.Aufl., Verlag Franz Vahlen, 2018, 347, Rn. 3.

2.2.2. პირობადებული საკუთრების უზრუნველყოფითი მიმართულებები

ქართულ სამართალში პირობადებული საკუთრება მხოლოდ „მარტივი“ ფორმით არსებობს. საქართველოში აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების ფარგლები გერმანიასთან შედარებით ძალიან ვიწროა, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ქართულ სამართალში ჯერჯერობით არ არსებობს პირობადებული საკუთრების გერმანიაში გავრცელებული ფორმების გამოყენების ან/და განვითარების პრაქტიკა, ასევე უცხოა მისგან წარმომდგარ მოლოდინის უფლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკაც. გერმანულ სამართალში პირობადებული საკუთრების რამდენიმე ფორმა განვითარდა, რასთან დაკავშირებითაც ორი ძირითადი მიმართულება უნდა გამოვარჩიოთ:

ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პირობადებული საკუთრების მყიდველისთვის, მისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, პირობადებული საკუთრებით შეძენილი ნივთის გაყიდვა (როგორც მოვაჭრის მიერ) ან გადაამუშავება (როგორც მწარმოებლის ან სამშენებლო სფეროს წარმომადგენლის მიერ) (ე.წ. გავრცობილი პირობადებული საკუთრება).³¹ ეს ხორციელდება იმ გზით, რომ პირობადებული საკუთრების გამყიდველი უფლებას აძლევს პირობადებული საკუთრების მყიდველს, გაასხვისოს ან გადაამუშაოს პირობადებული საკუთრებით ნაყიდი ნივთი, ანუ ეს იქნება საკუთრებაში ნებადართული ჩარევა. ამ გზით, ხდება უზრუნველყოფის საშუალების „ჩანაცვლება“³² იმგვარად, რომ პირობადებული საკუთრების მყიდველი პირობადებული საკუთრების გამყიდველს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, სრულად ან ნაწილობრივ უთმობს გასხვისებიდან წარმომდგარ მოთხოვნას. ამგვარი ცესია უმეტესად ჩუმად ხორციელდება, შესაბამისად, ცედირებული (დათმობილი) მოთხოვნის მოვალეს არავინ ატყობინებს იმის შესახებ, რომ განხორციელდა მოთხოვნის უფლების დათმობა. უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომამდე პირობადებული საკუთრების მყიდველი პირობადებული საკუთრების გამყიდველის მხრიდან აღჭურვილია უფლებამოსილებით,

³¹ ტერმინი ეფუძნება იმ იდეას, რომ გადაამუშავებისა და მოთხოვნის დათმობის დათქმების მეშვეობით პირობადებული საკუთრებით შექმნილი უზრუნველყოფა შემდგომ საფეხურზე აგრძელებს არსებობას, რაც ხორციელდება გადაამუშავების შედეგად წარმომობილ ახალ საკუთრებაზე პირობადებული საკუთრების გავრცელებით; ან იმგვარად, რომ პირობადებული საკუთრების გამყიდველს წარმოეშობა ნივთის გასხვისებიდან ან გადაამუშავებიდან წარმომობილი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

³² შდრ. BGH, Urteil vom 17. März 2011 - IX ZR 63/10 - BGHZ 189, 1, Rn. 32.

რომ უზრუნველყოფის მიზნით დათმობილი მოთხოვნის შესრულება საკუთარი სახელით თავად მოითხოვოს³³. მოთხოვნის დათმობის შესახებ შეტყობინებაზე უარის თქმა მიზნად ისახავს პირობადებული საკუთრების მყიდველის ეკონომიკური სტაბილურობის შესახებ არასასურველი წარმოდგენების თავიდან აცილებას (რაც ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში ვერ გამოირიცხება) და ფინანსური გადახდების მოძრაობის გამარტივებას. ნივთის გადამუშავების შემთხვევაში შესაძლოა გაფორმდეს დამატებითი შეთანხმება ახალშექმნილ ნივთზე საკუთრების უფლებაში წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

მეორე მხრივ, საუბარია პირობადებული საკუთრებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გაფართოებაზე. პირობადებული საკუთრების საკანონმდებლო მოდელი (ე.წ. „მარტივი“ პირობადებული საკუთრება) მიმართულია იქეთკენ, რომ კონკრეტულ ნივთზე (რომელიც პირობადებული საკუთრების უფლებით არის შექმნილი) საკუთრების შექმნა ნასყიდობის ფასის სრული გადახდის გადადებული პირობის დადგომით მოხდეს. თუმცა პირობადებული საკუთრების გამყიდველს შესაძლოა ჰქონდეს ეკონომიკური ინტერესი, რომ საკუთრების შექმნა ასევე სხვა შეთანხმებიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულებაზე დამოკიდებული გახადოს. ეს შემთხვევა ყველაზე მეტად მაშინ არის სახეზე, როცა პირობადებული საკუთრების მყიდველსა და გამყიდველს შორის გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობა არსებობს, საიდანაც მრავალი მოთხოვნა წარმოიშობა (ე.წ. გაფართოებული პირობადებული საკუთრება).

2.2.3. ე.წ. გავრცობილი პირობადებული საკუთრება

ე.წ. გავრცობილი პირობადებული საკუთრების (*sog. verlängerten Eigentumsvorbehalt*) ტიპური კონსტრუქცია არის ის, რომ პირობადებული საკუთრების გამყიდველი სამენარმეო საქმიანობით დაკავებულ პირობადებული საკუთრების მყიდველს ანიჭებს უფლებამოსილებას, პირობადებული საკუთრებით შექმნილი ნივთი, ჩვეულებრივი სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში, გადაამუშაოს ან გაყიდოს (უფლებამოსილების მინიჭება ხორციელდება ზოგადი წესების მიხედვით - ბგბ, § 185 I

³³ მაგალითად, ა-მ პირობადებული საკუთრების ფორმით ნივთი მიჰყიდა ბ-ს, რომელსაც მისცა ამ ნივთის შემდგომი გასხვისების უფლებამოსილება. ბ-მ ნივთი მიჰყიდა გ-ს, რომლის მიმართაც წარმოეშვა ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება. აღნიშნული მოთხოვნის უფლება ბ-მ დაუთმო ა-ს, თუმცა ამის შესახებ გ არ არის ინფორმირებული. ბ ა-სგან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თავად სთხოვს გ-ს ნასყიდობის ფასის გადახდას.

პარაგრაფი/სკ, 102 I მუხლი). ასეთ დროს ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ე.წ. გადამუშავების კლაუზულა და წინასწარი ცესიის კლაუზულა.

2.2.3.1. გადამუშავების კლაუზულა

გადამუშავების დათქმის სანივთოსამართლებრივი საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ გადამუშავების შედეგად (მაგალითად, შერწყმა) პირობადებული საკუთრებით შექმნილ ნივთზე კანონის ძალით წარმოიშობა ახალი საკუთრების უფლება. ასეთ დროს ან წარმოიშობა გადამამუშავებლის სრული საკუთრება, რაც იწვევს წინა მესაკუთრის საკუთრების უფლების დაკარგვას ან ხდება თანასაკუთრებაში შესაბამისი წილის მოპოვება, რაც წყდება ნივთის ღირებულებების თანაფარდობის მიხედვით (ასეთ დროს გამოიყენება ბგბ-ს §§ 947, 948, 950 პარაგრაფები, რაც დიდწილად ემთხვევა სკ-ს 194-196 მუხლებს), ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ბგბ-ს § 949-ე პარაგრაფის მე-2 და მე-3 წინადადებებით გათვალისწინებული სუროგაციის ეფექტი, რომელიც ქართულ კოდექსში არ არის რეგლამენტირებული.³⁴ გამყიდველის ნებართვის გარეშე, პირობადებული საკუთრების მყიდველი პირობადებული საკუთრებით შექმნილი ნივთის გადამუშავებით, არღვევს გამყიდველის საკუთრების უფლებას და გამყიდველის წინაშე წარმოეშობა როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე.

გადამუშავების კლაუზულით გამყიდველი უფლებას აძლევს პირობადებული საკუთრების მყიდველს ჩაერიოს მის საკუთრების უფლებაში, რაც დაკავშირებულია ნივთის გადამუშავებასთან. შედეგად, დაკარგული სამართლებრივი მდგომარეობის სანაცვლოდ, გამყიდველი ამ კლაუზულის საშუალებით მიიღებს სანივთო უზრუნველყოფას ახალშექმნილ ნივთზე (საკუთრებაზე). ძირითადად, ასეთი გადამუშავების კლაუზულა შე-

³⁴ ბგბ-ს § 949 პარაგრაფის მიხედვით, „§§ 946-948-ის თანახმად, თუ ნივთზე საკუთრების უფლება უქმდება, მაშინ უქმდება ასევე ნივთზე არსებული სხვა უფლებებიც; თუ დატვირთული ნივთის მესაკუთრე იძენს თანასაკუთრებას, მაშინ უფლებები აგრძელებს არსებობას იმ ნაწილზე, რომელიც ამ ნივთის შემადგენელი ნაწილი ხდება; თუ დატვირთული ნივთის მესაკუთრე ხდება ერთპიროვნული მესაკუთრე, მაშინ უფლებები ვრცელდება მიმატებულ ნივთზე.“

იძლება კომბინირდეს წინასწარ ცესიასთან. ეს განსაკუთრებით პრაქტიკულია მაშინ, როცა გადამუშავების შედეგად წარმოშობილი ახალი საკუთრება ეხება ნივთს, რომელიც განკუთვნილია შემდგომი გაყიდვისთვის.

2.2.3.2. წინასწარი ცესიის კლავშულა

სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირობადებული საკუთრების მყიდველები ხშირად იძულებულნი არიან, პირობადებული საკუთრებით შექმნილი საქონლის საფასური დაფარონ იმ შემოსავლით, რომელსაც ამ ნივთის შემდგომი გაყიდვით იღებენ. შესაბამისად, ორივე სახელშეკრულებო მხარის ინტერესებს ემსახურება, როცა პირობადებული საკუთრების მყიდველი უფლებამოსილია მიზნობრივად განკარგოს პირობადებული საკუთრებით შექმნილი საქონელი და მისი შემდგომი გასხვისებით დააფინანსოს შესყიდვის ფასი. ამიტომ, სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირობადებული საკუთრების მყიდველს, როგორც წესი, ეძლევა უფლება გაასხვისოს მის ბრუნვად აქტივებში შემავალი საქონელი, რომელიც შექმნილი აქვს პირობადებული საკუთრების ფორმით, თუმცა ამავე დროს, ამ გზით წარმოშობილი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ანუ გასხვისების შედეგად მისაღები ფასის მოთხოვნის უფლება, სრულად ან ნაწილობრივ წინასწარ უნდა დაუთმოს პირობადებული საკუთრების გამყიდველს.³⁵

ეს უფლებამოსილება შეზღუდულია მხოლოდ ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული განკარგვებით, რადგან, როგორც წესი, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ივარაუდებოდეს, რომ დათმობილი მოთხოვნის ოდენობა დაუფარავი შესყიდვის ფასის ოდენობას სულ მცირე გაუტოლდება მაინც, ანუ უზრუნველყოფის საშუალების ჩანაცვლებით მისი ეკონომიკური ღირებულება არ შემცირდება. პირდაპირი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაშიც კი, განკა-

³⁵ ასეთი უფლებამოსილება არ მოითხოვება, როცა პირობადებული საკუთრების მყიდველი მხოლოდ მოლოდინის უფლებას განკარგავს, რისი განკარგვის უფლებამოსილებაც მას რეალურად აქვს. განსხვავებით კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული სანივთო განკარგვისგან, ორმხრივი გაცვლითი ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული შემდგომი გასხვისებისას, შემქმნის კანონიერი ინტერესი, როგორც წესი, მიმართულია იქეთკენ, რომ მიიღოს სრული განკარგვის უფლება პირობადებული საკუთრებით დატვირთულ ქონებაზე, კერძოდ კი, ნასყიდობის შემთხვევაში, საკუთრება. მხოლოდ მოლოდინის უფლების შექმნა მის ინტერესებს არ აკმაყოფილებს.

რგვის უფლებამოსილების ამგვარი შეზღუდვა, როგორც წესი, უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების მხარეთა ორმხრივი ინტერესების შესაბამისი განმარტებიდან გამომდინარეობს.³⁶ ამიტომ, თავიდანვე განსაზღვრულია, რომ უფლებამოსილების ფარგლები არ მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ჩალის ფასად გაყიდვის ან მისი დაგირავების შესაძლებლობას. გარდა ამისა, პირობადებული საკუთრების გამყიდველის კანონიერი ინტერესების დაცვა მოითხოვს, რომ ის ქმედებები, რომლებიც აშკარად საფრთხეს უქმნის უზრუნველყოფი უფლების ღირებულებას, არ ჩაითვალოს ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებად, მაშინაც კი, თუ ისინი შესაბამის დარგში უჩვეულოდ არ არის მიჩნეული.³⁷

2.2.3.3. სამართლებრივი ურთიერთობები გადამუშავების კლაუზულის ფარგლებში

არსებითად არსებობს ორი შესაძლებლობა, რომ გადამუშავების შედეგად შექმნილ ნივთზე პირობადებული საკუთრების გამყიდველს წარმოეშვას საკუთრების ან თანასაკუთრების უფლება.

სამართლებრივად, ნაკლებად პრობლემურ გზას წარმოადგენს, ანტიციპირებული (ანუ წინასწარ შეთანხმებული) საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის გზით „ახალი“ საკუთრების, მისი წარმოშობის მომენტივე, სრულად ან ნაწილობრივ პირობადებული საკუთრების გამყიდველისათვის გადაცემა. თუმცა, კანონით დადგენილი სუროგაციისგან განსხვავებით, ამგვარი სახელშეკრულებო გზით უზრუნველყოფი უფლების შექმნა იწვევს იმას, რომ (ლოგიკურად ერთი ნაშთი) ახალი ნივთის მწარმოებელი ხდება ამ ნივთის მესაკუთრე. ამის შედეგად წარმოიშობა კონკურენცია ახალდამზადებულ ნივთზე უფრო ადრე განხორციელებულ სხვა განკარგვებთან, მაგალითად, სხვა პირობადებული საკუთრების გამყიდველების ან ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების

³⁶ *Grunewald* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage, 7/2025, § 449 BGB, Rn. 45; ასევე, შდრ. BGH, Urteil vom 12. Dezember 2019 - IX ZR 27/19 - NJW-RR 2020, 370, Rn. 23; BGH, Urteil vom 13. September 2006 - VIII ZR 184/05 - NJW 2006, 3488, Rn. 16, თითოეულ შემთხვევაში ინკასაციის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

³⁷ თვითღირებულებაზე (შესყიდვის ფასზე) დაბალ ფასად შემდგომ გაყიდვასთან და Sale-and-Lease-Back პროცესთან დაკავშირებით შდრ. BGH, Urteil vom 30. März 1988 - VIII ZR 340/86 - BGHZ 104, 129, Rn. 20 ff. mwN; დეტალურად იხ. *Staudinger/Fervers* (2024) BGB § 449, Rn. 213 ff. mwN; ასევე, შდრ. BGH, Urteil vom 12. Dezember 2019 - IX ZR 27/19 - NJW-RR 2020, 370, Rn. 22 ff.

სასარგებლოდ, რომლებიც მოქმედი პრიორიტეტულობის პრინციპის გამო შესაძლოა წინ აღუდგნენ საკუთრების შექმნას.

ასეთი შუალედური (გავლით) ერთნამიანი საკუთრების შექმნა თავიდან აიცილება იმ შემთხვევაში, როცა პირობადებული საკუთრების მყიდველი და გამყიდველი შეთანხმდებიან, რომ შემდგომი გადამუშავებისას მყიდველი მოქმედებს გამყიდველის სახელით; შესაბამისად, იგი ბგბ-ს § 950 პარაგრაფის (შეესაბამება სკ-ს 194-ე მუხლი) მნიშვნელობით „მწარმოებლად“ ითვლება. თუმცა, საეჭვოა, რამდენად შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს ისეთი შეთანხმება, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს სანივთო სამართლებრივ მდგომარეობაზე.

სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს ასეთ შეთანხმებას³⁸ და მას აღნიშნავს ტერმინით „მხარეთა ნების საფუძველზე განსაზღვრული მწარმოებელი.“³⁹ ეს წესი ასევე ვრცელდება იმ შეთანხმებებზეც, რომლებიც პირობადებული საკუთრების სხვადასხვა გამყიდველების საკუთრებაში არსებული საქონლის გადამუშავებისას თანამესაკუთრეობის წარმოშობას იწვევს.⁴⁰ თუმცა სადავოა, თუ რამდენად არის ბგბ-ს §§ 947 და შემდგომი პარაგრაფების სანივთოსამართლებრივი რეგულირება დისპოზიციური, ანუ ემორჩილება მხარეთა ნებას, თუ ასეთი შეთანხმების ნამდვილობისათვის აუცილებელია ხელშეკრულების მხარეთა ნების გარდა დამატებით ობიექტური კრიტერიუმების არსებობაც; კერძოდ, პირობადებული საკუთრების მყიდველი პირობადებული საკუთრებით ნაყიდი ნივთის გადამუშავების პროცესში რეალურადაც პირობადებული საკუთრების გამყიდველისათვის უნდა მოქმედებდეს თუ არა.⁴¹ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, რომელსაც მნიშვნელოვანი არგუმენტები ამყარებს, მხოლოდ მწარმოებლის სტატუსზე შეთანხმება საკმარისი არ არის. მწარმოებლად უნდა ჩაითვალოს ის პირი, ვინც ეკონომიკური თვალსაზრისით მართავს გადამუშავების პროცესს და საკუთარ თავზე იღებს იმ საქმიანობის ეკონომიკურ რისკს, რომელიც ახალი საკუთრების შექმნასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით კი

³⁸ BGH, Urteil vom 3. März 1956 - IV ZR 334/55 - BGHZ 20, 159, Rn. 73; OLG Dresden, Urteil vom 30. Januar 2008 - 13 U 1304/07 - ZlInsO 2008, 564, Rn. 13.

³⁹ *Ebbing* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage, 9/2023, § 950 BGB, Rn. 9.

⁴⁰ BGH, Urteil vom 19. Oktober 1966 – VIII ZR 152/64 - BGHZ 46, 117, Rn. 17 ff.

⁴¹ დოქტრინაში არსებული მოსაზრებებისთვის შდრ. *Staudinger/C Heinze* (2020) BGB § 950, Rn. 20 ff.; *Vieweg/Lorz* in: *Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB*, 10. Aufl., § 950 BGB (Stand: 15.03.2023), Rn. 23 ff.

რეალიზაციის (გასაღების) რისკს.⁴² ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ე.წ. ანაზღაურებით შესრულებული წარმოება (*Lohnfertigung*).⁴³

2.2.3.4. სამართლებრივი ურთიერთობები წინასწარი ცესიის კლაუზულის ფარგლებში

პირობადებული საკუთრების ფარგლებში შექმნილი საქონლის შემდგომი გასხვისების შედეგად წარმოშობილი გადახდის მოთხოვნის უფლების წინასწარი ცესია ექვემდებარება წინასწარი განკარგვის ზოგად პრინციპებს. როგორც ყველა განკარგვისას, აქაც, დაცული უნდა იყოს, წინასწარ ცედირებული მოთხოვნების განსაზღვრულობა.⁴⁴ ამისათვის გადამწყვეტი დრო არის მოთხოვნის წარმოშობის დრო, და არა წინასწარი ცესიის შეთანხმების გაფორმების დრო.⁴⁵

განსაზღვრადობა განსაკუთრებით პრობლემურია იმ შემთხვევაში, თუ ცესია არ მოიცავს შემდგომი გასხვისებიდან წარმოშობილ მთლიან მოთხოვნას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს (როგორც ხშირად საქონელი ხდება ზედმეტი უზრუნველყოფის თავიდან ასაცილებლად). ეს განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა პირობადებული საკუთრების მყიდველი, პირობადებული საკუთრებით შექმნილ ნივთს გადაამუშავებს გამყიდველის ნებართვით და ამის შედეგად პროდუქტის გაზრდილი ღირებულება, რასაც შესაძლოა ასევე დაემატოს სხვა მიმწოდებელთა პირობადებული საკუთრების უფლებით შექმნილი საქონელიც, პირობადებული საკუთრების გამყიდველის ლეგიტიმურ ინტერესებს მხოლოდ მოთხოვნის პროპორციული ცესიით დაიცავს.⁴⁶ სასამართლო

⁴² *Ebbing in*: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage, 9/2023, § 950 BGB, Rn. 10.

⁴³ ინგლისურად: *toll manufacturing*. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წარმოების ისეთ მოდელთან (რომელიც დეტალებში შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს ჩამოყალიბებული), რომლის დროსაც მენარმე თავისი საქონლის წარმოებას სრულად ან ნაწილობრივ მიანდობს გარე მომსახურების მიმწოდებელს, ხოლო თავად ინარჩუნებს კონტროლს ნედლეულის (საქონლის) გამოყენებაზე, რეცეპტურებსა და ხარისხის სტანდარტებზე და დამზადებულ საქონელს საკუთარი სახელითა და საკუთარი ხარჯით უწევს რეალიზაციას. ეს მოდელი ფართოდ არის გავრცელებული მეტალთა დამამუშავების, ქიმიური მრეწველობის, ფარმაცევტული ინდუსტრიისა და სურსათის წარმოების სფეროებში.

⁴⁴ BGH, Urteil vom 8. April 2020 - VIII ZR 130/19 - NJW-RR 2020, 779, Rn. 81; BGH, Urteil vom 20. April 2017 - III ZR 398/15 - VersR 2018, 170, Rn. 17; BGH, Urteil vom 22. Juni 1989 - III ZR 72/88 - BGHZ 108, 98, Rn. 29 ff.

⁴⁵ BGH, Urteil vom 8. April 2020 - VIII ZR 130/19 - NJW-RR 2020, 779, Rn. 81

⁴⁶ დეტალურად იხ. *Grunewald in*: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 449 BGB, Rn. 46; *Martens in*: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 398 BGB, Rn. 26;

პრაქტიკა არ ადგენს მაღალ მოთხოვნებს აღნიშნულ განსაზღვრადობასთან დაკავშირებით.

სამომავლო მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში განკარგვა უკვე დასრულებულია მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მომენტიდან, თუმცა გაკოტრების სამართლის თვალსაზრისით, უფლების გადასვლა ხდება მხოლოდ მოთხოვნის წარმოშობის შემდეგ.⁴⁷ ამის შედეგად გერმანულ სამართალში ხდება ისე, რომ სანივთოსამართლებრივად ნამდვილი განკარგვები არ ექვემდებარება ავტომატურად გაკოტრების სამართლებრივ დაცვას.⁴⁸

ექსკურსი: გლობალური ცესიის ურთიერთობა გავრცობილ პირობადადებულ საკუთრებასთან

შემდგომი გასხვისებიდან წარმოშობილი ანაზღაურების მოთხოვნების უფლების წინასწარი ცესია წარმოშობს კონკურენციის პრობლემას პირობადადებული საკუთრების გამყიდველს, როგორც „საქონლის კრედიტით გამცემს“ და ფინანსური მომსახურების გამწვევ, ანუ კრედიტის გამცემ სუბიექტებს (საკრედიტო ინსტიტუტებს) შორის.

საკრედიტო ინსტიტუტები თავიანთი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ხშირად ითვალისწინებენ, რომ სესხის დაბრუნების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მათ ფარულად (გაუმჟღავნებლად) უნდა გადაეცეთ, საქონლის შემდგომი გასხვისებიდან წარმომდგარი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თუკი პირობადადებული საკუთრების გამყიდველი ამის მიუხედავად, პირობადადებული საკუთრების მყიდველთან აფორმებს გავრცობილი პირობადადებული საკუთრების შეთანხმებას, მაშინ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ერთი და იმავე მოთხოვნის ორმაგ ცესიას. ზოგადი პრიორიტეტულობის პრინციპის მიხედვით ასეთ შემთხვევაში ძალაში იქნება ის განკარგვა, რომელიც პირველად განხორციელდა. პრა-

Rosch in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 398 BGB (Stand: 01.02.2023), Rn. 10 ff.

⁴⁷ დეტალურად იხ. BGH, Urteil vom 22. April 2010 - IX ZR 8/07 - ZInsO 2010, 1001, Rn. 9; BGH, Urteil vom 8. Januar 2009 - IX ZR 217/07 - NJW-RR 2009, 755, Rn 26 f.; BGH, Urteil vom 30. Januar 1997 - IX ZR 89/96 - ZIP 1997, 513, Rn. 9; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 21. Dezember 2022 - 4 U 121/20 - ZInsO 2023, 619, Rn. 35.

⁴⁸ დაწვრილებით იხ. BGH, Urteil vom 22. April 2010 - IX ZR 8/07 - ZInsO 2010, 1001, Rn. 9 ff.; BGH, Urteil vom 14. Januar 2010 - IX ZR 78/09 - NJW-RR 2010, 924, Rn. 30 ff.

ქტიკაში, როგორც წესი, უპირატესი იქნება მოთხოვნის დათმობა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების სასარგებლოდ, რადგან მათი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი (სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება) ჩვეულებრივ პირობადებული საკუთრების გამყიდველის მოთხოვნაზე ადრე წარმოიშობა, ვინაიდან ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა წარმოიშობა იმ გასხვისების გარიგებიდან, რომელიც დროში მისდევს საკრედიტო ხელშეკრულების დადებას.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სტაბილური პრაქტიკის მიხედვით, ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთა ზოგადი უპირატესობა წარმოადგენს არასამართლიან გადანყევტას იმ კონფლიქტში, რომელიც წარმოიშობა პირობადებული საკუთრების მყიდველის იმ კრედიტორებს შორის, რომელთა ერთი ნაწილიც ფულადი სახის მოთხოვნაზე უფლებამოსილი, ხოლო მეორე ნაწილი კი - საქონლის დაკრედიტებიდან წარმოშობილ მოთხოვნაზე. ამის გამო ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის (მათ შორის, ფაქტორინგისას არარეალური ფაქტორინგის პირობებში)⁴⁹ სასარგებლოდ განხორციელებული სამომავლო ანაზღაურების მიღების მოთხოვნის უფლების გლობალური ცესია, როგორც წესი, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებად მიიჩნევა და ამდენად, ბათილია, მაშინაც კი, როცა ამ ცესიით მოცულია ის მოთხოვნები, რომლებსაც პირობადებული საკუთრების მყიდველი თავის მიმწოდებლებს სამომავლოდ დაუთმობს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობაში მიღებული გავრცობილი პირობადებული საკუთრების საფუძველზე.⁵⁰

ეს სასამართლო პრაქტიკა ეფუძნება იმ დაშვებას, რომ პირობადებუ-

⁴⁹ ასეთ შემთხვევაში ფაქტორინგული კომპანია აფინანსებს მხოლოდ უზრუნველყოფის მიზნით გადაცემულ (დათმობილ) ნასყიდობის ფასის მოთხოვნას. გადახდასთან დაკავშირებული რისკი რჩება პირობადებული საკუთრების გამყიდველთან. ამდენად, არანამდვილი ფაქტორინგი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ფინანსური მომსახურება, შდრ. BGH, Urteil vom 14. Oktober 1981 - VIII ZR 149/80 - BGHZ 82, 50, Rn. 39. ნამდვილი ფაქტორინგის დროს კი ხდება მოთხოვნის უფლების ყიდვა და არა ფინანსური მომსახურების განწევა, შდრ. BGH, Urteil vom 23. Januar 2002 - X ZR 218/99 - juris Rn. 23; BGH, Urteil vom 15. April 1987 - VIII ZR 97/86 - BGHZ 100, 353, Rn. 25 ff., mwN.

⁵⁰ BGH, Urteil vom 14. Juli 2004 - XII ZR 257/01 - NJW 2005, 1192, Rn. 12; BGH, Urteil vom 23. Januar 2002 - X ZR 218/99 - juris Rn. 23; BGH, Urteil vom 8. Dezember 1998 - XI ZR 302/97 - NJW 1999, 940, Rn. 20; BGH, Urteil vom 21. April 1999 - VIII ZR 128/98 - NJW 1999, 2588, Rn. 20, jeweils mwN; OLG Düsseldorf, Urteil vom 24. August 2023 - I-6 U 248/22 - juris Rn. 54.

ლი საკუთრების მყიდველი (ცედენტი), რომელსაც საქონელი ბიზნესბრუნვის დამკვიდრებული წესების მიხედვით მხოლოდ გავრცობილი პირობადებული საკუთრების დათქმით მიენოდება, ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის (გლობალური ცესიონერი) მხრიდან შესაძლოა ნახალისებულ იქნეს მოტყუებასა და ხელშეკრულების დარღვევაზე, პირობადებული საკუთრების საგნის მიმწოდებლების მიმართ. კერძოდ, თუ იგი (როგორც ეს საჭიროა) გაამყლავნებდა, რომ დათმობილი მოთხოვნის განკარგვის უფლება საერთოდ არ გააჩნია პრიორიტეტული გლობალური ცესიის გამო, მაშინ მიმწოდებლები მას საქონელს მხოლოდ მყისიერი გადახდის პირობით მიაწვდიდნენ და იგი ამით (ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც საქონლის შესაძენად საჭირო დაფინანსებისთვის საკმარისი ფინანსური სახსრები არ ექნებოდა) იძულებით მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამის თავიდან ასაცილებლად, გახანგრძლივებული პირობადებული საკუთრებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, როგორც წესი, უპირატესობა უნდა ჰქონდეს გლობალურ ცესიასთან მიმართებით სანივთო მოქმედებით და არა მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი ეფექტით.⁵¹

2.2.4. ე.წ. გაფართოებული პირობადებული საკუთრება

მაშინ როცა გავრცობილი პირობადებული საკუთრება მიჰყვება მიწოდებული საქონლის გასაღების/რეალიზაციის პროცესის მიმდინარეობას (ვერტიკალური გაფართოება), ე.წ. გაფართოებული პირობადებული საკუთრება (*sog. erweiterte Eigentumsvorbehalt*) გარდა ნასყიდობის ფასის მოთხოვნისა, მოიცავს გამყიდველის სხვა მოთხოვნებსაც (ჰორიზონტალური გაფართოება).⁵² გაფართოებული პირობადებული საკუთრების ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა ე.წ. კონტოკორენტის პირობადებული საკუთრება, რომლის დროსაც მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობიდან წარმოშობილი ყველა მოთხოვნა უზრუნველყოფილია წინასწარ დათმობილი (ანტიციპირებული) მოთხოვნებით.⁵³

⁵¹ BGH, Urteil vom 23. Januar 2002 - X ZR 218/99 - juris Rn. 23; BGH, Urteil vom 21. April 1999 - VIII ZR 128/98 - NJW 1999, 2588, Rn. 20.

⁵² Grunewald in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 449 BGB, Rn. 54.

⁵³ იხ. BGH, Urteil vom 17. März 2011 - IX ZR 63/10 - BGHZ 189, 1, Rn. 32; Staudinger/Fervers (2024) BGB § 449, Rn. 245.

სასამართლო პრაქტიკა ასეთ დებულებას ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის წესრიგთან თავსებადად მიიჩნევს.⁵⁴ თუმცა, სულ მცირე მაშინ, როცა გაფართოებული პირობადებული საკუთრების შენარჩუნება შედის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, აუცილებელია არსებობდეს გარკვეული კავშირი დათმობილ ანაზღაურების მოთხოვნებსა და უზრუნველყოფილ მოთხოვნებს შორის;⁵⁵ ასეთი კავშირი, როგორც წესი, არსებობს კონკრეტული საქონლის ან საქონლის ჯგუფების მიწოდებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობის შემთხვევაში, კონტოკორენცის პირობადებული საკუთრების ფარგლებში.

2.2.5. ე.წ. შემდგომში შეთანხმებული პირობადებული საკუთრება

შემდგომში შეთანხმებული პირობადებული საკუთრების (*sog. nachträglicher Eigentumsvorbehalt*) საკითხი წარმოიშობა მაშინ, როცა ხელშეკრულების მხარეები ნასყიდობის ხელშეკრულებას პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმების გარეშე აფორმებენ, ხოლო მოგვიანებით კი გამყიდველი ცდილობს, შეთანხმებას თავის სასარგებლოდ საკუთრების შენარჩუნების პირობა დაამატოს. შემდგომში შეთანხმებული პირობადებული საკუთრების დროს ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ შემდეგი სიტუაციები:

პირველი - ხელშეკრულების მხარეები, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მაგრამ საქონლის საკუთრების გადაცემამდე, ათანხმებენ, რომ საქონელი პირობადებული საკუთრების ფორმით უნდა გასხვისდეს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, ის რომ გამყიდველი და მყიდველი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ შეთანხმდნენ გა-

⁵⁴ ეს მიდგომა დამატებით დასტურდება ბგბ-ს § 449 III ნაწილიდან გაკეთებული საწინააღმდეგო დასკვნით, რომლის მიხედვითაც ბათილია ისეთი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საკუთრების გადასვლა დამოკიდებულია მესამე პირების, მათ შორის განსაკუთრებით დაკავშირებული კომპანიების (ე.წ. კონცერნის პირობადებული საკუთრება - *Konzernvorbehalt*) მოთხოვნათა დაფარვაზე.

⁵⁵ ზოგიერთ ნაწილში შედარებით არაერთგვაროვნად გადანყვეტილი დეტალებისთვის შდრ. *Staudinger/Fervers* (2024) BGB § 449, Rn. 243 ff.; *Müller* in: *Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 449 BGB (Stand: 08.08.2023), Rn. 131 ff. სიფრთხილის მიზნით გაკეთებული მითითება: კონცერნის პირობადებულ საკუთრებასთან დაკავშირებული ადრინდელი სასამართლო პრაქტიკა ნაწილობრივ უკვე მოძველებულია 2002 წელს ბგბ-ს § 499 პარაგრაფისთვის მე-3 ნაწილის დამატების შედეგად.

დახდის განვადებაზე ან შესაძლოა, მყიდველს მიეცეს უფლება, რომ ნასყიდობის ფასი მოგვიანებით გადაიხადოს, მიზეზი შესაძლოა იყოს ისიც, რომ მყიდველის ეკონომიკური მდგომარეობა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაუარესდა. ასეთი შეთანხმება, რომელსაც ადგილი აქვს სანივთო გარიგების დადებამდე, წარმოადგენს უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებას, რომელიც ცვლის ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას, სანივთოსამართლებრივი კუთხით რაიმე სპეციფიკური საკითხები არ წარმოიშობა.⁵⁶

მეორე - ნასყიდობის ხელშეკრულების დადების და საკუთრების გადაცემის (*Übereignung*) შემდგომ, მხარეები ათანხმებენ პირობადებულ საკუთრებას. ეს შესაძლოა მოხდეს მაშინ, როცა მაგალითად, მყიდველი ნასყიდობის ფასის გადახდის ვადაგადაცილებაშია და გამყიდველი, იმის გამო, რომ ნივთზე სანივთო უზრუნველყოფა არ გააჩნია, აცხადებს, რომ სურს ხელშეკრულებიდან გასვლა.

თუ ხელშეკრულების მხარეები უკვე ნივთის გადაცემის შემდეგ შეთანხმდებიან პირობადებულ საკუთრებაზე, მაშინ აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი მხარეები. იურიდიულად არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა, თუ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს შემდგომი შეთანხმება პირობადებულ საკუთრებაზე.

თეორიულად შესაძლებელია, უკვე გადაცემულ ნივთზე პირობადებული საკუთრების დადგენა შემდეგი საფეხურების გზით: პირველი ნაბიჯი - სტატუს ქვო-ს აღდგენა, რაც გულისხმობს იმას, რომ მყიდველი, რომელსაც უკვე გადაცემული აქვს ნივთი და შესაბამისად, მასზე საკუთრება, უკან გადასცემს გამყიდველს ნივთს საკუთრებაში, რასაც ახორციელებენ შუალობითი მფლობელობის ურთიერთობის (*Besitzmittlungsverhältnis*) მეშვეობით, რა დროსაც ნივთი ფიზიკურად მყიდველთან რჩება, ხოლო გამყიდველი კი ხდება არაპირდაპირი მფლობელი; მეორე ნაბიჯი - პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმება გადაცემის ცალკე სანივთო აქტით (*Übertragungsakt*) უნდა განხორციელდეს, ანუ გამყიდველი ხელახლა გადასცემს ნივთს მყიდველს, თუმცა პირობადებულობის დათქმით, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლების გადასვლა მხოლოდ

⁵⁶ შდრ. Müller in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 449 BGB (Stand: 08.08.2023), Rn. 32.

ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის პირობის დადგომით მოხდება.⁵⁷ თუმცა, ასეთი კონსტრუქცია, რომელიც ორ ცალკე სანივთო გარეგებას მოიცავს, როგორც წესი, ორივე მხარის ინტერესებს მარტივად ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ პრაქტიკულად უფრო მიზანშეწონილია, ჩვეულებრივ, ქვემოთ წარმოდგენილი ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევა, რომლებიც მხოლოდ გადაცემის ერთ აქტს მოითხოვს.

ერთი მხრივ, გამყიდველს შეუძლია მყიდველთან შეთანხმებული შუალობითი მფლობელობის ურთიერთობის საფუძველზე შეიძინოს უზრუნველმყოფი საკუთრება, რომელიც ნასყიდობის ფასის გადახდის გაუქმების პირობით იქნება დატვირთული. მარტივად რომ ავხსნათ, შუალობითი მფლობელობის ურთიერთობის საფუძველზე ნივთი მყიდველის პირდაპირ მფლობელობაში რჩება, თუმცა უზრუნველყოფის მიზნით, საკუთრების უფლება გადადის გამყიდველზე და გაუქმების პირობის დადგომის შემთხვევაში - ანუ ნასყიდობის ფასის სრული გადახდით - საკუთრება ავტომატურად უბრუნდება მყიდველს, ყოველგვარი დამატებითი მოქმედების გარეშე.

მეორე მხრივ, შესაძლებელია გამყიდველს გადაეცეს მყიდველის მოლოდინის უფლებით „შემცირებული“ საკუთრება იმ გზით, რომ საკუთრების შექმნა დამოკიდებული იყოს ნასყიდობის ფასის სრულად გადახდაზე, როგორც გაუქმების პირობაზე.⁵⁸ მარტივად რომ ავხსნათ, გამყიდველს გადაეცემა საკუთრების უფლება, თუმცა ეს საკუთრების უფლება არ იქნება „სრულყოფილი“, არამედ ის დატვირთული იქნება მყიდველის მოლოდინის უფლებით, ანუ მყიდველის სამართლებრივად დაცული პოზიციით, რომ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ ის ავტომატურად გახდება მესაკუთრე, რაც გამყიდველს ართმევს უფლებას, რომ თვითნებური ცალმხრივი მოქმედებით ჩამოართვას მყიდველს საკუთრების უფლების შექმნის სამართლებრივად დაცული პოზიცია. გაუქმების პირობის მოქმედება გამოიხატება შემდეგში - ფასის გადახდით ავტომატურად გადადის საკუთრება მყიდველზე, ისე რომ რაიმე დამატებითი მოქმედების განხორციელება ან შეთანხმება არ არის საჭირო. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს გზები როგორც წესი, აკმაყოფილებს გამყიდველის უზრუნველყოფის საჭიროებას. თუმცა, გერმანიაში გაკოტრების

⁵⁷იხ. იქვე, Rn. 33; *Herresthal* in: Staudinger, Eckpfeiler des Zivilrechts, 9. Auflage 2024, Das Recht der Kreditsicherung, Rn. L 214.

⁵⁸ ასევე იხ. *Müller* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 449 BGB (Stand: 08.08.2023), Rn. 35; *Herresthal* in: Staudinger, Eckpfeiler des Zivilrechts, 9. Auflage 2024, Das Recht der Kreditsicherung, Rn. L 214.

სამართლის ფარგლებში მათი განხილვისას შესაძლოა განსხვავებები წარმოიშვას.⁵⁹

მარტივად რომ შევაჯამოთ: შესაძლებელია საკუთრების უფლების უკან გადაცემით აღდგეს თავდაპირველი მდგომარეობა (*Status quo*) და შემდგომ მოხდეს შეთანხმება პირობადებულ საკუთრებაზე; ან შესაძლებელია, პირობადებულ საკუთრებასთან გათანაბრებული სამართლებრივი ურთიერთობა მიღწეულ იქნეს საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის მეშვეობით.

მესამე - ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მხარეებს პირობადებული საკუთრება არ შეუთანხმებიათ. თუმცა, გამყიდველი მოულოდნელად აცხადებს, რომ ის საკუთრებას მხოლოდ იმ პირობით გადასცემს მყიდველს, თუ ეს უკანასკნელი ნასყიდობის ფასს ერთიანად სრულად გადაიხდის. ასეთი ცალმხრივად გაკეთებული დათქმა პირობადებულ საკუთრებაზე მოიხსენიება როგორც ხელშეკრულების საწინააღმდეგო პირობადებული საკუთრება.⁶⁰ აღნიშნული ემყარება იმ გარემოებას, რომ უპირობო საკუთრების გადაცემაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

გამიჯვნის პრინციპის გამო აუცილებელია მკაცრად გაიმიჯნოს ვალდებულებითი და სანივთო მხარეები. ვალდებულებით-სამართლებრივი თვალსაზრისით, უპირობო საკუთრების გადაცემაზე უარის თქმით, გამყიდველი საერთო წესების მიხედვით ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი ხდება. მას დარღვეულად ეთვლება ვალდებულება მყიდველისთვის უპირობო საკუთრების გადაცემაზე.⁶¹ სანივთოსამართლებრივად მოქმედებს შემდეგი წესი:

სამართლებრივი ძალის არ მქონეა, როცა გამყიდველი ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ განაცხადებს პირობადებული საკუთრების დათქმას, მაგალითად, საქონლის გადაცემის შემდეგ გაგზავნილი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გზით. ამ მომენტისთვის საკუ-

⁵⁹ დაწვრილებით იხ. Müller in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 449 BGB (Stand: 08.08.2023), Rn. 34.

⁶⁰ ამ საკიხთან დაკავშირებით იხ. რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების წიგნი, თბ., 2019, 155.

⁶¹ შდრ. Müller in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 449 BGB (Stand: 08.08.2023), Rn. 26 mwN).

თრების გადაცემა უკვე დასრულებულია, ამიტომ ასეთი დათქმა უშინაარსოა.⁶² საკანონმდებლო თვალსაზრისით, საკუთრების შექმნა შეუძლებელია, თუ მხარეებს შორის არ ყოფილა შეთანხმება საკუთრების უფლების გადაცემაზე (სასურველია ეს შეთანხმება იყოს აშკარად გამოხატული ან კონკლუდენტური სახით მოცემული). ასეთი შეთანხმება არ არსებობს, როცა გამყიდველი შემდგომში, განსაკუთრებით კი ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, აცხადებს, რომ ის ინარჩუნებს საკუთრების უფლებას ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე.⁶³ ამით ცხადდება, რომ მყიდველმა საკუთრება ვერ შეიძინა. ასეთი გაცხადების სამართლებრივი შედეგები დამოკიდებულია მხარეთა გამოხატული ან კონკლუდენტური განცხადებების ინტერპრეტაციაზე და იმაზე, თუ რა ინტერესები აქვთ მათ.

პირველ ეტაპზე შესაძლოა განხილულ იქნეს, რომ მყიდველი ნასყიდობის საგნის მიღებით, კონკლუდენტურ თანხმობას გამოხატავს გამყიდველის მიერ დეკლარირებულ საკუთრების დათქმაზე და ამით იცვლება ნასყიდობის ხელშეკრულება. თუმცა, თუ გადახდა არ ხდება საქონლის გადაცემისთანავე, ასეთი თანხმობის დადასტურება ბევრად უფრო რთულია. ასეთ სიტუაციაში მყიდველს თითქმის არ აქვს მიზეზი, უარი თქვას, უპირობო საკუთრების გადაცემის მოთხოვნაზე.⁶⁴ ანუ მყიდველს არ აქვს იმის საფუძველი, რომ სრული საკუთრების ნაცვლად პირობადებული საკუთრების მიღებას დასთანხმდეს.

სიტუაცია განსხვავდება იმ შემთხვევაში, როცა ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, გადახდა საქონლის გადასაცემთანავე უნდა განხორციელდეს, მაგალითად, ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებული გარიგებების შემთხვევაში ნაღდი ანგარიშსწორებისას ან მეორადი ავტომობილის შექმნისას. თუ ამ ვითარებაში მყიდველი ვერ ახორციელებს გადახდას, ის თავად იქცევა ხელშეკრულების სანინაალმდეგოდ. თუმცა, თუ გამყიდველი მაინც მზად არის გადასცეს მას საქონელი მფლობელობაში და ამავდროულად გადასცეს საკუთრების უფლებაც, სწორედ აქ

⁶² BGH, Urteil vom 9. Juli 1975 - VIII ZR 89/74 - BGHZ 64, 395, Rn. 23; Müller in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 449 BGB (Stand: 08.08.2023), Rn. 25.

⁶³ შდრ. BGH, Urteil vom 13. September 2006 - VIII ZR 184/05 - NJW 2006, 3488, Rn. 11; BGH, Urteil vom 25. Oktober 1978 - VIII ZR 206/77 - NJW 1979, 213, Rn. 22; BGH, Urteil vom 9. Juli 1975 - VIII ZR 89/74 - BGHZ 64, 395, Rn. 23; BGH, Urteil vom 2. Oktober 1952 - IV ZR 2/52 - juris Rn. 28.

⁶⁴ შდრ. Beckmann in: Staudinger, Eckpfeiler des Zivilrechts, 9. Auflage 2024, Kauf Rn. N. 350; Staudinger/Beckmann (2013) BGB § 449, Rn. 33 mwN).

ჩნდება მისი (გამყიდველის) უსაფრთხოების საჭიროება. ამგვარ შემთხვევებში, ხელშეკრულების კონკლუდენტური ცვლილება ნარმოიქმნება იმიტომ, რომ გამყიდველი მყიდველის ხელშეკრულების სანინაალმდეგო ქცევას არ იყენებს იმის საბაზად, რომ უარი თქვას ნივთის გადაცემაზე (როგორც მფლობელობაში, ისე საკუთრებაში). ამიტომაც, მეორადი ავტომობილის შეძენის შემთხვევაში, შემდგომში შეთანხმებული პირობადებული საკუთრების ნამდვილობისთვის საკმარისია, თუკი გამყიდველი მყიდველს გადასცემს მანქანას, მაგრამ არა სატრანსპორტო დოკუმენტებს; ეს საკმარისია იმისთვის, რომ გამოხატულად ჩაითვალოს მისი (გამყიდველის) სურვილი, უსაფრთხოების საქონლით უზრუნველყოფაზე,⁶⁵ ანუ აშკარა უნდა იყოს ის, რომ გამყიდველი ნივთზე საკუთრების უფლებას იტოვებს იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ნასყიდობის სრული ფასის გადახდა.

პრაქტიკაში უმთავრესი კითხვაა, შეცნობადად დაადგინა თუ არა გამყიდველმა საქონლის გადაცემა პირობადებული საკუთრების ხელშეკრულების სანინაალმდეგო დათქმით (ანუ შეცნობადად დაუკავშირა თუ არა, საკუთრების უფლების გადაცემა ნასყიდობის ფასის სრულ გადახდას). სასამართლო პრაქტიკა აქ მაღალ მოთხოვნებს ადგენს, რადგან მყიდველი უმეტესად დარწმუნებულია, რომ გამყიდველი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს, ანუ სრულ საკუთრებას გადაცემს. ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულების სანინაალმდეგოდ დათქმული პირობადებული საკუთრება აშკარად შეცნობადი (შესამჩნევი) უნდა იყოს. მაგალითად, არ არის საკმარისი, რომ გამყიდველმა პირობადებულობის შესახებ დათქმა მიუთითოს საქონლის მიწოდების დოკუმენტში ან ანგარიშსწორების დოკუმენტში პატარა ან დამალული შრიფტით, რომელშიც მითითებული იქნება, რომ საკუთრება მყიდველზე გადავა მხოლოდ ნასყიდობის ფასის სრული გადახდით.⁶⁶ მყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულების სანინაალმდეგოდ დათქმული პირობადებული საკუთრების მიღებაზე.

⁶⁵ შდრ. BGH, Urteil vom 13. September 2006 - VIII ZR 184/05 - NJW 2006, 3488, Rn. 12 ff.

⁶⁶ სრულყოფილად იხ. BGH, Urteil vom 25. Oktober 1978 - VIII ZR 206/77 - NJW 1979, 213, Rn. 24 ff.; Müller in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 449 BGB (Stand: 08.08.2023), Rn. 25; Staudinger/Beckmann (2013) BGB § 449, Rn. 32; Habersack in: Ulmer/Brandner/Hensen AGB-Recht, 13. Auflage 2022, § 305 BGB, Rn. 127; Staudinger/C Heinze (2020) BGB § 929, Rn. 16; Staudinger/Beckmann (2013) BGB § 449, Rn. 32); რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების წიგნი, თბ., 2019, 156.

2.2.6. გადაჭარბებული უზრუნველყოფა

გავრცობილმა ან გაფართოებულმა პირობადებულმა საკუთრებამ შეიძლება პირობადებული საკუთრების გამყიდველის გადაჭარბებული უზრუნველყოფა (*Übersicherung*) გამოიწვიოს, რის შედეგადაც პირობადებული საკუთრების მყიდველმა, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი რესურსები, შესაძლოა დაკარგოს თავისუფალი სამენარმეო სივრცე (ე.წ. „ზედმეტი შეზღუდვა“ – *sog. „Knebelung“*). ამასთან ერთად არსებობს რისკი, რომ პირობადებული საკუთრების მყიდველის ხელთ არსებული ლიკვიდური საშუალებები და ქონებრივი აქტივები, ერთ-ერთი სესხის გადაჭარბებული უზრუნველყოფის გამო, აღარ იქნება საკმარისი პირობადებული საკუთრების მყიდველის სხვა კრედიტორების მოთხოვნების სათანადოდ უზრუნველყოფისთვის. შედეგად შეიძლება წარმოიშვას პრივილეგირებულ კრედიტორთა ჯგუფი, რის გამოც კრედიტორთა სხვა ჯგუფი შესაძლოა არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს (ე.წ. „კრედიტორთათვის საფრთხის შექმნა“ – *sog. Gläubigergefährdung*).

ამასთან, პირობადებული საკუთრების მყიდველი გადაჭარბებული უზრუნველყოფის შედეგად შეიძლება მივიდეს იმ მოჩვენებით მდგომარეობამდე - როცა სხვა მიმწოდებლებთან, რომლებთანაც მას ასევე სურს (ხშირად უწევს რეალური ალტერნატივების არარსებობის გამო) ე.წ. გავრცობილი პირობადებული საკუთრების შეთანხმება - რომ თითქოსდა გააჩნდეს პირობადებული საკუთრებით შექმნილი საქონლის შემდგომი გასხვისებიდან წარმომდგარი მოთხოვნის განკარგვის უფლებამოსილება, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნის უფლება უკვე ცედირებულია პირობადებული საკუთრების სხვა გამყიდველზე ან ფინანსური მომსახურების მიმწოდებელზე (ე.წ. ხელშეკრულების დარღვევის ხელშეწყობა). ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა პირობადებული საკუთრების მყიდველი არალიკვიდური ან აქვს თუ არა მეტისმეტად დიდი ვალი. რეალურად არ არსებული განკარგვის უფლებამოსილების ქონის მოჩვენებითი წარმოდგენა (ანუ თავის მოჩვენება, რომ თითქოსდა არსებობს განკარგვის უფლებამოსილება), კერძოდ, უზრუნველყოფის მიზნით ცედირებული მოთხოვნის განკარგვის უფლებამოსილება, უკვე საკმარისია თაღლითური ქმედების არსებობის ვარაუდისათვის.

ამის თავიდან ასაცილებლად გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ, ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების მიზნით, შეიმუშავა ე.წ. „უზრუნველყოფის შეზღუდვა“.

ნველყოფის გათავისუფლების დათქმა“ („*Freigabeklauseln*“), რომლის მიხედვითაც, პირობადებული საკუთრების მყიდველისა და მისი სხვა გამყიდველების დაცვის მიზნით, უზრუნველყოფ უფლებებთან დაკავშირებული შეთანხმებები - მათ შორის გავრცობილი ან გაფართოებული პირობადებული საკუთრების დათქმა - როგორც წესი, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიხედვით არანამდვილია ან ზნეობის საწინააღმდეგო, თუ უზრუნველყოფის მიმცემი (პირობადებული საკუთრების მყიდველი) არასამართლიანი ზედმეტი უზრუნველყოფისგან არ არის დაცული იმ გზით, რომ უზრუნველყოფი უფლება უნდა გათავისუფლდეს წინასწარ კონკრეტულად განსაზღვრული დაფარვის ზღვრის გადაჭარბების შემთხვევაში.⁶⁷ უზრუნველყოფის გათავისუფლების დათქმა ხელს უწყობს არასამართლიანი გადაჭარბებული უზრუნველყოფის თავიდან აცილებას. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, შეუძლია თუ არა ხელშეკრულების დათქმას ზოგადი შეფასებისას არაპროპორციული ზედმეტი უზრუნველყოფის გამორიცხვა და არა იმას, რეალურად მოხდა თუ არა ზედმეტი უზრუნველყოფა.⁶⁸

2.3. საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა

2.3.1. უზრუნველყოფი საკუთრების შინაარსი და სამართლებრივი ბუნება

საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა (*Sicherungsübereignung*)⁶⁹ კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნული ინსტიტუტი ქართული სამართლისთვის ამჟამად უცხოა, თუმცა გერმანული მართლწესრიგის მსგავსად, ის ქართული სამოქალაქო სამართლის სისტემასაც შეესაბამება.

საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ უზრუნველყოფის გამცემი და უზრუნველყოფის მიმღები. უზრუნველყოფის გამცემი უზრუნველყოფის მიმღებს გადასცემს მოძრავ ნივთს საკუთრებაში მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. უზრუნვე-

⁶⁷ იხ. BGH, Urteil vom 2. Juni 2022 - V ZR 132/21 - NJW 2022, 2544, Rn. 22 f. BGH, Urteil vom 19. April 2018 - IX ZR 230/15 - BGHZ 218, 261, Rn. 65.

⁶⁸ BGH, Urteil vom 9. Februar 1994 - VIII ZR 176/92 - BGHZ 125, 83, Rn. 16, mwN.

⁶⁹ შესაძლოა ასევე ითარგმნოს როგორც „ფიდუციარული საკუთრების უფლების გადაცემა“, იხ. *ვოლფი/ველენჰოფერი*, საწინააღმდეგო სამართალი, 29-ე გამოცემა, *ჭეჭელაშვილი (თარგმ.)*, თბ., 2016, 324, ველი 1.

ლმყოფი საკუთრების საგანი ასევე შეიძლება იყოს მოძრავ ნივთებზე მოლოდინის უფლებაც.⁷⁰ უზრუნველყოფის მიმღები მართალია იძენს ჩვეულებრივ საკუთრების უფლებას, თუმცა უზრუნველყოფის გამცემთან არსებულ შიდა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შეზღუდულია უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებით, რომლითაც აკრძალულია, უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომამდე, ნივთზე განკარგვითი გარიგებების დადება. უზრუნველმყოფი საკუთრების ფარგლებში ნივთის პირდაპირ მფლობელად რჩება უზრუნველყოფის გამცემი, უზრუნველყოფის მიმღები კი როგორც მესაკუთრე, ხდება არაპირდაპირი მფლობელი. საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას წარმოადგენს - უზრუნველყოფის გამცემი (მოვალე) ენდობა უზრუნველყოფის მიმღებს (კრედიტორი), რომ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფის მიზნით გადაცემულ ნივთს მხოლოდ შეთანხმებისამებრ განკარგავს და უკან დააბრუნებს მასზე საკუთრების უფლებას, როცა შესრულდება უზრუნველყოფილი მოთხოვნა ან სხვაგვარად გაუქმდება ის.⁷¹ შესაძლებელია, უზრუნველყოფის გამცემი იმავდროულად არ იყოს მოთხოვნის მოვალე და ეს ხდება მაშინ, როცა სხვა პირი კისრულობს პირადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფას.⁷² იმ შემთხვევაში როცა უზრუნველყოფის გამცემი და პირადი მოვალე სხვადასხვა პირია, მაშინ როგორც წესი, უზრუნველყოფის გამცემი ფლობს გამოსყიდვის უფლებას იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რაც ნივთის რეალიზაციასთან არის დაკავშირებული.⁷³

მიუხედავად ზოგადად მიღებული ტერმინოლოგიური აღნიშვნისა - „უზრუნველმყოფი საკუთრება“, ის არ წარმოადგენს საკუთრების რაიმე განსაკუთრებულ ფორმას, არამედ სანივთო-სამართლებრივი თვალსაზრისით, ის მიიჩნევა, როგორც მოძრავი ნივთის „ჩვეულებრივი/ნორმალური“ საკუთრება.⁷⁴ შესაბამისად, დელიქტური სამართლის თვალსაზრისითაც,

⁷⁰ *Vieweg/Werner, Sachenrecht*, 8.Aufl., 2018, 389, Rn. 7.

⁷¹ *Çetinel, Eigentumsvorbehalt und andere Mobiliarsicherheiten*, Mohr Siebeck Tübingen, 2018, 181-182.

⁷² *ვოლფი/ველენჰოფერი*, სანივთო სამართალი, 29-ე გამოცემა, *ჭეჭელაშვილი (თარგმ.)*, თბ., 2016, 325, ველი 3.

⁷³ *Vieweg/Werner, Sachenrecht*, 8.Aufl., 2018, 397, Rn. 21.

⁷⁴ შდრ. *Federlin* in: *Kümpel/Mülbert/Früh/Seyfried, Bankrecht und Kapitalmarktrecht*, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn. 8.4435.

ის სარგებლობს „სრული საკუთრების“ დაცვით.⁷⁵ ტერმინი „უზრუნველმყოფი საკუთრება“ უბრალოდ გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომ ეს საკუთრება უზრუნველყოფის შესახებ ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებით არის ფიდუციურად შებოჭილი⁷⁶ და უზრუნველყოფის გამცემი მხოლოდ უზრუნველყოფილი მოთხოვნის დადგომამდეა უფლება-მოსილი, რომ პირდაპირ მფლობელობაში ჰქონდეს ნივთი.

რადგან უზრუნველმყოფი საკუთრება „ჩვეულებრივ“ საკუთრებას წარმოადგენს, ამდენად ის არ არის აქცესორული უზრუნველყოფის საშუალება.⁷⁷ თუკი სხვაგვარად აშკარად არის არის ნაგულისხმევი, მაშინ უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება და უზრუნველმყოფი გადაცემა არ ქმნიან სამართლებრივ ერთიანობას ბგ-ს § 139 პარაგრაფის გაგებით (შედარებადია სკ-ს 370-ე მუხლის მე-2 ნაწილში გამოსატულ სამართლებრივ აზრთან ეკონომიკური ერთიანობის თვალსაზრისით).⁷⁸

მართალია ხელშეკრულების მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ შეთანხმდნენ სანივთო-სამართლებრივ ფარგლებში დასაშვებ ნებისმიერ პირობით კავშირზე⁷⁹, მაგრამ პრაქტიკაში, როგორც წესი, ამ შესაძლებლობას იშვიათად იყენებენ, რადგან ასეთი სახელშეკრულებო კონსტრუქცია უზრუნველყოფის მიმღების ინტერესებს არ შეესაბამება (ხელშეკრულების ძირითად პირობებს კი სწორედ ის ადგენს).⁸⁰ გარდა ამისა, შესაძლებელია იმგვარი სახელშეკრულებო კონსტრუქციის გამოყენებაც, რომელიც ე.წ. გავრცობილი პირობადებული საკუთრების შემთხვევაში გამოიყენება ხოლმე.⁸¹ ეკონომიკური თვალსაზრისით ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმ შემთხვევაში, როცა უზრუნველყოფის გამცემს თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, ჩვეულებრივ, უწევს უზრუნველმყოფი საგნის გასხვისება ან გადამუშავება.

⁷⁵ BGH, Urteil vom 7. März 2017 - VI ZR 125/16 - NJW 2017, 2352, Rn. 19; BGH, Urteil vom 12. Mai 1992 - VI ZR 257/91 - BGHZ 118, 201, Rn. 12.

⁷⁶ BGH, Beschluss vom 27. November 1997 - GSZ 1/97 - BGHZ 137, 212, Rn. 36.

⁷⁷ BGH, Beschluss vom 27. November 1997 - GSZ 1/97 - BGHZ 137, 212, Rn. 38; BGH, Beschluss vom 27. November 1997 - GSZ 1/97 - BGHZ 137, 212, Rn. 38.

⁷⁸ BGH, Urteil vom 14. Juli 1994 - IX ZR 110/93 - NJW 1994, 2885, Rn. 18.

⁷⁹ შდრ. BGH, Urteil vom 2. Februar 1984 - IX ZR 8/83 - NJW 1984, 1184, Rn. 23 ff.; *Beckmann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 930 BGB (Stand: 15.03.2023), Rn. 36.

⁸⁰ შდრ. BGH, Urteil vom 2. Februar 1984 - IX ZR 8/83 - NJW 1984, 1184, Rn. 27.

⁸¹ *Beckmann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 930 BGB (Stand: 15.03.2023), Rn. 48.

2.3.2. უზრუნველმყოფი საკუთრების გარიგებითი კომპონენტები

საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის სამართლებრივ ცენტრში დგას არაპირდაპირ მფლობელობასთან დაკავშირებული სანივთო შეთანხმება, რომელიც მფლობელობის კონსტიტუტის (*Besitzkonstitut*) სახელით მოიხსენიება. ეს ნიშნავს იმას, რომ საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის დროს საკუთრების უფლების მოპოვება ხდება ე.წ. გადაცემის სუროგატით, ანუ უზრუნველმყოფის მიმღები საკუთრების უფლებას იძენს იმგვარად, რომ ის ხდება ნივთის არაპირდაპირი მფლობელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემისას საკუთრების შექმნა ხორციელდება გადაცემის სუროგატის მეშვეობით, რა დროსაც გადაცემას ანაცვლებს შუალობით მფლობელობით ურთიერთობაზე (*Besitzmittlungsverhältnis*) შეთანხმება.

შუალობითი მფლობელობითი ურთიერთობის წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ბგბ-ს § 930-ე პარაგრაფი.⁸² აღნიშნულ დანაწესს შეესაბამება სკ-ს 186 II 2 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ნივთის გადაცემად ითვლება არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად.“

გერმანული სასამართლო პრაქტიკა ნივთის შუალობითი მფლობელობის დამდგენი ხელშეკრულების მიმართ მაღალ მოთხოვნებს არ აყენებს. მისი არსებობის დასაშვებად, საბოლოო ჯამში, საკმარისია ფლობის დამაფუძნებელი ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა. მაშინაც კი, თუ უზრუნველმყოფის შესახებ შეთანხმება არ შეიცავს პირდაპირ მონესრიგებას, მისგან მაინც კონკლუდენტურად გამომდინარებას ბგბ-ს § 930 პარაგრაფის მიხედვით გადაცემისთვის საჭირო გადაცემის სუროგატი, რომლის მიხედვითაც, შემძენი არაპირდაპირ მფლობელობას იძენს.⁸³ შესაბამისად, საკმარისია პირდაპირი მფლობელის ნება შუალობით

⁸² ბგბ-ს § 930 პარაგრაფის მიხედვით, „თუ ნივთს ფლობს მესაკუთრე, ნივთის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ მასსა და შემძენს შორის შეთანხმებულ იქნეს სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც შემძენი იძენს არაპირდაპირ მფლობელობას.“

⁸³ BGH, Urteil vom 20. September 2004 - II ZR 318/02 - NJW-RR 2005, 280, Rn. 17; BGH, Urteil vom 2. Mai 1979 - VIII ZR 207/78 - NJW 1979, 2308, Rn. 16 ff.; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 3. Mai 2006 - 1 U 265/05 - juris Rn. 8.

მფლობელობით ურთიერთობაზე და არაპირდაპირი მფლობელის ნება - არაპირდაპირი მფლობელობით დაკმაყოფილებაზე.⁸⁴

საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის ურთიერთობის დადგენისთვის საჭიროა უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება (*Sicherungsabrede*), რომელიც არის ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს გადაცემის სამართლებრივ საფუძველს და ქმნის შუალობით მფლობელობით ურთიერთობას უზრუნველყოფის გამცემსა და მის მიმღებს შორის. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე უზრუნველყოფის მიმღები ვალდებულებით-სამართლებრივად იზღუდება, რომ არ განკარგოს უზრუნველყოფის საგანი ხელშეკრულების პირობების სანინაალმდეგოდ.

როგორც წესი, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა არ არის აქცესორული ბუნებით კონსტრუირებული. უზრუნველყოფის მიმღებს, რომელიც უმეტესად ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ადგენს უზრუნველყოფის შეთანხმებას, აქვს ლეგიტიმური ინტერესი, რომ სანივთოსამართლებრივი მდგომარეობა არ იყოს დამოკიდებული უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად შესრულებასთან დაკავშირებულ გაურკვეველობებზე; მაგალითად, სამართლებრივად არცთუ ყოველთვის მარტივად დასადგენი ვადაგადაცილების ხარჯების ან შეტყობინების/გაფრთხილების ხარჯების გამოთვლაზე, ან გადახდების ჩათვლაზე ვადაგადაცილებულ თუ მიმდინარე ვალდებულებებში. სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, როგორც წესი, განსაზღვრულია, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულება იწვევს „მხოლოდ“ ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნას უზრუნველყოფის საგნის უკან გადაცემის შესახებ და არა მის „ავტომატურ“ დაბრუნებას (საკუთრების ავტომატურ დაბრუნებას) (როგორც ეს იქნებოდა გაუქმების პირობის შემთხვევაში).⁸⁵ ასეთი უკან გადაცემისთვის, ბგბ-ს § 929 II პარაგრაფის მიხედვით⁸⁶, საკმარისია სანივთო შეთანხმება, რადგან უზრუნველყოფის გამცემს,

⁸⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით შემდგომ დეტალებთან ერთად სრულყოფილად იხ. *Staudinger/C Heinze* (2020) BGB § 930, Rn. 12 ff.; ასევე შდრ. OLG Frankfurt, Urteil vom 22. Februar 2019 - 13 U 129/17 - juris Rn. 12.

⁸⁵ *ვოლფი/ველენჰოფერი*, სანივთო სამართალი, 29-ე გამოცემა, *ჭეჭელაშვილი (თარგმ.)*, თბ., 2016, 327, ველი 8.

⁸⁶ ბგბ-ს § 929 პარაგრაფის მიხედვით, „მოდრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკმარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება.“

უზრუნველმყოფი საკუთრების გადაცემის დროს, ისედაც პირდაპირ მფლობელობაში აქვს უზრუნველყოფის საგანი.

იმ შემთხვევაში თუ საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა (გამონაკლისის სახით) გაუქმების პირობით არის დადებული, მაშინ უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრული შესრულებისთანავე საკუთრების უფლება ავტომატურად უზრუნველყოფის გამცემს უბრუნდება.⁸⁷ მანამდე მას (უზრუნველყოფის გამცემს) აქვს მოლოდინის უფლება, რაც განსხვავდება ნივთის უკან გადაცემის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნისგან.⁸⁸

2.3.3. ნივთთა ერთობლიობით უზრუნველყოფა

საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის ინსტიტუტი შესაძლებელს ხდის, რომ უზრუნველმყოფ საგნად გამოყენებულ იქნეს ნივთთა ერთობლიობაც, მაგალითად, საქონლის მარაგი. ამისათვის საჭიროა განსაზღვრულობის პრინციპის დაცვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გერმანიაში ფართო კაზუსტიკა ჩამოყალიბდა, თუმცა მოცემული სტატიის ფარგლებში მხოლოდ ძირითად მონახაზებს წარმოვადგენთ.

იმ შემთხვევაში თუკი უზრუნველმყოფი საკუთრების სახით ნივთთა ერთობლიობა უნდა იქნეს გადაცემული, მაშინ საჭიროა შეთანხმება, რომელიც აკმაყოფილებს სანივთო განსაზღვრულობის პრინციპს, რაც ნიშნავს იმას, რომ ნათლად უნდა დგინდებოდეს, თუ ნივთთა ერთობლიობიდან რომელ კონკრეტულ ნივთებზე არსებობს უზრუნველყოფის მიზნით საკუთრებაში გადაცემის ნება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი კონკრეტული ნივთი ცალ-ცალკე და ზუსტად უნდა იქნეს დასახელებული. პირიქით, განსაზღვრულობის პრინციპი დაკმაყოფილებულად ითვლება მაშინაც, როცა გარეგნულად ადვილად გამიჯვნადი კრიტერიუმების მიხედვით, ყველასთვის, ვინც იცნობს მხარეთა შეთანხმებას საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის შესახებ, იმთავითვე აშკარაა, თუ კონკრეტულად რომელი ნივთები უნდა იქნეს უზრუნველყოფის მიზნით საკუთრებაში გადაცემული.⁸⁹

⁸⁷ *Wellenhofer*, (Begründet von *Wolf*) Sachenrecht, 32. Aufl., Verlag C.H.Beck 2017, 200, Rn. 7.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ BGH, Urteil vom 16. Dezember 2022 - V ZR 174/21 - NJW 2023, 1053, Rn. 10; BGH, Urteil vom 26. Juni 2008 - IX ZR 47/05 - ZIP 2008, 1437, Rn. 27; BGH, Urteil vom 3. Juli 2000 - II ZR 314/98 - NJW 2000, 2898, Rn. 14.

ნივთთა ერთობლიობის განსაზღვრულობა შესაძლოა მიღწეულ იქნეს საერთო აღნიშვნის გამოყენების გზითაც, რომლის მიხედვითაც, ყველა საგანი, რომელიც უზრუნველყოფის მიზნით უნდა იქნეს საკუთრებაში გადაცემული, საჭიროა აკმაყოფილებდეს გარკვეულ ნიშანს. ამდენად, თუკი რაიმე კონკრეტული ნიშნით განსაზღვრული ნივთთა ერთობლიობის გადაცემა ხდება, მაგალითად, „ყველა საქონელი, რომელთა ვარგისიანობის ვადა განისაზღვრება X პერიოდით“, მაშინ სივრცითი გამიჯვნა საჭირო აღარ არის.⁹⁰ საკმარისი არ არის მითითება სამართლებრივად განმასხვავებელ ნიშანზე, როგორცაა მაგალითად, „გადამცემის საკუთრებაში არსებული ნივთი“ ან მითითება იმგვარ გარემოებებზე, რომლებიც მხოლოდ ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ არსებული ინფორმაციის, მაგალითად, გადახდის ისტორიის, საშუალებით იძლევა ნივთების დადგენის შესაძლებლობას.⁹¹ თუკი უზრუნველსაყოფად გამოყენებული ნივთების ერთმნიშვნელოვანი დადგენა რაიმე გზით არ არის შესაძლებელი, მაგალითად, ცვლადი მარაგის მქონე საწყობის შემთხვევაში ან თუკი საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა შემოიფარგლება მხოლოდ ნივთთა რაოდენობრივად განსაზღვრული სახეობით, მაშინ ნივთების სივრცითი გამიჯვნა (ცალკე დასაწყობება)⁹² ან ნივთების მარკირება/ბეჭდური მონიშვნა⁹³, სავალდებულოა.

2.3.4. საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ფარგლებში

ზოგადად აღიარებულია, რომ შესაძლებელია საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ფარგლებშიც იქნეს შეთანხმებული.⁹⁴ საკუთრების უზრუნველყოფი გადა-

⁹⁰ BGH, Urteil vom 16. Dezember 2022 - V ZR 174/21 - NJW 2023, 1053, Rn. 11; BGH, Urteil vom 4. Oktober 1993 - II ZR 156/92, NJW 1994, 133, Rn. 12 ff., დადებითად განაწვევტილია გარკვეული მოცულობის მქონე კონტინენტების შემთხვევებში; BGH, Urteil vom 13. Januar 1992 - I ZR 11/91 - NJW 1992, 1161, Rn. 6 f., არ არის გაზიარებული ხელოვნების მცირე საცნობარო ბიბლიოთეკის შემთხვევაში; BGH, Urteil vom 31. Januar 1979 - VIII ZR 93/78 - BGHZ 73, 253, Rn. 12 ff., დადებითად გადაწყვეტილია საერთო საცხოვრებლის საშინაო ინვენტართან დაკავშირებთ (თუმცა საეჭვოა).

⁹¹ BGH, Urteil vom 16. Dezember 2022 - V ZR 174/21 - NJW 2023, 1053, Rn. 12 f. mwN.

⁹² BGH, Urteil vom 16. Dezember 2022 - V ZR 174/21 - NJW 2023, 1053, Rn. 13.

⁹³ BGH, Urteil vom 13. Januar 1992 - II ZR 11/91 - NJW 1992, 1161, Rn. 12.

⁹⁴ ცალკეულ შემთხვევებში შდრ. BGH, Urteil vom 2. Februar 1984 - IX ZR 8/83 - NJW 1984, 1184, Rn. 30 ff.; Schmidt in: Ulmer/Brandner/Hensen AGB-Recht, 13. Auflage

ცემა ემსახურება უზრუნველყოფის მიმღების ლეგიტიმური ინტერესების დაცვას და მიზნად ისახავს გადაუხდელობის რისკის თავიდან აცილებას ან სულ მცირე, მის მნიშვნელოვნად შემცირებას.⁹⁵ შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს უზრუნველყოფილი მოთხოვნის საპასუხო შესრულებას (უზრუნველყოფი საკუთრებას უმეტეს შემთხვევაში გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად მიმართავენ); ანუ იგი არ წარმოადგენს უზრუნველყოფის მიმღებისთვის ერთგავარად საფასურის გადახდას იმისთვის, რომ გასცა სესხი,⁹⁶ ასევე ის არ წარმოადგენს სახელშეკრულებო სინალაგმას. შესაბამისად, როგორც წესი, ის უძღვება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის სამართლებრივ კონტროლსაც.

ზოგადად, ხელშეკრულების თავისუფლება შეზღუდულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ნამდვილობისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებების ბათილობის კანონისმიერი დანაწესებით. ერთი მხრივ, ეს უზრუნველყოფს უზრუნველყოფის გამცემის დაცვას გადაჭარბებული უზრუნველყოფისგან და ამავდროულად ემსახურება უზრუნველყოფის მიმღების ინტერესების დაცვასაც უზრუნველყოფი საგნის „ჩალის ფასად“ რეალიზაციისაგან; თუმცა მეორე მხრივ, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის დროს, უზრუნველყოფის გამცემის მიერ ნივთზე პირდაპირი მფლობელობის შენარჩუნების გამო, უზრუნველყოფის გამცემის კრედიტორებს შესაძლოა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ უზრუნველყოფის გამცემს გააჩნია ქონება საკუთრებაში, მაშინ როცა რეალურად ამ ქონების მესაკუთრე უზრუნველყოფის მიმღებია. კრედიტორებთან დაკავშირებული ამ საფრთხის გამო, მთავარ მიზნად იქცა მესამე პირთა დაცვა იმ საფრთხეებისგან, რაც შესაძლოა უზრუნველყოფის გამცემის და უზრუნველყოფის მიმღების კოლუზიური (ფარულად შეთანხმებული) მოქმედების შედეგად წარმოიშვას (ქონების არსებობის ყალბად შექნილი შთაბეჭდილება).⁹⁷

2022, (42) Sicherungsklauseln, Rn. 23 und 26; *Fuchs/Zimmermann* in: *Ulmer/Brandner/Hensen AGB-Recht*, 13. Auflage 2022, (8) *Banken-AGB*, Rn. 57; ხელფასისა და ანაზღაურების მოთხოვნის უფლებ(ებ)ის უზრუნველყოფი დათმობასთან დაკავშირებით იხ. *BGH, Urteil vom 20. September 2012 - IX ZR 208/11 - NJW-RR 2013, 248, Rn. 9; BGH, Urteil vom 22. Juni 1989 - III ZR 72/88 - BGHZ 108, 98, Rn. 26.*

⁹⁵ ცალკეულ შემთხვევებში შდრ. *BGH, Urteil vom 2. Februar 1984 - IX ZR 8/83 - NJW 1984, 1184, Rn. 30 ff.*

⁹⁶ *OLG Karlsruhe, Urteil vom 4. Juli 2024 - 17 U 404/21 - ZIP 2024, 2135, Rn. 50.*

⁹⁷ ცალკეულ შემთხვევებში შდრ. *Staudinger/Fischinger (2024) BGB § 138, Rn. 489 ff.; Nassall* in: *Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB*, 10. Aufl., § 138 BGB (Stand: 18.03.2025, Rn. 219 ff.

2.3.5 გადაჭარბებული უზრუნველყოფის პრობლემატიკა

სამართლებრივი წესრიგი უშვებს გადაჭარბებული უზრუნველყოფის გარკვეულ დონეს, ანუ დასაშვებად მიიჩნევს გარკვეული მოცულობით გადაჭარბებულ უზრუნველყოფას. მარტივად რომ ვთქვათ, რადგან საგნის ღირებულებისა და რეალიზაციიდან ამონაგები თანხის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია, კრედიტორს შეიძლება ხელთ ჰქონდეს იმაზე უფრო მეტი უზრუნველყოფა, ვიდრე რეალურად სჭირდება.

თუკი უზრუნველყოფის მოცულობა თავიდანვე უზრუნველყოფილი მოთხოვნის ნომინალური ოდენობით შეიზღუდებოდა, ანუ თუკი უზრუნველმყოფი საგნის ღირებულება ზუსტად ვალის ოდენობის ტოლი იქნებოდა, მაშინ უზრუნველმყოფი საკუთრება ვერ შეიძლება გადაუხდელობის რისკის სრულ დაზღვევას, რადგან ასეთ შემთხვევაში ქონებრივი ღირებულების ნებისმიერი არასწორი შეფასება ან ცვლილება, ასევე რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობაზე ნაკლები იქნებოდა, გამოიწვევდა მოთხოვნის მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. აქედან გამომდინარე, დასაშვებია უზრუნველმყოფი საგნის ღირებულება, გონივრულობის ფარგლებში, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობაზე მეტი იყოს.

ასეთი ზედმეტობა არ უნდა იყოს ძალიან მაღალი, რადგან მეტისმეტად მაღალი ზედმეტობის შემთხვევაში სათანადოდ ვეღარ იქნება დაცული უზრუნველყოფის გამცემისა და მისი კრედიტორების ლეგიტიმური ინტერესები. რაც უფრო გადაჭარბებულია (ზედმეტია) უზრუნველყოფა, მით უფრო მეტად ეზღუდება უზრუნველყოფის გამცემს „თავისუფალი სუნთქვის შესაძლებლობა“. ამგვარი გადაჭარბებული უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, კაბალურია უზრუნველყოფის გამცემისთვის, ხოლო მეორე მხრივ, კი იწვევს იმას, რომ აღარ რჩება საკმარისი ქონებრივი მასა, რათა უზრუნველყოფილ ან დაკმაყოფილებულ იქნეს სხვა კრედიტორების მოთხოვნებიც.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების მომენტში, უზრუნველყოფის საერთო მოცულობა (უზრუნველყოფის მართვისა და რეალიზაციის ხარჯების გათვალისწინებით) მხოლოდ ზომიერად უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სარეალიზაციო შემოსავალს.⁹⁸ არათანაზომიერი გადაჭარბების შემთხვევაში,

⁹⁸ BGH, Beschluss vom 27. November 1997 - GSZ 1/97 - BGHZ 137, 212, Rn. 56 ff., insb. Rn. 64 ff.; უზრუნველმყოფი ცესიისთვის იხ. BGH, Urteil vom 20. September 2012 - IX ZR 208/11 - NJW-RR 2013, 248, Rn. 11; სრულყოფილად იხ. *Staudinger/Fischinger*

მათ შორის ინდივიდუალური შეთანხმების დროსაც (ანუ როცა ადგილი არ აქვს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს და მხარეები ორმხრივად განსაზღვრავენ სახელშეკრულებო პირობებს) ზნეობის სანინალმდეგოდ ჩაითვლება შეთანხმება, თუკი სახეზეა უხეში დისპროპორცია და ზნეობრივად გაუმართლებელი განზრახვა.⁹⁹

ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ სტანდარტული პირობები შეიცავდეს ე.წ. „გათავისუფლების შესახებ დათქმას“.¹⁰⁰ ეს ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულებაში უნდა არსებობდეს პირობა უზრუნველყოფის სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების შესახებ, მაშინვე როცა დადგინდება, რომ უზრუნველყოფის საჭიროება (სრულად ან თუნდაც ნაწილობრივ) აღარ არსებობს.¹⁰¹ მოსალოდნელი რეალიზაციის შემოსავლის განსაზღვრისას არსებული გაურკვევლობის გამო დასაშვებია „უზრუნველყოფის დანამატის“ („*Sicherheitszuschlag*“) გათვალისწინება.¹⁰² ეს ნიშნავს შემდეგს: წინასწარ შეუძლებელია ზუსტად შეფასეს თუ რა ოდენობის თანხის ამოღება მოხდება რეალიზაციის შედეგად. შესაბამისად, ამ გაურკვევლობის გამო, დასაშვებია, რომ კრედიტორმა შეფასებისას უზრუნველყოფას დაამატოს გარკვეული სარეზერვო ზღვარი, როგორც ზომიერი „უსაფრთხოების დანამატი“. თუკი უზრუნველმყოფი საკუთრება საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფას ემსახურება (რევილვერული კრედიტი)¹⁰³, მაშინ

(2024) BGB § 138, Rn 377 ff.; *Nassall* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 138 BGB (Stand: 18.03.2025), Rn. 216 ff.

⁹⁹ BGH, Urteil vom 19. März 2010 - V ZR 52/09 - NJW-RR 2010, 1529 Rn. 11 f0., უზრუნველმყოფი მიწის ვალისთვის; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 21. August 2025 - 5 U 7/25 - juris Rn. 24 f., უზრუნველმყოფი მიწის ვალისთვის; OLG Hamm, Urteil vom 15. Januar 2015 - I-5 U 81/14 - juris Rn. 90 ff.

¹⁰⁰ BGH, Urteil vom 27. Juni 1995 - XI ZR 8/94 - BGHZ 130, 115, Rn. 27.

¹⁰¹ შდრ. BGH Urteil vom 2. Juni 2022 - V ZR 132/21 - NJW 2022, 2544, Rn. 22 mwN, უზრუნველმყოფი მიწის ვალისთვის; BGH, Urteil vom 19. April 2013 - V ZR 47/12 - BGHZ 197, 155, Rn. 12, უზრუნველმყოფი მიწის ვალისთვის; სრულყოფილად იხ. *Fuchs/Zimmermann* in: Ulmer/Brandner/Hensen AGB-Recht, 13. Auflage 2022, (8) Banken-AGB), Rn. 64.

¹⁰² შდრ. BGH, Beschluss vom 27. November 1997 - GSZ 1/97 - BGHZ 137, 212, Rn. 56 ff., insb. Rn. 78 ff.; BGH, Urteil vom 27. Juni 1995 - XI ZR 8/94 - BGHZ 130, 115, Rn. 28 ff., გლობალური ცესიის დროს შესაფასებელ დათქმებთან დაკავშირებით; მთლიან თემატიკასთან დაკავშირებით სრულყოფილად იხ: *Staudinger/Fischinger* (2024) BGB § 138, Rn. 380 ff.

¹⁰³ მსესხებლისთვის შეთანხმებულ ფარგლებში განახლებადი კრედიტი, რომელიც გარკვეულ მოქნილობას უზრუნველყოფს; მაგალითად, ოვერდრაფტის შემთხვევაში.

უზრუნველყოფის მიზანი ქრება, როცა უზრუნველყოფის გამცემსა და უზრუნველყოფის მიმღებს შორის საქმიანი ურთიერთობა დასრულდება ან როცა უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება შეიცვლება ან შეწყდება.¹⁰⁴

2.3.6. რეალიზაციის პრობლემატიკა

უზრუნველყოფის გამცემსა და უზრუნველყოფის მიმღებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმაზე, თუ როგორ მოხდება უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომისას. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში მოცემული რეალიზაციის შესახებ დებულება შესაძლოა უზრუნველყოფის მიმღებს რეალიზაციის ფორმის არჩევის თავისუფლებას ანიჭებდეს¹⁰⁵, თუმცა დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

ზოგადად შესაძლებელია, უზრუნველყოფის მიმღებს მიენიჭოს უფლებამოსილება, უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომისას თავად მოახდინოს უზრუნველყოფის ნივთის რეალიზაცია „შეძლებისდაგვარად საუკეთესო ფორმით“, რაც ასევე მოისაზრებს თავისუფალი გაყიდვის გზით გასხვისებასაც. იმ შემთხვევაში თუკი უზრუნველყოფის მიმღები არ აირჩევს რეალიზაციის იმ ფორმას, რომელიც მას კონკრეტულ ვითარებაში ყველაზე მაღალი შემოსავლის მიღებას ჰპირდება (თავისუფალი შეფასების ფარგლებში)¹⁰⁶, მაშინ ის პასუხისმგებელი იქნება ზიანის ანაზღაურებაზე.¹⁰⁷ უზრუნველყოფის მიმღები ვალდებულია, შეამოწმოს უზრუნველყოფის გამცემის მიერ მისთვის შეთავაზებული რეალიზაციის ხელსაყრელი შესაძლებლობები და საჭიროების შემთხვევაში, ამოარჩიოს

¹⁰⁴ BGH, Urteil vom 2. Juni 2022 - V ZR 132/21 - NJW 2022, 2544, Rn. 23.

¹⁰⁵ სრულყოფილად იხ. *Fuchs/Zimmermann* in: Ulmer/Brandner/Hensen AGB-Recht, 13. Auflage 2022, (8) Banken-AGB, Rn. 66; *Federlin* in: Kümpel/Mülbert/Früh/Seyfried, Bankrecht und Kapitalmarktrecht, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn. 3.629 ff.

¹⁰⁶ რაც გულისხმობს იმას, რომ კრედიტორმა გონივრულად უნდა აირჩიოს რეალიზაციის სხვადასხვა ფორმებს შორის ის ფორმა, რომელიც ყველაზე მეტი შემოსავლის მომტანი იქნება.

¹⁰⁷ BGH, Urteil vom 5. Oktober 1999 - XI ZR 280/98 - NJW 2000, 352, Rn. 11; უფრო დეტალურად იხ. *Federlin* in: Kümpel/Mülbert/Früh/Seyfried, Bankrecht und Kapitalmarktrecht, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn. 3.631 ff.; *Schmidt* in: Ulmer/Brandner/Hensen AGB-Recht, 13. Auflage 2022, (42) Sicherungsklauseln, Rn. 26 f.

რეალიზაციის ყველაზე უფრო მისაღები ფორმა.¹⁰⁸ იგულისხმება ნებისმიერი ფორმა, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება მხარეთა ორმხრივ ინტერესებს. რეალიზაციიდან მიღებული ზედმეტი შემოსავალი უნდა გადაეცეს უზრუნველყოფის გამცემს.¹⁰⁹

მოთხოვნის უზრუნველმყოფი ცესიისგან განსხვავებით, რა დროსაც ცედენტი დაცული უნდა იყოს „ჩუმი“ ცესიის (ანუ ჩუმად განხორციელებული მოთხოვნის დათმობის) გამყლავნების შედეგებისაგან,¹¹⁰ უზრუნველმყოფი საგნის მესაკუთრე არ არის ვალდებული, უზრუნველმყოფი საგნის განზრახული რეალიზაციის შესახებ წინასწარ განაცხადოს ისე, რომ უზრუნველყოფის გამცემს მიეცეს შესაძლებლობა, წამოაყენოს შესაგებლები ან ხელი შეუშალოს მოსალოდნელ რეალიზაციას.¹¹¹ საპირისპირო მოსაზრება,¹¹² რომლის მიხედვითაც, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის შემთხვევაშიც, გირაოს საგნის რეალიზაციის მსგავსად უნდა მოვიქცეთ, რა დროსაც არსებობს დალოდების ვალდებულება (*Wartepflicht*),¹¹³ არ არის დამაჯერებელი, რადგან უზრუნველყოფის გამცემი უზრუნველმყოფი ნივთის პირდაპირ მფლობელად რჩება და ამის

¹⁰⁸ BGH, Urteil vom 5. Oktober 1999 - XI ZR 280/98 - NJW 2000, 352, Rn. 13; OLG Frankfurt, Beschluss vom 23. März 2023 - 17 U 2/22 - juris Rn. 81; ლიზინგის საგნის რეალიზაციის თავისებურებებთან დაკავშირებით შდრ. Artz in: v. Westphalen, Der Leasingvertrag, 7. Aufl. 2015, K. Ordentliche Beendigung des Leasingvertrages, Rn. 88 ff.

¹⁰⁹ BGH, Urteil vom 10. Juli 2024 - VIII ZR 184/23 - NJW-RR 2024, 1140, Rn. 18, für Mietkaution; BGH, Urteil vom 19. April 2018 - IX ZR 230/15 - BGHZ 218, 261, Rn. 64, მიწის ვალთან დაკავშირებით; BGH, Urteil vom 19. Oktober 2017 - IX ZR 79/16 - NJW-RR 2018, 593, Rn. 12, მიწის ვალთან დაკავშირებით.

¹¹⁰ იხ. BGH, Urteil vom 26. April 2005 - XI ZR 289/04 - NJW-RR 2005, 1408, Rn. 17; BGH, Urteil vom 7. Juli 1992 - XI ZR 274/91 - NJW 1992, 2626, Rn. 20. მოთხოვნის უზრუნველმყოფი ცესიის დროს ადგილი აქვს მოვალის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ მოთხოვნის დათმობას. როგორც წესი, ცედენტი არასოდესაა დაინტერესებული, რომ გამყლავნდეს მის მიერ განხორციელებული ცესია, რადგან შესაძლოა ამან გამოიწვიოს მისი ლიკვიდურობის შესახებ სახელშეკრულებო კონტრაქტის წარმოდგენების შეცვლა.

¹¹¹ BGH, Urteil vom 13. Januar 1994 - IX ZR 79/93 - BGHZ 124, 380, Rn. 32; LG Mönchengladbach, Urteil vom 28. Oktober 2010 - 10 O 413/09 - juris Rn. 47.

¹¹² *Federlin* in: Kümpel/Mülberr/Früh/Seyfried, Bankrecht und Kapitalmarktrecht, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn. 8.512 f.

¹¹³ აღნიშნული გულისხმობს წესს, რომლის მიხედვითაც მოთხოვნის ვადამოსულობის შემდეგ, მოგირავნემ ნივთის გაყიდვის შესახებ წინასწარ უნდა გააფრთხილოს მესაკუთრე. გაფრთხილებიდან ერთი თვის ვადის გასვლამდე არ შეიძლება განხორციელდეს გირავნობის საგნის გაყიდვა.

გამო ნივთის მისი გვერდის ავლით (მის გარეშე) რეალიზაცია ისედაც ვერ მოხდება.

2.3.7. საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა VS გირავნობა გერმანულ სამართალში

ამგვარი სახელშეკრულებო კონსტრუქციის გათვალისწინებით, გერმანიაში საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა კრედიტის უზრუნველყოფის უფრო გამოსადეგ ინსტრუმენტს წარმოადგენს. გერმანული სამოქალაქო სამართლის წესრიგი თავდაპირველად იცნობდა არამფლობელობით გირავნობას, რა დროსაც გირავნობის უფლების წარმოშობისათვის არ იყო საჭირო კრედიტორისათვის გირავნობის საგნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა. ამის გამო, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის ინსტიტუტის საჭიროება აღარ იკვეთებოდა. თუმცა 1900 წლის 1 იანვარს ბგბ-ს ამოქმედებასთან ერთად არამფლობელობითი გირავნობის სახე გაუქმდა. მას შემდეგ ბგბ მოძრავ ნივთების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას პირდაპირ მხოლოდ გირავნობის ფორმით უშვებს.¹¹⁴ გირავნობის უფლების წარმოშობისათვის ბგბ-ს § 1205 პარაგრაფი სავალდებულოდ მოითხოვს, რომ გირავნობის საგანი პირდაპირ მფლობელობაში გადაეცეს მოგირავნეს, რაც ნიშნავს იმას, რომ დამგირავებელმა გირავნობის საგანზე ყველა შემთხვევაში უნდა დაკარგოს პირდაპირი მფლობელობა. ამის გამო უზრუნველყოფის გამცემი ვეღარ ახერხებს დაგირავებულ ნივთის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას,¹¹⁵ რის შედეგადაც ეს ნივთი მისთვის ფაქტობრივად „მკვდარი კაპიტალი“ ხდება.

ბგბ-ს § 1253-ე პარაგრაფის¹¹⁶ გამო არც იმის შესაძლებლობა არსებობს, რომ მოგირავნისათვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით ჯერ დადგინდეს გირავნობა, ხოლო შემდგომ კი მხარეთა შეთანხმებით, გირავნობის შენარჩუნების პირობით, ნივთი ისევ უკან დაბრუნდეს დამგირავებლის მფლობელობაში. ბგბ-ს §930-ე პარაგრაფი გირავნობის უფლების მიმართ არ გამოიყენება, რაც ნიშნავს იმას, რომ საკუთრების უფლების გადაცემისგან განსხვავებით, მოგირავნე და დამგირავებელი ვერ შეთანხმდებიან მფლობელობის კონსტიტუტზე. რეგისტრირებული

¹¹⁴ *Vieweg/Werner, Sachenrecht, 8.Aufl., 2018, 385, Rn. 2.*

¹¹⁵ *Wellenhofer, (Begründet von Wolf) Sachenrecht, 32. Aufl., 2017, 198, Rn. 1.*

¹¹⁶ ბგბ-ს § 1253 | პარაგრაფის მიხედვით, „გირავნობის უფლება უქმდება, თუ მოგირავნე გირავნობის საგანს უბრუნებს დამგირავებელს ან მესაკუთრეს. დათქმა გირავნობის უფლების გახანგრძლივების შესახებ სამართლებრივი ძალის არმქონეა.“

გირავნობის ინსტიტუტი გერმანულ სამართალში, ქართული სამართლისგან განსხვავებით, ისტორიულად უცხო ინსტიტუტია.

არამფლობელობითი გირავნობის გაუქმების გამო გერმანულ სამართალში დაიწყო მსჯელობა საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის ინსტიტუტის სამართლებრივ შესაძლებლობასთან დაკავშირებით. დისკუსიის საგანი გახდა, ხომ არ წარმოადგენდა საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა ნივთების დაგირავების წესისთვის გვერდის ავლას.¹¹⁷ თუმცა, სასამართლო პრაქტიკამ ეს მოსაზრება მალევე უარყო.¹¹⁸ მას შემდეგ, რაც ნათლად ჩამოყალიბდა სამართლებრივი ჩარჩო, გერმანულ კრედიტის უზრუნველყოფის სამართალში საკუთრების უზრუნველმყოფმა გადაცემამ ფართო აღიარება მოიპოვა, რაც არის იმის გაცნობიერების შედეგი, რომ ეკონომიკა ვერ იტყვის უარს მოძრავი ნივთებით არამფლობელობითი უზრუნველყოფის საშუალებებზე.¹¹⁹ ამიტომ გერმანიაში საკუთრების უზრუნველმყოფმა გადაცემამ უკვე დიდი ხანია რაც ჩანაცვლა გირავნობა მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე საქონლის დაკრედიტების საშუალებით შექმნისას (მაგალითად, ავტომობილები, მანქანა-დანადგარები, მოვაჭრეთა სასაწყობო მარაგები).¹²⁰ გარდა ამისა, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა შესაძლოა სალიზინგო კომპანიებისთვის გაცემული კრედიტის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდეს.¹²¹

საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა შესაძლებლობას აძლევს უზრუნველყოფის გამცემს, უზრუნველყოფის საგანი თავისი მიზნობრივი დანიშნულებით გამოიყენოს, მაგალითად, საწარმოო დანიშნულების ხელსაწყოების საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის შემთხვევაში, მიიღოს მისგან ეკონომიკური სარგებელი. თუკი უზრუნველყოფის გამცემი შეასრულებს უზრუნველყოფილ მოთხოვნას, მაშინ ის უკან დაიბრუნებს საკუთრებას უბრალო შეთანხმების (ზედმეტი ფორმალობების

¹¹⁷ იხ. *Wieling/Finkenauer*, Sachenrecht, 6.Aufl., Springer-Verlag GmbH Deutschland, 2020, 324, 2.

¹¹⁸ RG, Urteil vom 08. November 1904 - VII 173/04 - RGZ 59, 146-149; მას შემდგომ სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანია.

¹¹⁹ იხ. *Wieling/Finkenauer*, Sachenrecht, 6.Aufl., Springer-Verlag GmbH Deutschland, 2020, 324, 2.

¹²⁰ შდრ. *Federlin* in: Kumpel/Mülbert/Früh/Seyfried, Bankrecht und Kapitalmarktrecht, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn. 8.443.

¹²¹ ხელშეკრულების ფორმირებასთან და შემდგომში წარმოშობილ არაპირდაპირი მფლობელობის ეტაპებთან დაკავშირებით შდრ. BGH, Urteil vom 11. Januar 2018 - IX ZR 295/16 - NJW 2018, 1471, Rn. 27 ff.

გარეშე) საფუძველზე. საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა უზრუნველყოფის მიმღებს უქმნის სანივთოსამართლებრივ დაცულობას, ისე რომ მას არ სჭირდება ნივთის მოვლა-პატრონობა და არც უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. თუკი დადგება უზრუნველყოფილი შემთხვევა, უზრუნველყოფის მიმღები ვალდებულია სანივთოსამართლებრივად უფლებამოსილია განკარგოს საკუთრება და მოახდინოს მისი რეალიზაცია ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფის მიმღებს არ შეუძლია, თავიდან აირიდოს, უზრუნველყოფის გამცემის მიერ უზრუნველმყოფი ნივთის განკარგვა, რის შედეგადაც შესაძლოა წარმოიშვას კეთილსინდისიერი შექმნის პრობლემატიკა. აღნიშნული რისკი შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირეს იმ გზით, რომ უზრუნველყოფის მიმღებმა პირდაპირ მფლობელობაში დაიტოვოს ის დოკუმენტები, რომელთა გარეშეც ნივთის გასხვისება ფაქტობრივად შეუძლებელია (მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მონაწილეობა¹²²), ან მიიღოს სხვა ზომები უსაფრთხოებისთვის, რათა გამორიცხოს მესამე პირთა მხრიდან შესაძლო კეთილსინდისიერი შექმნა.

საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის უპირატესობების ფონზე, გერმანულ საბანკო პრაქტიკაში გირავნობა, როგორც წესი, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა საქმე ეხება საბანკო დაწესებულებაში შენახულ ფასიან ქალაქებს ან როცა უზრუნველმყოფი ნივთი საკრედიტო ინსტიტუტის პირდაპირ მფლობელობაში იმყოფება.¹²³

2.3.8. უზრუნველმყოფი საკუთრების ინსტიტუტის პერსპექტივა საქართველოში

თეორიულად, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა, ქართული სამოქალაქო კოდექსის მიხედვითაც დასაშვებია კონსტრუქცია უნდა იყოს, რადგან სკ-ს 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადებები,

¹²² გერმანიაში არსებობს ავტოსატრანსპორტო საშუალების ორგვარი დოკუმენტი. პირველია, ე.წ. მართვის მონაწილეობა (*Fahrzeugschein*), რომელიც გამოიყენება ყოველდღიურად და ე.წ. საკუთრებასთან დაკავშირებული დოკუმენტი (*Fahrzeugbrief*), რომლის გარეშეც ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვა ფაქტობრივად შეუძლებელია. უზრუნველყოფის მიმღები უმეტესად სწორედ ამ დოკუმენტს იტოვებს ხოლმე პირდაპირ მფლობელობაში, რითიც ამცირებს მესამე პირთა მხრიდან უზრუნველმყოფი ნივთის კეთილსინდისიერი შექმნის რისკს.

¹²³ შდრ. *Federlin* in: Kümpel/Mülbert/Früh/Seyfried, *Bankrecht und Kapitalmarktrecht*, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn. 8.443.

ისევე როგორც ბგბ, შესაძლებლობას იძლევა ნასყიდობის საგნის გადაცემა შეიცვალოს არაპირდაპირი მფლობელობის მიმნიჭებელი ურთიერთობის შეთანხმებით.

როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც გირავნობისთვის დადგენილი წესების გვერდის ავლა. როგორც საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა, ისე გირავნობა წარმოადგენს დახურულ რიცხვითა პრინციპთან თანხვედრაში მყოფ, ორ დამოუკიდებელ სანივთოსამართლებრივ გზას მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად.

საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის სპეციფიკა მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივ დონეზე ვლინდება, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი მინდობით ურთიერთობაზე შეთანხმებით რეგულირდება. სანივთოსამართლებრივად, უზრუნველმყოფი საკუთრება „ჩვეულებრივ“ საკუთრებას წარმოადგენს, რის გამოც არ არსებობს დამატებითი ნორმატიული რეგულირების საჭიროება. გირავნობის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზიდან ვერ გამოვიტანთ იმ დასკვნას, რომ კანონმდებელს სურდა, უარი ეთქვა უზრუნველმყოფი საკუთრების სამართლებრივ აღიარებაზე. თუკი ქართველი კანონმდებლის სურვილი იქნებოდა რომ დაებრკოლებინა ასეთი ფიდუციარული კავშირი, მაშინ ის ასეთ ვალდებულებითსამართლებრივ შეთანხმებას პირდაპირ აკრძალავდა. რადგან ქართული სამართალი იცნობს მინდობით ურთიერთობას, ამდენად, ასეთი აკრძალვა ასისტემურიც იქნებოდა. ამდენად, უზრუნველმყოფი საკუთრების აღიარება ქართული სამართლის „საშინაო“ საკითხი უფროა.

საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის ინსტიტუტის ეკონომიკური საჭიროება გერმანიისგან განსხვავებით, საქართველოში ნაკლებია, რადგან ქართული სამართალი იცნობს რეგისტრირებული გირავნობის ინსტიტუტს, რა დროსაც უზრუნველყოფის გამცემი (ამ თვალსაზრისით, დამგირავებელი) დაგირავებული ნივთის პირდაპირ მფლობელად რჩება, ხოლო უზრუნველყოფის მიმღების (ამ თვალსაზრისით, მოგირავნის) ინტერესები კი რეგისტრაციის გზით არის უზრუნველყოფილი. ამ მხრივ, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა და რეგისტრირებული გირავნობა შესაბამისი ეკონომიკური წრეებისთვის (ბიზნეს სუბიექტებისთვის) თანაბარღირებულ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ იმდენად რამდენადაც ორივე მათგანი შესაძლებელს ხდის უზრუნველყოფის გამცემისთვის (პირდაპირ მფლობელობაში დატოვების გზით) უზრუნველყო-

ფის საგნის დანიშნულების შესაბამისად გამოყენებას. ამდენად, რეგისტრირებული გირავნობის არსებობის პირობებში, ამ თვალსაზრისით, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა არასაჭირო უზრუნველყოფის საშუალებად იქნა მიჩნეული.¹²⁴ მიუხედავად ამისა, შესაძლოა უზრუნველყოფი საკუთრება, კონკრეტულად განსაზღვრულ ნრეებში, საქართველოსთვისაც წარმოადგენდეს რეგისტრირებული გირავნობის მიმზიდველ ალტერნატივას.

საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემა შესაძლებელს ხდის კრედიტის უზრუნველყოფას საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის გარეშე. საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის დროს, განსაზღვრულობის პრინციპის დაცვით, დასაშვებია ნივთთა ერთობლიობის უზრუნველყოფაც, რა დროსაც უზრუნველყოფის ფარგლები შესაძლოა ნებისმიერ დროს მოქნილად მოერგოს მიმდინარე მდგომარეობას. ამას გარდა, განსაკუთრებით საკრედიტო დაფინანსებით შექმნილი სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისას, რაც ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევების დროს, დელიქტური დაცვა საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის დროს უფრო ძლიერია, ვიდრე რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომისას, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის პირობებში, უზრუნველყოფი საგნის რეალიზაციის პროცესი უფრო სწრაფი და მოქნილია, რადგან უზრუნველყოფის მიმღები უზრუნველყოფი ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენს და უზრუნველყოფილი მოთხოვნის დადგომით მხოლოდ ის ვალდებულებითსამართლებრივი შეზღუდვები უქმდება, რომელიც მას უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ეკისრებოდა.

გარკვეულწილად ამბივალენტურ ხასიათს ატარებს ის გარემოება, რომ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში უფლების გამჭვირვალობა უფრო მაღალია, ვიდრე საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის დროს. საჯაროობა ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის დაცვის ინტერესებს, რადგან იგი ხელს უშლის მცდარი წარმოდგენების შექმნას მოვალის რეალური ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. თუმცა, შესაძლოა უზრუნველყოფი საკუთრების ორივე მხარეს (მიმღებსაც და გამცემსაც) ჰქონდეთ ინტერესი, რომ საკრედიტო დაფინანსება და მასთან და-

¹²⁴ რუსიაშვილი, სანივთო გარიგების მნიშვნელობა უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისას, შედარებითი სამართლის ჟურნალი #3/2019, 52.

კავშირებული უზრუნველყოფა საჯაროდ განხილვადი არ გახდეს, რადგან ეს შესაძლოა არახელსაყრელი ეკონომიკური დასკვნების საფუძველი გახდეს.¹²⁵

2.4. გირავნობა

2.4.1. გირავნობის შინაარსი და სახეები

გირავნობა წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო-სამართლებრივ საშუალებას, რომელიც მიეკუთვნება ე.წ. *Numerus Clausus* პრინციპით განსაზღვრულ სანივთო უფლებათა წრეს.¹²⁶ გირავნობა მკაცრად აქცესორული უზრუნველყოფის საშუალებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი არსებობისათვის საჭიროა უზრუნველსაყოფი მოთხოვნის არსებობა.¹²⁷ გირავნობის აქცესორულობა კანონის იმპერატიული დანაწესია და მისი გამორიცხვა მხარეთა შორის შეთანხმებით დაუშვებელია.¹²⁸ თუკი არ არსებობს მოთხოვნა, მაშინ არ არსებობს გირავნობაც.

წარმოშობის საფუძვლის მიხედვით, გირავნობა შეიძლება იყოს სახელშეკრულებო და კანონისმიერი. ასევე, გერმანულ სამართალში არსებობს დაყადალებიდან წარმოშობილი გირავნობის უფლების სახეც.¹²⁹ სახელშეკრულებო გირავნობა თავის მხრივ, იყოფა მფლობელობით და რეგისტრირებულ გირავნობად. გერმანული სამართალი იცნობს მხოლოდ მფლობელობითი გირავნობის სახეს.

როგორც ქართული, ისე გერმანული სამართლის მიხედვით, მფლობელობითი გირავნობის წარმოშობისათვის საჭიროა შეთანხმება გირავნობის დადგენის შესახებ და ნივთის კრედიტორისათვის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა. თუ ნივთს უკვე ფლობს კრედიტორი, მაშინ საკმარისია გირავნობის დადგენის შესახებ შეთანხმება (*brevi manu traditio* -

¹²⁵ იხ. რუსიაშვილი/სირდაძე/ევნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბ., 2019, 162. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამცემს, რომელიც გადამზიდა, შესაძლოა ჰქონდეს ინტერესი, არ გაამხილოს თავისი კლიენტების წინაშე, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელსაც ის იყენებს ტვირთის გადასაზიდად, უფლებრივად არის დატვირთული (დაგირავებულია). იხ. იქვე.

¹²⁶ Schäfer in MüKo, Sachenrecht, Band 8, 9.Aufl., 2023, §1204, 2940, Rn. 1.

¹²⁷ Vieweg/Werner, Sachenrecht, 7.Aufl., 2015, 305, Rn. 1.

¹²⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ჭანტურია (რედ.), წიგნი II, თბ., 2018, 331, ველი 22.

¹²⁹ აღნიშნული წესრიგდება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 803 და შემდგომი პარაგრაფებით.

ე.წ. „მოკლე ხელით გადაცემა“). ბგბ სკ-სგან განსხვავებით კოდექსის დონეზე ითვალისწინებს მოგირავნისათვის არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემით გირავნობის დადგენის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუკი დამგირავებელი-მესაკუთრე არაპირდაპირი მფლობელია, მას შეუძლია თავის ნივთზე პირდაპირი მფლობელობის მოპოვების გარეშე, მესამე პირისაგან გამოთხოვის უფლების დათმობით, ნივთი დატვირთოს გირავნობით.¹³⁰ ეს შესაძლებლობა მონესრიგებულია ბგბ-ს §1205 II პარაგრაფში. ასეთ დროს დამგირავებელი მოგირავნეს გადასცემს არაპირდაპირ მფლობელობას ნივთის გამოთხოვის უფლების დათმობით.¹³¹ ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მფლობელ მესამე პირს ეცნობოს ნივთზე გირავნობის უფლების დადგენის შესახებ. ნივთის დაგირავების შესახებ შეტყობინება (*Anzeige*) არის იურიდიული მოქმედება, რომლის გზითაც პირდაპირი მფლობელი ვალდებული ხდება, ნივთი მესაკუთრის ნაცვლად გადასცეს გირავნობის კრედიტორს.¹³² შეტყობინება უნდა განხორციელდეს დამგირავებლის მიერ¹³³ და ის მიმართული უნდა იყოს პირდაპირი მფლობელისკენ.¹³⁴ თუკი სახეზე არ არის მითითება, მაშინ გირავნობის უფლება არ წარმოიშობა.¹³⁵

მფლობელობითი გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია, ნივთი მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში აღმოჩნდეს. თუკი საკუთრების უფლების შექმნა შესაძლებელია მფლობელობის კონსტიტუტის მეშვეობითაც, გირავნობის უფლების შექმნისას - ეს გამორიცხულია, ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ გირავნობის უფლების დადგენისას გადაცემა არ შეიძლება მოხდეს არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემის გზით. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეები შეეცდებიან რომ გირავნობით უზრუნველყოფილი ნივთი რამენაირად დამგირავებლის პირდაპირ მფლობელობაში დარჩეს, შედეგად მოგვცემს იმას, რომ გირავნობის უფლება წარმოშობილად არ ჩაითვლება. ასევე მხარეთა ნებისმიერი მცდელობა, რომ დამგირავებელს შემდგომში დაუზრუნდეს ნივთზე პირდაპირი მფლობელობა ისე რომ გირავნობის უფლება შენარჩუნდეს, გამოიწვევს გირავნობის უფლების შეწყვეტას.

¹³⁰ Schäfer in MüKo, Sachenrecht, Band 8, 9.Aufl., 2023, §1205, 2959, Rn. 23; Staudinger/Wiegand (2019) BGB § 1205, Rn. 22 ff.

¹³¹ Schäfer in MüKo, Sachenrecht, Band 8, 9.Aufl., 2023, §1205, 2960, Rn. 25.

¹³² იქვე, Rn.27.

¹³³ იქვე, 2961, Rn.28; Staudinger/Wiegand (2019) BGB § 1205, Rn. 29.

¹³⁴ Schäfer in MüKo, Sachenrecht, Band 8, 9.Aufl., 2023, §1205, 2961, Rn.29; Staudinger/Wiegand (2019) BGB § 1205, Rn. 29.

¹³⁵ Schäfer in MüKo, Sachenrecht, Band 8, 9.Aufl., 2023, §1205, 2961, Rn. 30.

გერმანიაში მფლობელობითი გირავნობა სახელშეკრულებო გირავნობის ერთადერთი სახეა, ხოლო საქართველოში კი - ერთ-ერთი. სკ-ს 255 „ბ“ მუხლის მიხედვით, გირავნობა შეიძლება არსებობდეს რეგისტრირებული გირავნობის სახით. რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი გირავნობის საგანია სატრანსპორტო საშუალება, მაშინ რეგისტრაცია ხორციელდება შსს მომსახურების სააგენტოში. რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში მოგირავნისათვის ნივთის მფლობელობაში გადაცემა სავალდებულო არ არის (სკ, მ.258 | 2).

რაც შეეხება კანონისმიერ გირავნობას, სახელშეკრულებო გირავნობისგან განსხვავებით, მისი წარმოშობის საფუძველი არა მხარეთა თავისუფალი ნება, არამედ კანონისმიერი დანაწესია. ამ კუთხით ქართული და გერმანული მონესრიგება ერთმანეთის მსგავსია.

დღეისათვის გერმანულ სამართლებრივ პრაქტიკაში მოძრავ ნივთებზე გირავნობა მნიშვნელოვნად არის ჩანაცვლებული საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემით.¹³⁶ როგორც უზრუნველყოფის საშუალება, გირავნობა ემსახურება მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების თანმდევი მცირე კრედიტების უზრუნველყოფას ამისათვის სპეციალიზირებულ დაწესებულებებში, ე.წ. ლომბარდებში,¹³⁷ ხოლო უფრო დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის კუთხით კი უნდა აღინიშნოს ბანკების გირავნობის უფლება ფასიან ქალაქებსა და ძვირფას ლითონებზე.¹³⁸ ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ გერმანულ სამართალში გირავნობა მხოლოდ მფლობელობითი გირავნობის სახით არსებობს, რაც შესაძლებლობას ართმევს დამგირავებელ-მესაკუთრეს რომ გააგრძელოს ნივთის გამოყენება. ეს პრობლემა ქართულ სამართალში მოხსნილია რეგისტრირებული გირავნობის არსებობის გამო, შესაბამისად, დამგირავებული ნივთის დამგირავებელ-მესაკუთრის პირდაპირ მფლობელობაში დარჩენის შესა-

¹³⁶ *Vieweg/Werner, Sachenrecht*, 7. Aufl., Verlag Franz Vahlen München 2015, 307, Rn.3.

¹³⁷ იქვე. თუმცა, მათი საკრედიტო მოცულობა მთელ გერმანიაში ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტების საერთო მოცულობის ერთ პრომილეზე ნაკლებს შეადგენს (ანუ 0.1%-ზე ნაკლებს).

¹³⁸ იქვე.; შდრ. *Federlin* in: *Kümpel/Mülbert/Früh/Seyfried, Bankrecht und Kapitalmarktrecht*, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn.8.443.

ძლებლობის კუთხით, საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის ინსტიტუტის განვითარების საჭიროება, ქართულ სამართალში, ამ კუთხით, ჯერჯერობით არ დამდგარა.

2.4.2. გირავნობის უფლება მოთხოვნისას ხანდაზმულობისას

2.4.2.1. გერმანული სამართლის მიდგომა

თუკი უზრუნველყოფილი მოთხოვნა ხანდაზმულია, გერმანულ სამართალში ბგბ-ს § 216 I პარაგრაფის¹³⁹ მიხედვით, არც მოთხოვნის ხანდაზმულობის დადგომა და არც თავად მოვალის მიერ წამოყენებული ხანდაზმულობის შესაგებელი, არ აფერხებს გირავნობის საგნის რეალიზაციას.¹⁴⁰ ასევე, მოვალეს არც შეცდომის საფუძველით წარმოეშობა შეცილების უფლება, როცა მან გირავნობის უფლების დადგენის მომენტში არ იცოდა მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ.¹⁴¹

ასეთი საკანონმდებლო რეგულაცია ეფუძნება იმ ძირითად იდეას, რომ უზრუნველყოფის საშუალებებმა, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოფის გამცემს, (უზრუნველყოფი საგნის მოსალოდნელი რეალიზაციის შიშით) გადახდის ვალდებულების შესრულებისკენ, ხოლო მეორე მხრივ კი, მოთხოვნის ვადამოსულობისას, მოვალის მიერ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის უზრუნველყოფის მიმღების დაცვა მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის რისკისგან.¹⁴² ამიტომაც, უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებით შექმნილმა დამატებითმა უფლებამ უნდა დაიცვას კრედიტორი იმ საფრთხისგან, რაც დაკავშირებულია ხანდაზმულობის გამო ძირითადი მოთხოვნის განუხორციელებლობასთან.¹⁴³ აღნიშნული დაცვითი მიზნის გათვალისწინებით, გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ

¹³⁹ ბგბ-ს § 216 I პარაგრაფის მიხედვით „იმ მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა, რომლისთვისაც არსებობს იპოთეკა, საზღვაო ხომალდის იპოთეკა ან გირავნობა ხელს არ უშლის კრედიტორს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დატვირთული საგნიდან.“

¹⁴⁰ *რიუთერსი/შტადლერი*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, მე-19 გადამუშავებული გამოცემა, *ჭეჭელაშვილი (თარგმ.)*, თბ., 2020, 130, ველი 12; *Schäfer in MüKo, Sachenrecht, Band 8, 9. Aufl., 2023, §1204, 2950, Rn.40.*; ზოგადი მოსაზრება.

¹⁴¹ *Schäfer in MüKo, Sachenrecht, Band 8, 9. Aufl., 2023, § 1204, 2950, Rn. 40.*

¹⁴² ბგბ-ს ძველი რედაქციის § 223 პარაგრაფთან დაკავშირებით იხ. BGH, Urteil vom 7. Dezember 1977 - VIII ZR 168/76 - BGHZ 70, 96, Rn. 12 ff.

¹⁴³ ამ საკითხზე მკაფიოდ იხ. BGH, Urteil vom 17. Februar 2000 - VII ZR 51/98 - BGHZ 143, 397, Rn. 9.

ბგბ-ს ძველი რედაქციის § 223 პარაგრაფი¹⁴⁴ (ამჟამად ბგბ-ს § 216 I) არ განმარტა ნორმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით და ის პირობადებული საკუთრების ინსტიტუტზეც გაავრცელა.¹⁴⁵ ამ ხედვას გერმანიის ბუნდესტაგი ხანდაზმულობის ვადების რეფორმირების ფარგლებში, ბგბ-ს § 216 II 2 პარაგრაფის მოქმედი რედაქციის მიღებით შეუერთდა.¹⁴⁶ ამასთან, უზრუნველმყოფი უფლებების დაცვითი მიზანი ბუნდესტაგმა ბგბ-ს § 216 II 1 პარაგრაფის ახალი, უფრო ნათელი რედაქციით გაამყარა, რომლის მიხედვითაც, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხანდაზმულობა არ აბრკოლებს არც საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემიდან და არც უზრუნველმყოფი ცესიიდან გამომდინარე უფლებების განხორციელებას.¹⁴⁷

ზოგჯერ გამოთქმული შეხედულების საწინააღმდეგოდ,¹⁴⁸ გერმანულ სამართალში აღიარებულია, რომ აქცესორულობის პრინციპი არ ირღვევა, თუკი უზრუნველმყოფი საგნის რეალიზაცია უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ან ხანდაზმულობის შესაგებლის წარდგენის შემდეგ მოხდება. ხანდაზმულობასთან დაკავშირებული „ნაკლი“ მხოლოდ ზომიერად ასუსტებს აქცესორულობის პრინციპის მნიშვნელობას, თუმცა არ გამორიცხავს რომ მოთხოვნა ისევ არსებობს და უზრუნველმყოფი საგნის გამოყენება კვლავ ამ მოთხოვნას ემსახურება. ამიტომ, გერმანული სამოქალაქო სამართალი, ბგბ-ს § 216 I პარაგრაფის საკანონდებლო რეგულირებით ხაზს უსვამს იმას, რომ ხანდაზმული მოთხოვნაც საკმარისად მყარია საიმისოდ, რომ აქცესორულობის პრინციპის

¹⁴⁴ ბგბ-ს § 223 პარაგრაფის ძველი რედაქციის მიხედვით, იმ მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა, რომლისთვისაც არსებობს იპოთეკა, საზღვაო ხომალდის იპოთეკა ან გირავნობა ხელს არ უშლის უფლებამოსილ პირს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დატვირთული ნივთიდან.

¹⁴⁵ BGH, Urteil vom 7. Dezember 1977 - VIII ZR 168/76 - BGHZ 70, 96, Rn. 12 ff.; BGH, Urteil vom 4. Juli 1979 - VIII ZR 68/78 - NJW 1979, 2195, Rn. 8 ff.; ასევე, შდრ. *Schmidt-Räntsch* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 216 BGB, Rn. 4.

¹⁴⁶ შდრ. მაგალითად: ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის შესახებ კანონპროექტი, Deutscher Bundestag Drucksache 14/6040 14 vom 14. 05. 2001, S. 122 ff.

¹⁴⁷ *Staudinger/Jacoby* (2024) BGB § 216, Rn. 6.; *Lakkis* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 216 BGB (Stand: 15.05.2023), Rn. 4.; *Schmidt-Räntsch* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 216 BGB, Rn. 4.; ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის შესახებ კანონპროექტი, Deutscher Bundestag Drucksache 14/6040 14 vom 14. 05. 2001, S. 123.

¹⁴⁸ მაგალითად: NK-BGB/*Budzikiewicz*, Band 1, 4. Aufl., 2021, § 216, 1774-1775, Rn. 4.; *Lakkis* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 216 BGB (Stand: 15.05.2023), Rn. 1.

დარღვევის გარეშე, შესძინოს ლეგიტიმაცია საუზრუნველყოფო უფლებათა რეალიზაციას.¹⁴⁹

2.4.2.2. ქართული სამართლის მიდგომა

ბგბ-ს § 216 I პარაგრაფის მსგავს დანაწესს სკ არ იცნობს. ამიტომ, ქართულ სამართალში საკითხი - ინვეეს თუ არა უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხანდაზმულობა გირავნობის უფლების შეწყვეტას - აქცესორულობის პრინციპიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს. აქცესორულობის ეს მოთხოვნა (იგულისხმება, რომ ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობა მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა უფლების ხანდაზმულობასაც ინვეეს) ქართულ სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ დოქტრინაში - სავსებით დასაბუთებული მიზეზებით - უფრო მკაცრად არის გაგებული, ვიდრე ეს გერმანული სასამართლო პრაქტიკის და კანონმდებლის გადაწყვეტილების მიხედვითაა. ქართული სამართლის გაგებით, ხანდაზმულობის „ნაკლი“ უზრუნველყოფილ მოთხოვნას იმ სრულფასოვნებას ართმევს, რომელიც აუცილებელია აქცესორულობისთვის. აქცესორულობის პრინციპის უფრო მკაცრი გაგება ქართულ სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ ლიტერატურაში გამოიხატება იმით, რომ სკ-ს 145-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი - რომლის მიხედვითაც, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც - თანაბრად ვრცელდება ყველა აქცესორულ საუზრუნველყოფო უფლებაზე - როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითსამართლებრივზე. ამდენად, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხანდაზმულობა გამორიცხავს მის უზრუნველსაყოფად გამოყენებული გირავნობიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.¹⁵⁰

¹⁴⁹ სიღრმისეულად იხ. *Staudinger/Jacoby (2024) BGB § 216 Rn. 1.*

¹⁵⁰ იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 23 სექტემბრის #ას-1023-2025 განჩინება, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლის თანახმად, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც, მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. იპოთეკა სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით აქცესორულ უფლებას წარმოადგენს, რომელიც გამომდინარეობს ძირითადისაგან, შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება იპოთეკის ხელშეკრულებაზეც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ გასაზიარებელი იყო იპოთეკის სავნის მესაკუთრის მოთხოვნა, კუთვნილ ნივთზე რეგისტრირებული შეზღუ-

ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობა კრედიტორს ავალდებულებს, გაათავისუფლოს გირაოს საგანი უფლებრივი ტვირთისაგან.

2.4.3. გირავნობის საგნიდან დაკმაყოფილება

უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი ვადამოსულობისას დღის წესრიგში დგება გირავნობის საგნიდან დაკმაყოფილების საკითხი. სკ-ს 276 I მუხლის მიხედვით, მოგირავნის დაკმაყოფილება ხდება გირავნობის საგნის რეალიზაციით ან მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემით. ბგბ-ს § 1228 I პარაგრაფის მიხედვით კი, გირავნობის საგნიდან მოგირავნის დაკმაყოფილება ხორციელდება გირავნობის საგნის გაყიდვით. გერმანულ სამართალში, გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებით მოგირავნის დაკმაყოფილება არ არის წესი, არამედ მოგირავნის დაკმაყოფილების ალტერნატივა, რომელზე შეთანხმებაც მხოლოდ მოთხოვნის ვადამოსულობის შემდეგ არის დასაშვები (ბგბ, § 1229).

2.4.3.1. გირავნობის საგნის რეალიზაციით კრედიტორის დაკმაყოფილების პრობლემატიკა

სკ-ს 276 II მუხლის მიხედვით, „მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მოგირავნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით სკ-ს 276-ე მუხლით დადგენილი წესი თანაბრად ვრცელდება როგორც რეალიზაციის, ისე დაგირავებული ნივთის საკუთრებაში მიღების შემთხვევაზე.

აღნიშნული დანაწესის განმარტების დროს ჩნდება კითხვა - გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შემთხვევაში, კრედიტორი მხოლოდ გირაოს რეალიზაციიდან ამონაგებ თანხას უნდა დასჯერდეს, თუ შეუძლია მოვალის სხვა ქონებიდანაც მიიღოს დაკმაყოფილება, როცა ამის

დვის გაუქმებასთან მიმართებით, რადგანაც ვალდებულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც დაიტირთა კონკრეტული ქონება იპოთეკით, ქართული კანონმდებლობის საფუძველზე ხანდაზმული იყო და ვერ წარმოშობდა მისი იძულებით შესრულების წინაპირობებს.“ იხ. ასევე, *სვანაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, *ჭანტურია (რედ.)*, წიგნი I, თბ., 2017, მ.145, 781-782.

შესახებ შეთანხმება არ არსებობს? სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოგირავნის მიერ გირაოს გარდა მოვალის სხვა ქონებიდან დაკმაყოფილების შესაძლებლობა ნებისმიერ შემთხვევაში გამოირიცხება თუკი ამის შესახებ არ არსებობს შეთანხმება.¹⁵¹ ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოგირავნე მხოლოდ მაშინ უნდა დასჯერდეს ნივთის რეალიზაციიდან ამონაგებთანხას, როცა მან უკვე მოახდინა გირაოს რეალიზაცია, ანუ როცა უკვე დააკარგვინა დამგირავებელს საკუთრების უფლება, ხოლო მანამდე კი - მას აქვს შესაძლებლობა, წარადგინოს სარჩელი მოვალის წინააღმდეგ და მოითხოვოს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, მათ შორის გირაოს რეალიზაციითაც.¹⁵²

სკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაფერს ცვლის იმ ზოგად პრინციპში, რომლის მიხედვითაც ნების გამოვლენა შეიძლება განხორციელდეს ასევე კონკლუდენტურად, ხოლო ნების დადგენისას კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მხარეთა აშკარად შეცნობადი ლეგიტიმური ინტერესები. შესაბამისად, კანონით გამოყენებული ფორმულირება - „თუ ... სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“ - ეხება მხოლოდ მტკიცების ტვირთის განაწილებას. უზრუნველყოფის საშუალებების ზოგადი მიზანი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფით უზრუნველყოფილი მოთხოვნა კი არ შეიზღუდოს, არამედ პირიქით, გაძლიერდეს, ამ მტკიცების ტვირთის განაწილებით არ ირღვევა. ამიტომ, ასეთი უზრუნველყოფითი შეთანხმების ტიპური მიზნის გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს, ხომ არ შეთანხმდნენ მხარეები კონკლუდენტურად იმაზე, რომ გირაოთი უზრუნველყოფილ კრედიტორს ექნებოდა უფლება, დაკმაყოფილება გირაოს ფარგლებს მიღმაც მიეღო. თუმცა, ასეთი კონკლუდენტური შეთანხმების არსებობის დამტკიცებისათვის საკმაოდ მაღალი მოთხოვნები უნდა დაწესდეს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან სკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რომლის

¹⁵¹ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, *ჭანტურია (რედ.)*, წიგნი II, თბ., 2018, 426-427, ველი 8, 9. სასამართლო პრაქტიკისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის #ას-445-427-2016 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 აპრილის #ას-1119-1066-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის #ას-403-376-2017 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბრის #ას-88-2024 გადაწყვეტილება.

¹⁵² იხ. *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, *ჭანტურია (რედ.)*, წიგნი II, თბ., 2018, 426-427, ველი 9.

მიხედვითაც, ქართული კანონმდებლის ხედვით, გამოხატული ან კონკლუდენტური შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში მოვალის სხვა ქონებიდან პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, გავლენას ახდენს ზოგად სამართლებრივ აღქმასა და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოლოდინებზე. თუ სკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილისგან გადახვევით მიღწეული შეთანხმება ერთმნიშვნელოვნად ვერ დადგინდება, ძალაში უნდა დარჩეს კანონით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის განაწილება.

ქართული სამართლის ეს მიდგომა ფუნდამენტურად განსხვავდება გერმანული სამართლისგან. გერმანულ სამართალში მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ უზრუნველყოფის საშუალებებმა უნდა აიძულოს უზრუნველყოფის გამცემი, გადაიხადოს თანხა, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში კი, - დაიცვას უზრუნველყოფის მიმღები მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის რისკისგან.¹⁵³ უზრუნველყოფითი შეთანხმების ამ, ყველასთვის გასაგებ (მათ შორის უზრუნველყოფის გამცემისთვისაც) აშკარა დაცვით მიზანს, გერმანული სამართლის თვალსაზრისით, როგორც წესი, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება წესი, რომლის მიხედვითაც, უზრუნველყოფი უფლების დადგენა უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეზღუდვას იწვევს, ანუ „კვეცავს“ მას, იმის მაგივრად, რომ დაიცვას იგი.

უზრუნველყოფის საგნის გადაცემა უზრუნველყოფის მიმღებისთვის არ ემსახურება მხოლოდ იმას, რომ მისი (ნივთის) რეალიზაციის გზით შესაძლებელი გახდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. უზრუნველყოფი საგნის შესაძლო რეალიზაციის „მუქარა“ ასევე წარმოადგენს ერთგვარ დამატებით ეკონომიკურ „ზენოლას“ მოვალეზე რომ აიძულოს გადახდის ვალდებულების შესრულება. ნებისმიერი განმარტება, რომელიც არ არის უზრუნველყოფის შეთანხმების ამ მიზანზე ორიენტირებული, უზრუნველყოფის გამცემს უბიძგებს, შეგნებულად არ შეასრულოს თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. ეს ცდუნება და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების დარღვევისკენ მიდრეკილების საფრთხე განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როცა გირავნობის საგანი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც გამოყენებასა და დროის გასვლასთან ერთად მნიშვნელოვნად კარგავს თავის ღირებულებას.

ამიტომ, გერმანიაში ერთხმად და თითქმის თავისთავად ნაგულისხმევ სამართლებრივ შეხედულებად ითვლება, რომ უზრუნველყოფის დადგენა, როგორც წესი, არ ახდენს გავლენას უზრუნველყოფილი მოთხოვნის

¹⁵³ BGH, Urteil vom 7. Dezember 1977 - VIII ZR 168/76 - BGHZ 70, 96, Rn. 12 ff.; BGH, Urteil vom 2. Februar 1984 - IX ZR 8/83 - NJW 1984, 1184, Rn. 30 ff.

რეალიზაციის უფლებაზე¹⁵⁴ და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა უზრუნველყოფილ მოთხოვნას მხოლოდ ამ რეალიზაციიდან ამონაგები თანხის ოდენობით აკმაყოფილებს. ეს ნიშნავს, რომ თუკი რეალიზაციიდან ამონაგები თანხა სრულად არ ფარავს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას, მაშინ მოთხოვნის იძულებითი დაკმაყოფილების შესაძლებლობა აგრძელებს არსებობას. შესაძლებელია ამ ძირითადი სამართლებრივი მდგომარეობისგან განსხვავებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფის მიმღები ვალდებული იქნება, პირველ რიგში მოთხოვნა დააკმაყოფილოს უზრუნველყოფის საგნიდან ან მხოლოდ ამ უკანასკნელიდან.¹⁵⁵ თუმცა, ასეთი შეთანხმებები ეწინააღმდეგება ზემოთ აღწერილ უზრუნველყოფის მიზანს და ამის გამო ისეთ საგამონაკლისო ხასიათს ატარებენ, რომ პრაქტიკაში თითქმის არასოდეს გვხვდება.¹⁵⁶

ინტერესთა სხვა თანაფარდობასა და შესაბამისად, მხარეთა განსხვავებულ სავარაუდო ნებაზე გერმანიაში ძირითადად მხოლოდ მაშინ საუბრობენ, როცა საქმე ეხება ე.წ. სალომბარდე გირავნობას (*Pfandleihe*) (ინგლისურად: *pawnbroking*). ამ შემთხვევაში გირაოდ გამოყენებული ნივთი (ძვირადღირებული საათები, სამკაულები, ოქრო, სხვ.) თავიდანვე ხელშეკრულებით შეთანხმებული ურთიერთობის ცენტრალურ ობიექტს წარმოადგენს, რის გამოც ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობა თავის თავში ნასყიდობის ხელშეკრულების ელემენტებსაც ატარებს. ეს განსაკუთრებით იმაში ვლინდება, რომ გირაოდ გამოყენებული ნივთის უნაკლოობა მხარეთა ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების ნაწილს წარმოადგენს, რის გამოც შესაბამისად გამოიყენება გარანტიასთან დაკავშირებული ნასყიდობის სამართლის ნორმები.¹⁵⁷ მარტივად რომ ვთქვათ, ამ ბიზნეს-მოდელში სესხის ოდენობას განსაზღვრავს არა მსესხებლის ფინანსური საჭიროება, არამედ კრედიტორის მიერ წინასწარ შეფასებული გირავნობის საგნის ღირებულება, რომელიც ეფუძნება მისი

¹⁵⁴ *Staudinger/Wiegand* (2019) BGB § 1204, Rn. 7.

¹⁵⁵ *J. Schmidt* in: *Erman BGB, Kommentar*, 17. Auflage 2023, § 1204 BGB, Rn. 17.; *Staudinger/Wiegand* (2019) BGB § 1204, Rn. 7.

¹⁵⁶ გამონაკლისს წარმოადგენს სალომბარდე გირავნობა (*Pfandleihe*), თუმცა აქ შესაბამისი შეთანხმება საჭირო არ არის, რადგან სამართლებრივი შედეგი უკვე ნორმატიულად არის განსაზღვრული სალომბარდე საქმიანობის მომწესრიგებელი კანონის (*Pfandleihverordnung*) § 5 I 1 პარაგრაფში.

¹⁵⁷ Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 11. September 2008 - 16 U 15/08 - NJW-RR 2009, 552, Rn. 8.

სავარაუდო რეალიზაციის ფასს.¹⁵⁸ ნივთის ლომბარდში დაგირავება გირავნობის სხვა შემთხვევასთან რომ შევადაროთ: ჩვეულებრივი სესხის დროს, მსესხებლის საჭიროება განსაზღვრავს უზრუნველყოფას, ხოლო სალომბარდე გირავნობის დროს კი სიტუაცია ერთგვარად შებრუნებულია - უზრუნველყოფა განსაზღვრავს სესხის ოდენობას. ვინაიდან კრედიტის უზრუნველყოფის ამ ფორმის დროს ხორციელდება გირავნობის საგნის ღირებულების შეფასება და კრედიტორის მიერ ამ ნივთის თავისთან დატოვება, როგორც წესი, უნდა ვივარაუდოთ, რომ კრედიტორი თავიდანვე მხოლოდ გირაოს რეალიზაციით დაკმაყოფილებას სჯერდება. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების ასეთი წესი გერმანიაში ნორმატიულად არის დადგენილი იმისთვის, რომ დასაშვებად იქნეს მიჩნეული ამგვარი (იგულისხმება სალომბარდე გირავნობა) სამეწარმეო საქმიანობა.¹⁵⁹

2.4.3.2. გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებით კრედიტორის დაკმაყოფილების პრობლემატიკა

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მოთხოვნის ვადამოსულობისას, კრედიტორის დაკმაყოფილება მოხდება გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებით. ასეთი შეთანხმება ბგბ-ს § 1229 პარაგრაფის მიხედვით დასაშვებია მხოლოდ გირავნობის ვადამოსულობისას, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა წინასწარი შეთანხმება, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორის საკუთრებაში გირავნობის საგნის გადასვლით დაკმაყოფილებაზე, ბათილია. ამისგან განსხვავებით, სკ-ს 260¹ მუხლი დასაშვებად მიიჩნევს წინასწარ შეთანხმებას დაგირავებული ნივთის კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში გადასვლის შესახებ, ოღონდ მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში და ამის შესახებ აუცილებლად პირდაპირ უნდა იყოს აღნიშნული ხელშეკრულებაში. ნორმა კუმულატიურ პირობას აყენებს გირავნობის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლით დაკმაყოფილების შემთხვევისთვის -

¹⁵⁸ კითხვა ფაქტობრივად ასეთია: რამდენს მივიღებ ამ საათისთვის ან სამკაულისთვის?

¹⁵⁹ სალომბარდე საქმიანობის მომწესრიგებელი კანონის (*Pfandleihverordnung*) § 5 I 1 პარაგრაფის თანახმად, გირავნობითი საქმიანობის განმახორციელებლმა პირმა (ლომბარდმა) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს გირაოს საგანი, როცა ის დამგირავებელს შეუთანხმდება, რომ მას თავისი მოთხოვნების - სესხის დაბრუნების, ასევე პროცენტების, ანაზღაურებებისა და ხარჯების მოთხოვნების ჩათვლით - დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ გირაოს საგნიდან.

ეს დასაშვებია მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის დროს და ამის შესახებ პირდაპირ უნდა იყოს აღნიშნული ხელშეკრულებაში.

რეგისტრირებული გირავნობის დროს, როცა დამგირავებელი და მოგირავნე წინასწარ თანხმდებიან ხელშეკრულებაში, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოგირავნე გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებით დაკმაყოფილდება, თავს იჩენს შემდეგი პრობლემა: შესაძლოა, გირავნობით დაიტვირთოს ნივთი, რომლის ღირებულებაც მნიშვნელოვნად აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას, მაგრამ იმის გამო, რომ დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის სკ-ს 260¹ მუხლის შესაბამისი შეთანხმებაა, კრედიტორი რაიმე პირობის გარეშე მოიპოვებს ამ ნივთზე საკუთრების უფლებას. დამგირავებელი ასეთი შეთანხმებისას, როგორც წესი, მოქმედებს იმ იმედით, რომ მას არ მოუწევს ნივთის დაკარგვა, თუმცა შემდგომში დგება იმ რეალობის წინაშე, რომ არც თუ ისე მაღალი მოთხოვნის დასაფარავად საკმაოდ მაღალი ღირებულების ნივთზე უწევს საკუთრების დაკარგვა.¹⁶⁰ ბგბ-ს § 1229 პარაგრაფი ამ კუთხით იცავს დამგირავებელს, რადგან ის მოთხოვნის ვადამოსულობამდე ბათილად აცხადებს ნებისმიერ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოგირავნის დაკმაყოფილება გირავნობის საგნის მის საკუთრებაში გადასვლით მოხდება.

ბგბ-ს § 1229 პარაგრაფის მსგავსი ნორმის არარსებობა შედეგად იწვევს იმას, რომ კრედიტორს სკ-ს 260¹ მუხლის მიხედვით გირავნობის იმ საგანზეც შეუძლია საკუთრების უფლების მიღება, რომლის ღირებულებაც მნიშვნელოვნად აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას. ეს, როგორც წესი, ეწინააღმდეგება დამგირავებლის ინტერესს, რომ არ დაკარგოს მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნივთი შედარებით მცირე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამ რისკის თავიდან არიდება დამგირავებელს, საკანონმდებლო კონცეფციის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ გზით შეუძლია, რომ თავიდანვე უარი განაცხადოს ასეთ სახელშეკრულებო პირობაზე.

¹⁶⁰ ამასთან დაკავშირებით იხ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, *ჭანტურია (რედ.)*, წიგნი II, თბ., 2018, 359-360, ველი 2, 4.

2.4.4. უზრუნველყოფილი მოთხოვნის ჩანაცვლების შესაძლებლობა

უზრუნველყოფილი მოთხოვნის სხვა მოთხოვნით ჩანაცვლების შემთხვევაში გირავნობის შენარჩუნება გამორიცხულია.¹⁶¹ ეს განასხვავებს მას იპოთეკისგან, რომლის დროსაც მოთხოვნის ცვლილება დასაშვებია. ბგბ-ს § 1180 I 1 პარაგრაფის მიხედვით, „მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით.“ იმავე შინაარსისაა სკ-ს 286 III 1 მუხლიც, რომლის მიხედვითაც, „ის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით.“ რაც შეეხება გირავნობას, ერთ მოთხოვნას ავტომატურად ვერ ჩავანაცვლებთ მეორე მოთხოვნით ისე რომ გირავნობა შენარჩუნდეს. ახალი მოთხოვნის გირავნობით უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ძველ მოთხოვნაზე არსებული გირავნობის გაუქმების და ახალი მოთხოვნისთვის გირავნობის თავიდან დადგენის გზით.¹⁶²

ამას გარდა, თუკი უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ წარმოიშობა, მაგალითად იმის გამო, რომ მხარეთა შეთანხმება ბათილი აღმოჩნდა, მაშინ უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმების განმარტებაზე დამოკიდებული იმის გადაწყვეტა, უნდა დაიკავოს თუ არა თავდაპირველი მოთხოვნის ადგილი ე.წ. „სანაცვლო მოთხოვნამ“, როგორცაა უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, ერთი მოსაზრების მიხედვით, გირავნობის უფლების მკაცრი აქცესორულობის გათვალისწინებით ამის ავტომატურად დაშვება შეუძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული;¹⁶³ მეორე მოსაზრების მიხედვით კი ეს დასაშვებია უნდა იყოს, რომლის არგუმენტაციაც ეფუძნება იმ დასაბუთებას, რომ ასეთ შემთხვევებში ამოსავალია კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის ეკონომიკური შედეგი, მიუხედავად იმისა თუ რომელ სამართლებრივ საფუძველს ემყარება ეს მოთხოვნა.¹⁶⁴

¹⁶¹ *Vieweg/Werner*, Sachenrecht, 7. Aufl., Verlag Franz Vahlen München 2015, 320, Rn.25; *Protz* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 1204 BGB (Stand: 15.03.2023) Rn. 37.; *J. Schmidt* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 1204 BGB, Rn. 12.; ზოგადი მოსაზრება.

¹⁶² *Vieweg/Werner*, Sachenrecht, 7. Aufl., 2015, 320, Rn. 25.

¹⁶³ ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებით იხ. BGH, Urteil vom 27. April 2017 - IX ZR 192/15 - ZIP 2017, 2074, Rn. 15 mwN.; *Staudinger/Wiegand* (2019) BGB § 1204, Rn. 20 ff.; *J. Schmidt* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 1204 BGB, Rn. 12.

¹⁶⁴ შდრ. *Vieweg/Werner*, Sachenrecht, 7. Aufl., 2015, 319, Rn. 24.

3. კრედიტის უზრუნველყოფა მოლოდინის უფლებით

3.1. მოლოდინის უფლების შინაარსი

მოლოდინის უფლება (*Anwartschaftsrecht*) სამოქალაქო კოდექსით პირდაპირ მოწესრიგებული ინსტიტუტი არ არის, თუმცა ის გერმანიაში უკვე საყოველთაოდ აღიარებულია. მოლოდინის უფლებაზე, როგორც წესი, საუბარია სამ შემთხვევაში: 1. პირობადებული საკუთრების დროს - პირობადებული საკუთრებით ნივთის შექენისას მყიდველს წარმოეშობა მოლოდინის უფლება, რაც განიხილება, როგორც საკუთრების უფლების შექენის წინასაფხური; 2. იპოთეკის სამართალში - იპოთეკის რეგისტრაციასა და უზრუნველყოფილი სესხის გაცემის პერიოდში, იპოთეკარს წარმოეშობა მოლოდინის უფლება; (თუმცა აღნიშნული არ ვრცელდება მიწის ვალზე მისი არააქცესორული ბუნების გამო. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით გერმანიაში მიწის ვალმა, როგორც საკრედიტო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა, მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა იპოთეკა.) 3. მიწის ნაკვეთზე უფლებების შექენისას - იმ მომენტიდან, როცა მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება განაცხადი უფლების რეგისტრაციის შესახებ, შემძენს წარმოეშობა მოლოდინის უფლება.¹⁶⁵

გერმანული გაგებით, მოლოდინის უფლება არ მოდის წინააღმდეგობაში ე.წ. *numerus clausus* პრინციპთან (ე.წ. „დახურულ რიცხვთა პრინციპი“)¹⁶⁶, რადგან ის არ არის კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ინსტიტუტი, რაც სანივთოსამართლებრივად დაუშვებელი იქნებოდა, არამედ ის არის უბრალოდ სანივთო უფლების შინაარსობრივად მსგავსი მოვლენა, რომელიც სრული უფლების შექენის წინასაფხურს წარმოადგენს, რის გამოც ის ასევე მოიხსენიება როგორც სრული უფლების ერთგვარი მინუსი. მოლოდინის უფლება წარმოადგენს სრული უფლების შექენის დაცულ წინარე საფეხურს. მისი სამართლებრივი პოზიცია ძალიან ახლოს დგას სრულ უფლებასთან. შესაბამისად, კონკრეტული სამართლებრივი პოზიციის მოლოდინის უფლებად მიჩნევისთვის დაწესებულია ძალიან მაღალი მოთხოვნები,¹⁶⁷ რაც ნიშნავს იმას, რომ მოლოდინის უფლებად ითვლება არა ნებისმიერი არასრული უფლებრივი მდგომარეობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც თითქმის უკვე დასრულებულია,

¹⁶⁵ *Vieweg/Werner, Sachenrecht*, 8.Aufl., 2018, 367, Rn. 35.

¹⁶⁶ ამასთან დაკავშირებით იხ. BGH, Urteil vom 19. Dezember 2025 - V ZR 15/24 - openJur 2026, 46, Rn. 17 ff.

¹⁶⁷ BGH, Urteil vom 24. März 1994 - X ZR 108/91 - BGHZ 125, 334, Rn. 20; BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 11.

ანუ თითქმის უკვე სრული უფლებაა. ამ გაგებით მოლოდინის უფლება მეტაფორულად შეგვიძლია „მოზაიკის ქვას“ შევადაროთ.

მოლოდინის უფლება ძლიერი სამართლებრივი პოზიციით ხასიათდება¹⁶⁸, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი ძირითად უფლებად ტრანსფორმაცია აღარ შეიძლება გამსხვისებლის მხრიდან ცალმხრივად დაბრკოლდეს, ასევე შეუძლებელია გამსხვისებლის მიერ შემძენისთვის მოლოდინის უფლების ჩამორთმევა.¹⁶⁹ ეს ნიშნავს იმას, რომ შეთანხმებული პირობის დადგომა უკვე მხოლოდ შემძენზეა დამოკიდებული. მაგალითად, პირობადებული საკუთრების შემთხვევაში ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდა.¹⁷⁰ ნასყიდობის საფასურის სრულად დაფარვამდე პირობადებული საკუთრების მყიდველს გააჩნია მხოლოდ მოლოდინის უფლება, რომლის სრულ უფლებად გადაქცევაც დამოკიდებულია გადადებული პირობის დადგომაზე - ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის გადახდაზე. უძრავ ნივთზე უფლების შეძენის შემთხვევაში მოლოდინის უფლების არსი გამოიხატება იმაში, რომ საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული განცხადების შეტანის შემდგომ გამსხვისებელს აღარ აქვს უფლება, გამოითხოვოს განაცხადი,¹⁷¹ ანუ ცალმხრივად დააბრკოლოს შემძენის მიერ სრული უფლების მოპოვება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მოლოდინის უფლება წარმოადგენს არა ვალდებულებითსამართლებრივ მოთხოვნის უფლებას სანივთო უფლების შექმნაზე,¹⁷² არამედ - ერთგვარ დამოუკიდებელ თავისთავად

¹⁶⁸ BGH, Urteil vom 27. Juni 2025 - V ZR 143/24 - MDR 2025, 1200, Rn. 16; BGH, Beschluss vom 13. September 2023 - XII ZB 400/22 - NJW-RR 2023, 1491, Rn. 23 mwN; BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 11.

¹⁶⁹ *Vieweg/Werner*, Sachenrecht, 8. Aufl., 2018, 376, Rn. 59.

¹⁷⁰ ამასთან დაკავშირებით იხ. *Grunewald* in: Erman BGB, Kommentar, 17. Aufl., 2023, § 449 BGB, Rn. 26.

¹⁷¹ გერმანულ სარეგისტრაციო სამართალში არსებული წესების შესაბამისად მოსალოდნელი რანგის დაკარგვის გამო; შდრ. BGH, Beschluss vom 4. Februar 2016 - IX ZA 28/15 - NJW-RR 2016, 744, Rn. 8; BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 12; Keller in: Keller/Munzig, KEHE Grundbuchrecht - Kommentar, § 5 სამართლებრივი მდგომარეობა საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმებასა (Auflassung) და რეგისტრაციას შორის, Rn. 6 f.; *Staudinger/C Heinze* (2025) BGB § 873, Rn. 184.

¹⁷² BGH, Urteil vom 27. Juni 2025 - V ZR 143/24 - MDR 2025, 1200, Rn. 16, ზოგადი მოსაზრება.

წარმოშობის პროცესში მყოფ სანივთო უფლებას.¹⁷³ რამდენადაც მოლოდინის უფლება საკუთრების უფლების მსგავს უფლებადაა აღიარებული¹⁷⁴, ეს იძლევა მისი კრედიტის უზრუნველსაყოფის საშუალებად გამოყენების შესაძლებლობასაც.¹⁷⁵

ხელშეშლის შემთხვევაში მოლოდინის უფლების მფლობელს აქვს მესაკუთრის მსგავსი თავდაცვის საშუალებები. მოლოდინის უფლება ითვლება „სხვა უფლებად“ და საკუთრების უფლების მსგავსად ექვემდებარება დელიქტურ დაცვას (ბგბ, § 823 I).¹⁷⁶

დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოიქმნება კონკურენცია მესაკუთრესა (პირობადებული საკუთრების გამყიდველი) და მოლოდინის უფლების მქონე პირს (პირობადებული საკუთრების მყიდველი) შორის, რაც გამოიხატება შემდეგში: თუკი პირობადებული საკუთრების პირობით ნაყიდი ნივთი, გარდამავალ პერიოდში (ანუ პირობის დადგომამდე) დაზიანდება ან განადგურდება, მაშინ ვის ეკუთვნის დელიქტური მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე? ასევე, რომელს რომელი დელიქტური მოთხოვნის უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს? -

გამყიდველს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია როგორც მესაკუთრეს, ხოლო მყიდველს კი - როგორც მოლოდინის უფლების მფლობელს.¹⁷⁷ აღნიშნული პრობლემატიკა ლიზინგის ხელშეკრულებ

¹⁷³ მოლოდინის უფლების სამართლებრივი ბუნება დავის საგანს წარმოადგენს. მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც „კვაზი-სანივთო პოზიციას“, იხ. *Maultzsich in Müko, Band 4/1, 9. Aufl., 2024, §449, 360, Rn.57*. სასამართლო პრაქტიკა მას უმეტესად სრული უფლების მსგავს უფლებად განიხილავს.

¹⁷⁴ BGH, Urteil vom 27. Juni 2025 - V ZR 143/24 - MDR 2025, 1200, Rn. 16; BGH, Urteil vom 25. Juni 2021 - V ZR 218/19, NJW-RR 2021, 1244 Rn. 23 mwN.

¹⁷⁵ *Vieweg/Werner, Sachenrecht, 8. Aufl., Verlag Franz Vahlen, 2018, 376, Rn. 59*.

¹⁷⁶ შდრ. BGH, Urteil vom 27. Juni 2025 - V ZR 143/24 - MDR 2025, 1200, Rn. 16; BGH, Urteil vom 11. November 1970 - BGH, Urteil vom 11. November 1970 - VIII ZR 242/68 - BGHZ 55, 20, Rn. 42. ბგბ-ს § 823 I პარაგრაფს შინაარსობრივად შეესაბამება სკ-ს 992-ე მუხლი, თუმცა ბგბ, სკ-სგან განსხვავებით, დელიქტური პასუხისმგებლობის ცენტრალურ ნორმაშივე გვთავაზობს დაცული ობიექტების დეტალურ ჩამონათვალს: სიცოცხლე, სხეული, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრების უფლება, სხვა უფლება. მოლოდინის უფლება სწორედ ამ „სხვა უფლებაში“ სუბსუმირდება (მოიაზრება). სკ-ს 992-ე მუხლი სახელდებით არ ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რომელთა ხელყოფაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს, არამედ მხოლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგენით შემოიფარგლება.

¹⁷⁷ აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით შდრ. BGH, Urteil vom 5. April 1991 - V ZR 39/90 - BGHZ 114, 161, Rn. 16; საკუთრების უზრუნველყოფი გადაცემის საკითხისთვის შდრ. BGH, Urteil vom 25. März 2025 - VI ZR 174/24 - NJW 2025, 2465, Rn. 14.

ბის დროს ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრებისა და მფლობელობის დაცვის კონკურენტული მდგომარეობის მსგავსია.¹⁷⁸ ლიზინგის ხელშეკრულების მსგავსად, აქაც არსებობს საფუძვლიანი არგუმენტი იმისთვის, რომ ნივთის გამოყენების შეუძლებლობით გამონვეული ზიანი, უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომამდე, მხოლოდ მოლოდინის უფლების მფლობელის უფლებრივ სფეროში მოვაქციოთ, რადგან სწორედ ის წარმოადგენს ნივთის პირდაპირ მფლობელს და შესაბამისად, ნივთის გამოყენებაზე უფლებამოსილ პირსაც (ისევე როგორც ლიზინგის საგნის მიმღებია მის გამოყენებაზე ერთადერთი უფლებამოსილი პირი-).¹⁷⁹ პირობადებული საკუთრების დროს მერყევ ფაზაში, ანუ სრული უფლების წარმოშობამდე, ნივთის დაზიანებით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიკუთვნების საკითხი, ჯერჯერობით საბოლოოდ ერთმნიშვნელოვად არ არის გადაწყვეტილი, განსხვავებით საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის და ლიზინგის შემთხვევებისა, რა დროსაც ზიანი მხოლოდ უზრუნველმყოფის მიმღებს და ლიზინგის გამცემს ადგებათ.¹⁸⁰ მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ამ მერყევ (შუალედურ) ფაზაში დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლება ერთ მთლიან, განუყოფად მოთხოვნად იქნეს შეფასებული და შესაბამისად, მესაკუთრე და მოლოდინის უფლების მქონე პირი მხოლოდ ერთობლივად ჩაითვალოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირებად.¹⁸¹ მიუხედავად იმისა, რომ გე-

¹⁷⁸ ჰაგენლოხი, მატერიალური ზიანის გამოთვლა ავტოსაგზაო შემთხვევების დროს გერმანიაში, შედარებითი სამართლის ჟურნალი #7/2023, 1, 5 და შემდგომი გვერდები.

¹⁷⁹ საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის დროს მფლობელობის უფლების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით შდრ. BGH, Urteil vom 17. Januar 2023 - VI ZR 203/22 - NJW 2023, 1361, Rn. 36; BGH, Urteil vom 24. Mai 2022 - VI ZR 1215/20 - NJW-RR 2022, 1386, Rn. 7; a.A. პირობადებული საკუთრების შემთხვევისთვის იხ. მაგალითად, *Staudinger/Thole (2023) Vorbemerkungen zu §§ 987-993*, Rn. 186.

¹⁸⁰ ლიზინგის ხელშეკრულების შემთხვევისთვის შდრ. BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 481/17 - NJW 2019, 1669, Rn. 13 ff.

¹⁸¹ *Böttcher* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 432 BGB, Rn. 11; *Wilhelm* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 823 BGB, Rn. 38; *Staudinger/C Heinze (2020) Anhang zu §§ 929 ff.*, Rn. 169; *Staudinger/Thole (2023) Vorbemerkungen zu §§ 987-993*, Rn. 185; შდრ. BGH, Urteil vom 5. April 1991 - V ZR 39/90 - BGHZ 114, 161, Rn. 16. ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის პრობლემატიკასთან დაკავში-

რმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ ძველ გადაწყვეტილებაში განავითარა ნილობრივი კრედიტორობის (*Teilgläubigeschaf*)¹⁸² კონცეფცია¹⁸³, ეს ხედვა, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი გაურკვევლობის გამო, სამართლიანად იქნა უარყოფილი.¹⁸⁴

3.2. მოლოდინის უფლების განკარგვა

3.2.1. მოლოდინის უფლებაზე სრული უფლების წესების გავრცელება

მოლოდინის უფლების როგორც გარიგებისმიერი განკარგვა, ისე მის მიმართ იძულებითი აღსრულება, როგორც წესი, სრული უფლების მიმართ არსებული წესების მიხედვით წარმოებს.¹⁸⁵

მოლოდინის უფლების და სრული უფლების თანასწორობის პრინციპი მოქმედებს იმდენად რამდენადაც, სრული საკუთრების მიმართ მოქმედი ძირითადი პრინციპები მოლოდინის უფლებაზეც ვრცელდება.¹⁸⁶ თანასწორობის პრინციპი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა სრული

რებით იხ. ასევე, ჩილოშვილი, პირობადებული საკუთრებიდან ნაწარმოები მოლოდინის უფლების სამართლებრივი ბუნება, შედარებითი სამართლის ჟურნალი, #1/2025, 50-51.

¹⁸² „*Teilgläubigerschaft*“ (ნილობრივი კრედიტორობა) არის ტერმინი ვალდებულებითი სამართლიდან, რომელიც აღწერს კრედიტორად ყოფნის სპეციალურ ფორმას, რომლის მიხედვითაც სახეზეა ერთი დაყოფადი მოთხოვნის რამდენიმე კრედიტორი. სოლიდარული კრედიტორობისგან (*Gesamtgläubigerschaft*) (ბგბ, § 428) განსხვავებით, ნილობრივი კრედიტორობის დროს თითოეულ კრედიტორს ეკუთვნის მხოლოდ კონკრეტული წილი საერთო მოთხოვნაში. ასეთ დროს თითოეული წილი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და ყოველ კრედიტორს დამოუკიდებლად შეუძლია თავისი მოთხოვნის რეალიზაცია.

¹⁸³ BGH, Urteil vom 11. November 1970 - VIII ZR 242/68 - BGHZ 55, 20, Rn. 58.

¹⁸⁴ სხვადასხვა სამართლებრივი მოსაზრებებისთვის შდრ. *Staudinger/Looschelders* (2022) BGB § 428, Rn. 100 mwN.

¹⁸⁵ საფუძვლიანად იხ. BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 13 ff.; ასევე, შდრ. BGH, Urteil vom 24. Oktober 1979 - VIII ZR 289/78 - BGHZ 75, 221, Rn. 18; *Grunewald* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 449 BGB, Rn. 28; *Staudinger/Fervers* (2024) BGB § 449, Rn. 149; *Armgardt* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 158 BGB (Stand: 15.05.2023), Rn 50; *Federlin* in: Kümpel/Mülbert/Früh/Seyfried, Bankrecht und Kapitalmarktrecht, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn. 8.463; *Armgardt* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 158 BGB (Stand: 15.05.2023), Rn. 50, ზოგადი მოსაზრება.

¹⁸⁶ BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 13

უფლების შექმნის ნამდვილობა, სამართლებრივი გარკვეულობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია აზეა დამოკიდებული. პუბლიკაციის ვალდებულების დაცვითი მიზანი მოლოდინის უფლების შექმნის დროს არ წარმოიშობა, რადგან სამართლებრივი უსაფრთხოებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის კუთხით, მხოლოდ სრული უფლების წარმოშობა ქმნის შექმნის პუბლიკაციის სპეციალურ საჭიროებას. ამდენად, უძრავი ნივთების სფეროში მოლოდინის უფლების განკარგვა უნდა განხორციელდეს სრული უფლების გადაცემისათვის განკუთვნილი ფორმით, თუმცა სრული უფლებისგან განსხვავებით, მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ არის საჭირო. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისას მოლოდინის უფლების შექმნა ხდება უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმებით (*Auflassung*) და არა მოთხოვნის დათმობით, თუმცა საჯარო რეესტრში რეგისტრაცია საჭირო არ არის (კანონი არ ითვალისწინებს მოლოდინის უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობას).¹⁸⁷ ამდენად, მოლოდინის უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციის გარეშე, თუმცა მოლოდინის უფლების სრულ უფლებად ქცევა ყველა შემთხვევაში შექმნის მესაკუთრედ რეგისტრაციასთან არის დაკავშირებული.

გერმანულ უძრავი ნივთების სამართალში მოლოდინის უფლების განკარგვასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას მთელი რიგი კომპლექსური პრობლემური საკითხები, განსაკუთრებით მაშინ, როცა სრული უფლების სავალდებულო რეგისტრაციამდე (რაც მისი წარმოშობისათვის აუცილებელია) ხორციელდება კოლიდირებული განკარგვები სრულ ან/და მოლოდინის უფლებაზე¹⁸⁸ ან იწყება იძულებითი აღსრულების ან გაკოტრების პროცედურები. ამ საკითხების დეტალურ განხილვას, რომლებიც გერმანული სამართლის თავისებურებებსა და ე.წ. წინასწარი ჩანაწერის (*Vormerkung*)¹⁸⁹ ინსტიტუტს უკავშირდება, აქ არ შევეხებით.

¹⁸⁷ საფუძვლიანად იხ. BGH, Urteil vom 30. April 1982 - V ZR 104/81 - BGHZ 83, 395, Rn. 15 f.; ასევე შდრ. BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 14; Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 4. August 2025 - 3 W 106/25 - RPflegler 2025, 738, Rn. 10; *Staudinger/C Heinze* (2025) BGB § 873, Rn. 184.

¹⁸⁸ ანუ ერთსა და იმავე უფლებაზე სხვადასხვა პირის სასარგებლოდ ხორციელდება ურთიერთგამომრიცხავი განკარგვები, რაც ნიშნავს იმას რომ უნდა გადაწყდეს, თუ რომელ პირს ექნება უკეთესი უფლება.

¹⁸⁹ წინასწარ ჩანაწერთან დაკავშირებით იხ. კვინიკაძე, წინასწარი ჩანაწერი, როგორც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაცვის საშუალება და მისი მიმართება საჩივართან (გერმანული სამართლის მიხედვით), ჟურნალი „კერძო სამართლის მიმოხილვა“, #3-4, 2021-2022, 89-104.

თუმცა, სწორედ მათ უკავშირდება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რომლის მიხედვითაც, ნაწილობრივ ეჭვქვეშ დგება, საერთოდ იძენს თუ არა მყიდველი შეთანხმებასა და რეგისტრაციას შორის არსებულ მერყევ შუალედურ ფაზაში, ისეთ დიდწილად გაუუქმებელ სამართლებრივ პოზიციას, რომელიც აუცილებელია მოლოდინის უფლების წარმოშობისათვის.¹⁹⁰

3.2.2. მოლოდინის უფლებისა და სრული უფლების განკარგვის ერთმანეთისგან გამიჯვნა

მოლოდინის უფლების განკარგვა უნდა განვასხვავოთ სრული უფლების განკარგვისგან. აღნიშნული კარგად ჩანს პირობადებული საკუთრების მაგალითზე:

პირობადებული საკუთრების მყიდველი საკუთრების უფლების განკარგვის დროს მოქმედებს როგორც არაუფლებამოსილი პირი, რადგან საკუთრების უფლება პირობის დადგომამდე - ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე - გამყიდველთან რჩება. ამიტომ ასეთი განკარგვა მხოლოდ კანონით დადგენილი კეთილსინდისიერი შეძენის წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად. პირობადებული საკუთრების მყიდველს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მოლოდინის უფლება, რომლის განკარგვაზეც არის ის უფლებამოსილი¹⁹¹ და რომელიც ნასყიდობის ფასის უკანასკნელი ნაწილის გადახდით ავტომატურად გადაიქცევა სრულ საკუთრების უფლებად.

თუ რომელ განკარგვას აქვს ადგილი - საკუთრების თუ მოლოდინის უფლების - ეს განმარტების გზით უნდა დადგინდეს. პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმების მიზნიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ მიიჩნევა, რომ მხარეები ცდილობენ შექმნან ისეთი სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მყიდველის მაქსიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, რაც ნიშნავს იმას რომ, რამდენადაც შესაძლებელია, ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული ყველა სხვა შემდგომი განკარგვა, რომელმაც შესაძლოა პირობადებული საკუთრების მყიდველი დააზიანოს. სამართლებრივად ნაკლებად გამოცდილი მხარეები ხელშეკრულების სიტყვიერ ფორმულირებებს არ ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას, რადგან ისინი ვერ

¹⁹⁰ შეჯამებისთვის იხ. *Staudinger/C Heinze* (2025) BGB § 873, Rn. 184 ff.

¹⁹¹ *Trautwein* in: *Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 185 BGB (Stand: 21.12.2023), Rn. 18, ზოგადი მოსაზრება.

ამჩნევენ შესაძლო განსხვავებებს სამართლებრივ ფორმებს შორის.¹⁹² ამის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერად მოქმედი პარტნიორებისთვის, როგორც წესი, უფრო ბუნებრივად მიიჩნევა მოლოდინის უფლების განკარგვაზე შეთანხმება, რადგან ეს ხელს უწყობს განკარგვის ვალდებულების დარღვევის რისკის შემცირებას და მყიდველისთვის სამართლებრივად უფრო ხელსაყრელია.

პირობადებული საკუთრების შემთხვევაში, ნასყიდობის საგანთან დაკავშირებით მყიდველსა და გამყიდველს შორის შეთანხმებული განკარგვის აკრძალვა, განიმარტება ორივე მხარის ინტერესებზე მორგებულად, რომლის მიხედვითაც, განკარგვის აკრძალვა ეხება მხოლოდ სრულ უფლებას და ამით ძლიერდება კანონით დადგენილი სამართლებრივი მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც მყიდველი არ არის უფლებამოსილი საკუთრების განკარგვაზე. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება მოლოდინის უფლების მქონე პირს საკუთარი უფლების (იგულისხმება მოლოდინის უფლება) განკარგვა აკრძალოს, რადგან გამყიდველის ლეგიტიმური ინტერესები მოლოდინის უფლების განკარგვით არ ირღვევა და ასეთი განკარგვის აკრძალვა ბგბ-ს § 137 პარაგრაფის მიხედვით¹⁹³, მხოლოდ ვალდებულებითი ძალის მქონე იქნება;¹⁹⁴ ანუ მაქსიმუმ მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება წარმოშვას, თუმცა პრაქტიკაში თითქმის ვერასოდეს დგინდება რეალური ზიანის არსებობა.

¹⁹² შდრ. BGH, Urteil vom 22. Februar 1956 - IV ZR 164/55 - BGHZ 20, 88, Rn. 29; *Staudinger/Fervers* (2024) BGB § 449, Rn. 150; *Grunewald* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 449 BGB, Rn. 27.

¹⁹³ ბგბ-ს §137 პარაგრაფის მიხედვით, „გასხვისებადი უფლების განკარგვის უფლებამოსილება არ შეიძლება გარიგებით გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. ეს ნორმა არ ეხება იმ ვალდებულების სამართლებრივ ძალას, რომლითაც პირი კისრულობს ვალდებულებას, არ განკარგოს უფლება.“

¹⁹⁴ შდრ. BGH, Urteil vom 4. Februar 1970 - VIII ZR 174/68 - NJW 1970, 699, Rn. 26. თუკი უზრუნველყოფის საგანზე არსებული სანივთო მდგომარეობა გაურკვეველია (ანუ არ არის ნათელი, ნივთზე საკუთრების უფლება არსებობს თუ მოლოდინის უფლება), მაშინ საეჭვოობისას, გადაცემულად ჩაითვლება მხოლოდ ნამდვილად (რეალურად) არსებული უფლება.

3.2.3. პირობადებული საკუთრების გამყიდველის განკარგვები

მოლოდინის უფლების წარმოშობის შემდეგ მესაკუთრის (პირობადებული საკუთრების გამყიდველის) მიერ განხორციელებული სხვა განკარგვები ან ბგბ-ს § 161 I 2 მიხედვით¹⁹⁵ სამართლებრივი შედეგებით მასთან გატოლებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდგომ, ხდება არანამდვილი ბგბ-ს § 161 I 1 მიხედვით.¹⁹⁶ ამ ნორმაში ასახული სანივთოსამართლებრივი პრიორიტეტულობის პრინციპის გამო¹⁹⁷, მოლოდინის უფლების შემძენი (ისევე როგორც მისი სამართლებრივი წინამორბედი - პირობადებული საკუთრების მყიდველი), უკვე მოლოდინის უფლების შეძენის მომენტიდან არის დაცული გამყიდველის მიერ განხორციელებული განკარგვებისაგან, რომელიც მისთვის საზიანოა, ასევე გამყიდველის კრედიტორების მხრიდან განხორციელებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებებისაგან. მართალია რჩება გარკვეული რისკი, რომ მყიდველი არ გადაიხდის ნასყიდობის დარჩენილ ფასს, რის გამოც გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლით გაუუქმებს მას მოლოდინის უფლებას, თუმცა მოლოდინის უფლების შემძენს (თუნდაც დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყენებით) შეუძლია თავი დაიცვას იმით, რომ მან, როგორც მესამე პირმა, გამყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის გაცხადებამდე, თავად გადაუხადოს მას ნასყიდობის დარჩენილი ფასი. მაგალითად, თუკი ბ, რომელიც პირობადებული საკუთრების მყიდველია, მოლოდინის უფლებას გადასცემს გ-ს, ხოლო მოგვიანებით კი პირობადებული საკუთრების გამყიდველის - ა-ს წინაშე უარს განაცხადებს ნასყიდობის დარჩენილი ფასის გადახდაზე, მაშინ შემძენ გ-ს შეუძლია თავად

¹⁹⁵ ბგბ-ს §161 I პარაგრაფის მიხედვით, „თუ პირმა გადადების პირობით განკარგვა საგანი, მაშინ ნებისმიერი შემდგომი, მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში გაკეთებული განკარგვა, პირობის დადგომის შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ხელს შეუშლიდა პირობაზე დამოკიდებული შედეგების წარმოშობას ან უარყოფითად იმოქმედებდა მასზე. ასეთ განკარგვას უთანაბრდება განკარგვა, რომელიც განხორციელდა იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების პროცესში, ანდა – გაკოტრების მმართველის მიერ.“

¹⁹⁶ OLG München, Beschluss vom 11. November 2015 - 34 Wx 225/14 - FamRZ 2016, 1009, Rn. 23; Hanseatisches Oberlandesgericht in Bremen, Urteil vom 28. Januar 2000 - 5 U 85/99 - juris Rn. 10; Staudinger/Beckmann (2013) BGB § 449, Rn. 77; Armbrüster in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 161 BGB, Rn. 1.

¹⁹⁷ BGH, Beschluss vom 20. September 2011 - II ZB 17/10 - BGHZ 191, 84, Rn. 15, კომპანიის წინაშე ნილის გადაცემის საკითხისთვის; Armbrüster in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 161 BGB, Rn. 1.

გადაუხადოს ა-ს ნასყიდობის დარჩენილი ფასი, რითიც მისი მოლოდინის უფლება ავტომატურად გადაიქცევა სრულ საკუთრების უფლებად. ბ-ს (მყიდველი) უფლება არ ექნება წინ აღუდგეს გ-ს (შემძენი) მიერ ა-სთვის (გამყიდველი) ნასყიდობის საფასურის გადახდას. მოლოდინის უფლების გადაცემით, ბგ-ს § 267 II პარაგრაფის მიხედვით (შეესაბამება სკ, მ.371 II)¹⁹⁸ მყიდველი კარგავს უფლებას, შეენინაალმდეგოს მესამე პირის (შემძენის) ქმედებას თანხის გადახდაზე. სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მოლოდინის უფლების გადაცემით, პირობადებული საკუთრების მყიდველი კარგავს გაპროტესტების უფლებას (*Widerspruchsrecht*) ბგ-ს § 267 II მიხედვით.¹⁹⁹ ამდენად, გ-ს მიერ განხორციელებული გადახდით სრულდება ნასყიდობის ფასის გადახდაზე ა-ს მოთხოვნა, რასაც, განკარგვის უფლებამოსილების არარსებობის გამო, ბ ვერ შეენინაალმდეგება. ამ თვალსაზრისით, სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში ფაქტობრივად არაფრით განსხვავდება გერმანულისგან. მართალია სკ არ იცნობს ბგ-ს § 161 1 და 2 წინადადების მსგავს ჩანაწერს, თუმცა ეს შედეგობრივად უმნიშვნელოა, რადგან გერმანული სამართალი მხოლოდ იმის კოდიფიკაციას ახდენს, რაც ისედაც გამომდინარეობას ზოგადი სანივთოსამართლებრივი პრიორიტეტულობის პრინციპიდან.

3.2.4. პირობადებული საკუთრების მყიდველის განკარგვები

პირობადებული საკუთრების მყიდველის მიერ, მოლოდინის უფლების სხვისთვის გადაცემის შემდეგ განხორციელებულ განკარგვებთან - მაგალითად, როგორცაა კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა - დაკავშირებით დასადგენია, განკარგვა მოლოდინის უფლებას ეხება თუ საკუთრებას. ამის დადგენა ხდება განმარტების გზით. თუკი პირობადებული საკუთრების მყიდველი „მეორედ“ განკარგავს მოლოდინის უფლებას, მაშინ ის მოქმედებს როგორც არაუფლებამოსილი, რადგან ის მოლოდინის უფლებას აღარ ფლობს. მეორედ

¹⁹⁸ ბგ-ს § 267 II პარაგრაფის მიხედვით, „კრედიტორს შეუძლია უარი თქვას შესრულების მიღებაზე, თუ მოვალე ამას არ ეთანხმება.“ სკ-ს 371 II მუხლის მიხედვით, „კრედიტორს შეუძლია არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია.“

¹⁹⁹ BGH, Urteil vom 24. Oktober 1979 - VIII ZR 289/78 - BGHZ 75, 221, Rn. 23, mwN; ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების შეჯამებისთვის იხ. *Staudinger/Kolbe* (2025) BGB § 267, Rn. 50.

განკარგვაში იგულისხმება შემთხვევა, როცა პირობადებული საკუთრების მყიდველი ჯერ ერთ პირს გადასცემს მოლოდინის უფლებას, ხოლო ამის შემდგომ კი - კიდევ სხვა პირს. მაგალითად, ბ-მ ა-სგან პირობადებული საკუთრებით იყიდა ნივთი, რის შედეგადაც შეიძინა მოლოდინის უფლება. ბ-მ თავისი მოლოდინის უფლება განკარგა ორჯერ - პირველად ის გადასცა გ-ს, ხოლო შემდგომ - დ-ს. ბ-ს მიერ გ-ზე განხორციელებული განკარგვა ნამდვილი იქნება, ხოლო დ-ზე კი არანამდვილი, რადგან გ-ზე განკარგვის შედეგად ბ-მ დაკარგა მოლოდინის უფლება, რის გამოც ის დ-ს მას ვეღარ გადასცემდა. ასეთ დროს განკარგვის უფლებამოსილების არ არსებობის გამო, შესაძლოა მეორე შემძენთან მიმართებით ვისაუბროთ მხოლოდ მოლოდინის უფლების კეთილსინდისიერ შექმნაზე, რომელიც კეთილსინდისიერებასთან ერთად (რაც უმეტესად არ ხდება) მოითხოვს ნივთის გადაცემასაც. ამდენად, პრაქტიკაში პირობადებული საკუთრების მყიდველის მიერ სხვაგვარ (ხელშეკრულების საწინააღმდეგო) განკარგვებთან დაკავშირებული ზარალის რისკი, მოლოდინის უფლების პირველი შემძენისთვის შედარებით მცირეა.

შედეგობრივად არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ საკუთრებისკენ მიმართული ასეთი განკარგვა ბგბ-ს § 185 II მიხედვით (რომელსაც რეგულირების საგნის თვალსაზრისით შეესაბამება სკ-ს 102-ე მუხლი)²⁰⁰ ნამდვილი ხდება, როგორც კი განმკარგავი - მაგალითად, პირობადებული საკუთრების ფარგლებში გასხვისებული ნივთის ნასყიდობის ფასის სრულად გადახდით - განკარგვით უფლებამოსილებას შეიძენს. ასეთ დროს შექმნა ხორციელდება ე.წ. „გავლითი შექმნის“ (*sog. Durchgangserwerb*) გზით, განმკარგავის (პირობადებული საკუთრების მყიდველის)²⁰¹ გავლით, რომელიც პირობის დადგომისას (ნასყიდობის ფასის სრული გადახდისას) ერთი ლოგიკური ნამით ხდება მესაკუთრე და მხოლოდ ამ გზით იძენს განკარგვის უფლებამოსილებას. მაგალითად, ბ, რომელსაც რეალურად მხოლოდ მოლოდინის უფლება აქვს, გ-ზე ასხვისებს საკუთრებას (ანუ არა მოლოდინის უფლებას, არამედ თვითონ საკუთრების უფლებას) და მალევე ფარავს ნასყიდობის საფასურს. ამ მომენტში იგი ხდება მესაკუთრე და ამდენად, მის მიერ განხორციელებული განკარგვა

²⁰⁰ როგორც ბგბ-ს § 185 პარაგრაფის, ისე სკ-ს 102-ე მუხლის მიხედვით შესაძლებელია, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვის საკუთრებაზე განხორციელებული განკარგვა ნამდვილი გახდეს, თუკი ეს პირი მოგვიანებით მოიწონებს არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ ამგვარ განკარგვას.

²⁰¹ BGH, Urteil vom 12. Februar 1992 - XII ZR 7/91 - BGHZ 117, 200, Rn. 12.

- ნამდვილი. მოლოდინის უფლების ორჯერ განკარგვის დროს ეს შემთხვევა არ გვაქვს, რადგან მოლოდინის უფლების გადაცემას დროითი უპირატესობა აქვს. პირობადებული საკუთრების მყიდველი, მოლოდინის უფლების პირველ ჯერზე განხორციელებული გადაცემის გამო, ვერასოდეს შეიძენს საკუთრების უფლების განკარგვის უფლებამოსილებას, რის გამოც მის მიერ მოლოდინის უფლების მეორე გადაცემა ბგბ-ს § 185 II მიხედვით ვერ იქნება ნამდვილი.

3.3. მოლოდინის უფლების მოქმედება

პირობადებული საკუთრების შემთხვევაში, ნასყიდობის ფასის ბოლო ნაწილის გადახდით შემძენი იძენს სრულ უფლებას. ნასყიდობის ფასის სრულ გადახდამდე შემძენს გააჩნია მოლოდინის უფლება, რომელსაც საკუთრების სრულ უფლებამდე ფაქტობრივად მხოლოდ ერთი საფეხური აშორებს. ნასყიდობის საფასურის სრული გადახდით მოლოდინის უფლება პირდაპირ ტრანსფორმირდება სრულ უფლებად, ისე რომ არ ხდება საკუთრების უფლების ჯერ იმ პირზე გადასვლა, რომელმაც განკარგა მოლოდინის უფლება.²⁰² ასეთ დროს საუბრობენ ე.წ. „პირდაპირ შეძენაზე“ („*Direkterwerb*“). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი პირობადებული საკუთრების მყიდველი მესამე პირს გადასცემს მოლოდინის უფლებას და დადგება პირობა (ნასყიდობის ფასის სრული გადახდა), მაშინ მესამე პირი პირდაპირ და უშუალოდ შეიძენს საკუთრებას, ყველანაირი დამატებითი ქმედების გარეშე. მოცემული კონსტრუქცია არ ითვალისწინებს ჯერ პირობადებული საკუთრების მყიდველის მესაკუთრედ გახდომას და შემდეგ საკუთრების გადაცემის აქტით მესამე პირისათვის შეძენილი უფლების გადაცემას. მესამე პირს საკუთრების უფლების მოპოვებისთვის არ სჭირდება პირობადებული საკუთრების მყიდველის მხრიდან რაიმე იურიდიული აქტი. მოლოდინის უფლების სრულ უფლებად ტრანსფორმაციით ქრება უფლების „მინუსი“ და ამით ის (მოლოდინის უფლება) სრულფასოვან „ნორმალურ/ჩვეულებრივ“ უფლებად გარდაიქმნება.

²⁰² იხ. განსაკუთრებით: BGH, Urteil vom 22. Februar 1956 - IV ZR 164/55 - BGHZ 20, 88, Rn. 26 ff.; ასევე შდრ. BGH, Urteil vom 12. Februar 1992 - XII ZR 7/91 - BGHZ 117, 200. Rn. 14; BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 19, უძრავი ნივთების შეძენის საკითხისთვის: *Staudinger/Fervers* (2024) BGB § 449, Rn. 151; *Federlin* in: Kümpel/Mülbelt/Früh/Seyfried, *Bankrecht und Kapitalmarktrecht*, 7. Auflage 2025, 8. Teil Kreditsicherung, Rn. 8.469 f.; ზოგადი მოსაზრება.

მოლოდინის უფლების როგორც დაგირავების²⁰³, ისე მისი დაყადაღების²⁰⁴ შესაძლებლობა, გერმანულ სამართალში უკიდურესად პრობლემატურ და სადავო საკითხს წარმოადგენს. მოლოდინის უფლების დაგირავების და დაყადაღების შესაძლებლობა უმეტესწილად აღიარებულია, თუმცა არსებობს განსხვავებული შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზით უნდა მოხდეს მისი დაგირავება და დაყადაღება, ასევე აზრთა სხვადასხვაობის საგანია ამ ღონისძიებების სამართლებრივი შედეგებიც.

სადავო საკითხს არ წარმოადგენს, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნის პროცესში წარმოშობილი მოლოდინის უფლების დაგირავება და დაყადაღება ხორციელდება არა ნივთის დაგირავებისა და დაყადაღების, არამედ უფლების დაგირავებისა და დაყადაღების წესების მიხედვით. ეს განპირობებულია იმით, რომ სრული უფლების დაგირავება და დაყადაღება ხორციელდება უძრავ ქონებაზე საუზრუნველყოფო უფლებების (*Grundpfandrecht*)²⁰⁵ დადგენის წესების შესაბამისად, რა პროცედურაც უძრავ ქონებაზე არსებულ მოლოდინის უფლებასთან მიმართებით არ არსებობს მისი რეგისტრაციის შესაძლებლობის არარსებობის გამო.²⁰⁶

მოდრავ ნივთებზე მოლოდინის უფლების დაგირავების პრაქტიკული მნიშვნელობა გერმანიაში ძალზე მცირეა. მოლოდინის უფლების დაგირავება ხორციელდება ბგბ-ს §§ 1204 და შემდგომი პარაგრაფების შესაბამისად, განსაკუთრებით § 1274 პარაგრაფის გამოყენებით საკუთრების უფლების შექმნის წესების მიხედვით²⁰⁷ და § 929 პარაგრაფის თანახმად

²⁰³ BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 15.

²⁰⁴ BGH, Urteil vom 15. Dezember 1994 - IX ZR 153/93 - BGHZ 128, 184, Rn. 21; BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 16; Thüringer Oberlandesgericht, Beschluss vom 4. August 2025 - 3 W 106/25 - RPflegler 2025, 738, Rn. 6; *Seibel* in: Zöller, Zivilprozessordnung, 36. Auflage, 10/2025, § 857 ZPO, Rn. 5 f.

²⁰⁵ „Grundpfandrecht“ სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „უძრავ ქონებაზე გირავნობის უფლება“, თუმცა ის გამოიყენება როგორც ზოგადი ტერმინი მინის ნაკვეთის იპოთეკით, მინის ვალით და სარენტო ვალით დატვირთვის აღსანიშნავად, ანუ ის არის ზოგადად, მიწაზე დადგენილი ყველა საუზრუნველყოფო უფლების აღმნიშვნელი ერთიანი ტერმინი, იხ. *Staudinger/Wolfsteiner* (2019), Buch 3, §1113 ff, 19, Rn. 1.

²⁰⁶ უფრო დეტალურად შდრ. BGH, Beschluss vom 18. Dezember 1967 - V ZB 6/67 - BGHZ 49, 197, Rn. 15.

²⁰⁷ *Beckmann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 929 BGB (Stand: 15.03.2023), Rn. 103; *Staudinger/Beckmann* (2013) BGB § 449, Rn. 94).

საჭიროებს ნივთის გადაცემას (ამ მხრივ შედარებადია სკ-ის 186-ე მუხლის 1-ელ ნაწილთან).

აღსრულების კუთხით, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მოლოდინის უფლება განიხილება როგორც „სხვა ქონებრივი უფლება“ (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 857 პარაგრაფი) (პირობადებული საკუთრებიდან წარმომდგარი მოლოდინის უფლება ყველა შემთხვევაში „სხვა ქონებრივ უფლებად“ განიხილება). შესაბამისად, დაყადალება ხორციელდება სასამართლოს შესაბამისი განჩინების პირობადებული საკუთრების გამყიდველისათვის ჩაბარებით.²⁰⁸ თუმცა, უფლების დაყადალება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ დაყადალებულ უფლებაზე (და არა ნივთზე, რომელიც გაყიდულია საკუთრების შენარჩუნებით) ხდება სამართლებრივი კონტროლის დაწესება და წარმოიშობა გირავნობის უფლება. სადავოა, საჭიროა თუ არა და, საჭიროების შემთხვევაში, რომელი დამატებითი იძულებითი აღსრულების ღონისძიებებია აუცილებელი იმისთვის, რომ მოლოდინის უფლებაზე დაყადალებით წარმოშობილი გირავნობის უფლება სუროგაციის გზით, გადადებული პირობის დადგომისას (ანუ ნასყიდობის ფასის ბოლო ნაწილის გადახდით საკუთრების უფლების შექმნის მომენტში) გაგრძელდეს როგორც დაყადალებიდან წარმოშობილი გირავნობის უფლება თავად ნივთზე.

3.4. დაყადალების შედეგები პირობადებული საკუთრებისას

მყიდველის კრედიტორების მხრიდან, მყიდველის მიერ პირობადებული საკუთრებით შექმნილი ნივთის დაყადალებამ შესაძლოა გამოიწვიოს ამ ნივთის იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული ნივთების მასაში მოქცევა, თუმცა ეს ვერ წარმოშობს დაყადალების უფლებას, რადგან აღსრულება არ ხდება მოვალის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, რის გამოც პირობადებული საკუთრების გამყიდველის სარჩელის (ე.წ. „იძულებითი აღსრულების წინააღმდეგ მესამე პირის მიერ წარდგენილი სარჩელი“ („*Drittwiderrspruchsklage*“)) (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 771 პარაგრაფი)²⁰⁹ საფუძველზე, შესაძლოა ასეთი აღსრუ-

²⁰⁸ *Grunewald* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 449 BGB, Rn. 34; *Staudinger/Beckmann* (2013) BGB § 449, Rn. 100; *Seibel* in: Zöller, Zivilprozessordnung, 36. Auflage, 10/2025, § 857 ZPO, Rn. 6; *Kerwer* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 267 BGB (Stand: 29.03.2023), Rn. 17.

²⁰⁹ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 771 პარაგრაფის („მესამე პირის სა-

ლება გაუქმდეს, რაც ქართულ სამართალში ამ ფორმით არ არის ცნობილი. საქართველოში ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ზოგადი სამართლებრივი საშუალებები დაყადაღების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მიმართული იქნება უცხო პირის ქონების დასაცავად, რითიც თავიდან იქნება აცილებული, რომ სხვა პირის ქონებამ არ აგოს პასუხი მოვალის ვალდებულებებისთვის. ამისათვის არსებობს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმადაც, „პირობადებული საკუთრების ობიექტი ან ლიზინგის საგანი, რომლის შესყიდვის უფლებაც აქვს მოვალეს, გადახდისუუნარობის მასაში არ შედის.“ ეს ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრეს (პირობადებული საკუთრების გამყიდველს) უფლება ექნება, მოითხოვოს გადახდისუუნარობის მასიდან თავისი საკუთრების ამორიცხვა. თბილისის საქალაქო სასამართლო თავის ერთ-ერთ განჩინებაში განმარტავს:²¹⁰ „სასამართლო მიუთითებს, რომ ქონება, რომელზედაც მესამე პირს აქვს საკუთრების უფლება, თუნდაც აღნიშნული უფლების შენარჩუნება მოვალის მხრიდან გარკვეული ვალდებულების შესრულებაზე იყოს დამოკიდებული (პირობადებული საკუთრება, ლიზინგი და ა.შ.), ასეთ შემთხვევაში ქონების მესაკუთრეს გადახდისუუნარობის მასიდან ქონების გამოყოფის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რა დროსაც მოვალე აღნიშნული პირის მიმართ ყველა იმ ვალდებულებითსამართლებრივ უფლებას ინარჩუნებს, რაც მას გადახდისუუნარობის წარმოების მიღმა ექნებოდა. გადახდისუუნარობის მასის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია იმ მიმართებითაც, რომ მესამე პირთა უფლებები იყოს დაცული. თუ მესამე პირის ქონება მოვალის მფლობელობაშია, მესამე პირს აღნიშნული ქონების მოვალისაგან გამოთხოვის უფლება მას შემდეგ უჩნდება, რაც მოვალის მხრიდან ქონების მართლზომიერი ფლობის საფუძველი ამოიწურება. რალა თქმა უნდა აღნიშნული ქონება, გადახდისუუნარობის მასის მიღმაა და იგი კრედიტორების ინტერესების დაკმაყოფილებას ვერ მოემსახურება, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, გადახდისუუნარობის მასაში ვერ შევა.“

რჩელი იძულებითი აღსრულების წინააღმდეგ“) მიხედვით, „თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ იძულებითი აღსრულების საგანზე აქვს ისეთი უფლება, რომელიც აბრკოლებს ამ ქონების გასხვისებას, მაშინ საჩივარი იძულებითი აღსრულების წინააღმდეგ წარდგენილ უნდა იქნეს სარჩელის გზით იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც მიმდინარეობს იძულებითი აღსრულება.“

²¹⁰ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 19 სექტემბრის #2/22696-25 განჩინება.

3.5. კანონისმიერი გირავნობის უპირატესობა მოლოდინის უფლებასთან მიმართებით

კანონისმიერი გირავნობის უფლებები, განსაკუთრებით გამქირავებლის გირავნობის უფლება²¹¹, ასევე მიწის ნაკვეთზე დადგენილი საუზრუნველყოფო უფლებებისთვის საკუთვნებლის პასუხისმგებლობა²¹², ვრცელდება მოლოდინის უფლებაზეც, თუ ნივთი სრულ საკუთრებაში გადასვლისას პასუხისმგებელ მასაში მოხვდება.²¹³ ეს წესი გამოიყენება პირობადებული საკუთრებით შექმნილი საქონლის მიმართ, რომელიც დაქირავებულ საწყობში უზრუნველყოფის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეიტანება. თუმცა, გამქირავებლის კანონისმიერი გირავნობის უფლების ამგვარი უპირატესობა არ არის თანხვედრაში ზოგად სანივთოსამართლებრივ პრიორიტეტულობის პრინციპთან, რადგან უზრუნველყოფი საკუთრების სახით გადაცემული მოლოდინის უფლება და გამქირავებლის კანონისმიერი გირავნობის უფლება ნივთის საწყობში შეტანისას ერთდროულად წარმოიშობა, რის გამოც პრიორიტეტულობის ასპექტი ორივე უზრუნველყოფი უფლების თანაბარ რანგზე მეტყველებს. სამართლიანად უთითებს ფედერალური უზენაესი სასამართლო, რომ ეს ეწინააღმდეგება კანონმდებლის განზრახვას, რომლის მიხედვითაც ის ცდილობდა გამქირავებლისთვის არამფლობელობითი კანონისმიერი გირავნობის უფლებით უპირატესი უზრუნველყოფა შეექმნა.²¹⁴ შედეგობრივად ამას იქამდე მივყავართ, რომ მოლოდინის უფლების შემძენი კანონისმიერი გირავნობის წინაშე კარგავს იმ უპირატესობას, რომელიც მან მოიპოვა თავისი სანივთო პოზიციის „წინ გადმონევით“ (ანუ შემძენი არა სრული უფლების, არამედ მოლოდინის უფლების შექმნის მომენტიდანვეა დაცული).

4. დასკვნა

²¹¹ BGH, Urteil vom 12. Februar 1992 - XII ZR 7/91 - BGHZ 117, 200, Rn. 16 f.; BGH, Urteil vom 31. Mai 1965 - VIII ZR 302/63 - NJW 1965, 1475, Rn. 38.

²¹² BGH, Urteil vom 10. April 1961 - VIII ZR 68/60 - BGHZ 35, 85, Rn. 18.

²¹³ Grunewald in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 449 BGB, Rn. 33.

²¹⁴ BGH, Urteil vom 12. Februar 1992 - XII ZR 7/91 - BGHZ 117, 200, Rn. 16.

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის ინსტიტუტები თანამედროვე კერძო სამართლის სისტემებში წარმოადგენენ დოგმატურად რთულ და ფუნქციურად მრავალშრიან კონსტრუქციებს, რომელთა მიზანიც უზრუნველყოფის გამცემისა და მისი მიმღების ინტერესთა სამართლიანი დაბალანსებაა. პირობადებული საკუთრება, მოლოდინის უფლება, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა და გირავნობა ამ მიზნის მიღწევის სხვადასხვა სისტემურ გადაწყვეტას წარმოადგენენ, რომლებიც განსხვავებულ სამართლებრივ გარემოში განსხვავებული ინტენსივობითა და შინაარსით განვითარდა.

საქართველოში პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი ნაკლებად წარმოსდგება როგორც კრედიტის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში პირობადებული საკუთრება მხოლოდ „მარტივი“ ფორმით არსებობს. ამის გამო უცხოა მისგან გამომდინარე მოლოდინის უფლებაც და მითუმეტეს ამ მოლოდინის უფლების, თავის მხრივ, ასევე კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შესაძლებლობაც. არც ქართული სასამართლო პრაქტიკა გამოირჩევა პირობადებულ საკუთრებასთან დაკავშირებული დავების მრავალფეროვნებით, რისი ახსნაც შესაძლებელია იმ ფაქტით, რომ ქართულ სამართლებრივ რეალობაში მხარეები ფაქტობრივად არასოდეს მიმართავენ პირობადებულ საკუთრებას, როგორც დაკრედიტების საშუალებას. პირობადებული საკუთრებისა და მისგან გამომდინარე მოლოდინის უფლების, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებების განვითარება გერმანული მოდელის სისტემური თანმიმდევრულობის შედეგია, რაც მათ ბგბ-ს § 216 II 2 პარაგრაფის²¹⁵ დახმარებით უსაფრთხო და მოქნილ ინსტრუმენტებად აქცევს.

თუკი პირობადებული საკუთრება ქართულ სამართალში მნიშვნელოვნად შეზღუდული მასშტაბით ხასიათდება, საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა საერთოდ უცხო მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ქართული სამართალი იცნობს მინდობით ურთიერთობას, უზრუნველმყოფი საკუთრების აღიარება წესით არ უნდა იყოს ასისტემური. უზრუნველმყოფ საკუთრებას არც ბგბ ითვალისწინებს კანონის დონეზე - მისი ლეგიტიმაცია გამომდინარეობს არა სპეციალური სა-

²¹⁵ აღნიშნული დანაწესის მიხედვით, პირობადებული საკუთრების შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია ასევე მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

კანონმდებლო დანაწესიდან, არამედ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებებისა (განსაკუთრებით ფიდუციარული ურთიერთობის) და სანივთოსამართლებრივი პრინციპების სისტემური ინტერპრეტაციიდან. თუმცა, სამართლიანია აღინიშნოს, რომ გერმანიისგან განსხვავებით, საქართველოში არსებული რეგისტრირებული გირავნობის ინსტიტუტი ასუსტებს ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში უზრუნველმყოფი საკუთრების განვითარების პერსპექტივას, რადგან ფუნქციურად აღარ დგება იმისი საჭიროება, რომ უზრუნველყოფის გამცემისთვის (დამგირავებლისთვის) ნივთზე პირდაპირი მფლობელობის შენარჩუნების უფლებას დოგმატურად გამართული სამართლებრივი კონსტრუქცია მოეუძებნოთ, რადგან ეს რეგისტრირებული გირავნობის ფარგლებშია უკვე უზრუნველყოფილი. მიუხედავად ამისა, სამართლებრივ ურთიერთობათა გარკვეულ წრეებში, შესაძლოა მაინც გამოიკვეთოს რეგისტრირებულ გირავნობასთან შედარებით უზრუნველმყოფი საკუთრების უპირატესობები. საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემა არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება სამართლებრივი ინსტიტუტი კანონის ფარგლებს მიღმა განვითარდეს, თუმცა მაინც იქცეს სამართლებრივი სისტემის სრულფასოვან და პრაქტიკულად აუცილებელ ინსტრუმენტად.

ქართულ სამართალში გირავნობა მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებული (პრაქტიკულად ერთადერთი) სანივთოსამართლებრივი საშუალებაა. გერმანული სამართლისგან განსხვავებით, სადაც გირავნობის ერთადერთ ფორმად მფლობელობითი გირავნობაა აღიარებული, ქართულ სამართალში გირავნობის სახედ რეგისტრირებული გირავნობაც არსებობს, რაც მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გაცილებით მოქნილი და ეფექტური საშუალებაა. საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემისგან განსხვავებით, რომელიც უხეშად რომ ვთქვათ, არამფლობელობითი გირავნობის არასაჯარო ფუნქციური ალტერნატივაა, რეგისტრირებული გირავნობის დროს, აუცილებელია უფლების რეგისტრაცია. შესაძლოა ითქვას, რომ რეგისტრირებული გირავნობა წარმოადგენს ქართული სამართლის ინსტიტუციურ პასუხს იმ გამოწვევაზე, რომელიც მიზნად ისახავს ტრადიციული (მფლობელობითი) გირავნობის შეზღუდვების დაძლევას და უზრუნველყოფის სისტემის პრაქტიკული ეფექტიანობის გაზრდას. სავარაუდოა, რომ სწორედ რეგისტრირებული გირავნობის ინსტიტუტის განვითარება გახდა იმის მიზეზი, რომ დღის წესრიგში აღარ დადგა საკუთრების უზრუნველმყოფი გადაცემის მსგავსი სამართლებრივი კონსტრუქციების შექმნის საკითხი.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ განხილული ინსტიტუტები არ შეიძლება ერთიანი უნივერსალური სტანდარტით შეფასდეს, რადგან თითოეული მათგანის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტული სამართლებრივი სისტემის ისტორიულ, დოგმატულ და ეკონომიკურ თავისებურებებთან. მოძრავი ნივთებით კრედიტის უზრუნველყოფის ინსტიტუტები ქართულ და გერმანულ სამართალში გარკვეულწილად განსხვავებული დოგმატური გზებით განვითარდა, თუმცა ორივე სისტემა ამ ურთიერთობაში ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება - კრედიტორის დაცვასა და ამავედროულად, მოვალისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის შეთავაზებას, რაც საბოლოო ჯამში, უსაფრთხო ეკონომიკური ბრუნვის მიზნებს ემსახურება. გერმანული სამართალი მხარეებს უზრუნველყოფის საშუალებათა უფრო ფართო არჩევანს სთავაზობს, ქართულ სამართალში კი მოძრავი ნივთების შემთხვევაში ეს, როგორც წესი, მხოლოდ გირავნობაა. ფუნქციური ეფექტიანობის თვალსაზრისით, გირავნობა ქართულ სამართლებრივ რეალობაში ჯერჯერობით პასუხობს მოთხოვნის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მზარდი კომპლექსურობის პირობებში, სამომავლოდ, უზრუნველყოფის სხვა საშუალებების მიმართაც ინტერესის ზრდას. შესაბამისად, წარმოდგენილი შედარებითი ანალიზი ქმნის გარკვეულ საფუძველს აღნიშნული ინსტიტუტების შემდგომი კვლევისათვის.